

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი



ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ევროპეისტიკის დეპარტამენტი

ლაშა ბოლქვაძე

დიპლომატიური დისკურსის ლინგვოკულტურული სპეციფიკა  
(იაპონური და ქართული დიპლომატიური დისკურსის მიხედვით)

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

პროფ. მარინე აროშიძე

ბათუმი

2024

## განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რაჲს ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლაშა ბოლქვაძე

თარიღი:

# სარჩევი

შესავალი .....	4
<b>I თავი. დიპლომატიური დისკურსი ინტერდისციპლინარულ ჭრილში .....</b>	<b>8</b>
§ 1.1 დისკურსის ცნება ანთროპოცენტრულ პარადიგმაში .....	8
§ 1.2 დისკურსის კლასიფიკაცია .....	20
§ 1.3 დიპლომატიური დისკურსის სპეციფიკა .....	25
<b>II თავი. ქართულ-იაპონური დიპლომატიური ურთიერთობა ლინგვოკულტუროლოგიურ ასპექტში .....</b>	<b>42</b>
§ 2.1 ქართულ-იაპონური დიპლომატიური ურთიერთობათა ისტორიიდან .....	43
§ 2.1.1 ქართულ-იაპონური ურთიერთობის ძველი პერიოდი .....	43
§ 2.1.2 რუსეთის იმპერიის პერიოდი .....	46
§ 2.1.3 თანამედროვე პერიოდი .....	49
§ 2.2 კულტურული დიპლომატია ლინგვისტურ ჭრილში .....	52
§ 2.2.1 იაპონური ხელოვნება .....	56
§ 2.2.2 იაპონური სამზარეულოს ლაკუნები კულტურათმორის კომუნიკაციაში .....	62
§ 2.2.3 იაპონური ეტიკეტი .....	68
§ 2.2.4 იაპონური ენა .....	73
<b>III თავი. დიპლომატიური დისკურსის თარგმნის სპეციფიკა .....</b>	<b>80</b>
§ 3.1 ოფიციალური წერილების ფორმის თავისებურებანი .....	83
§ 3.2 ეტიკეტური ფორმულების განსხვავება იაპონურ და ქართულ კულტურულ ტრადიციებში .....	89
§ 3.3 ეთნოკულტურული რეალიების გადმოცემის სირთულეები .....	95
§ 3.4 იაპონური კულტურის ფონური ინფორმაციის პრაგმატული ადაპტაცია ქართულენოვან მკითხველისთვის .....	102
<b>დასკვნა .....</b>	<b>114</b>
<b>ბიბლიოგრაფია .....</b>	<b>116</b>

## შესავალი

მეოცე საუკუნის დასასრულს, როდესაც საქართველომ მოიპოვა ნანატრი თავისუფლება, პირველ რიგში შეიცვალა საგარეო პოლიტიკა და გაიზარდა საქართველოს უშუალო კონტაქტები არამარტო ევროპის, არამედ აზიის ქვეყნებთან. საერთაშორისო გლობალიზაციის პირობებში ძალიან მწვავედ დადგა საკითხი, რომ საერთაშორისო ასპარეზზე წარმატებული საქმიანობისთვის საქართველოს ესაჭიროება კონკურენტუნარიანი, მაღალპროფესიული, პოლილინგვალური თაობის გაზრდა. ნებისმიერი საქმიანი ურთიერთობა იწყება ენისა და კულტურის ათვისებით. საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციამ გამოიწვია ენობრივი სიტუაციის შეცვლა. საქართველოს ევროპულ სივრცეში მისწრაფებამ განაპირობა ინგლისური ენის გაბატონება, მაგრამ აღმოსავლეთის ქვეყნებთან საქმიანი კავშირების დამყარება მოითხოვს აღმოსავლეთის ენებისა და კულტურების შესწავლას (იაპონური, ჩინური, კორეული და სხვ.).

აღმოსავლეთი და დასავლეთი უძველესი დროიდან უპირისპირდებოდა ერთმანეთს: განსხვავებული კულტურა, წეს-ჩვეულებები, სხვანაირი ხედვა, ქცევა, ეროვნული მენტალიტეტი. ხშირად ვკითხულობთ მედია-ტექსტებში, რომ დასავლეთის ქვეყნების წარმომადგენლებს ახასიათებს „გონების კულტურა“, აღმოსავლეთის წარმომადგენლებს კი - „ემოციების“. აქედან გამომდინარეობს ის განსაკუთრებული სიმნელები, რომლებიც აღმოსავლური კულტურის წარმომადგენლებთან კომუნიკაციას ახლავს.

საქართველოს პერსპექტიული განვითარება არა მხოლოდ ევროპასთან, არამედ აღმოსავლეთის ქვეყნებთანაც არის დაკავშირებული. გარკვეულ წილად ეს განპირობებულია საქართველოს უნიკალური გეოპოლიტიკური მდებარეობით, ვინაიდან ჩვენი ქვეყანა განლაგებულია ამ ორი სამყაროს შორის. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე გადიოდა ეგრეთ წოდებული ცნობილი „აბრეშუმის დიდი გზა“, რომელიც ევროპასა და აღმოსავლეთს აერთიანებდა და ხელი

შეუწყო ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობის განვითარებას აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებს შორის. გასაკვირი არ არის, რომ ლოგისტიკა XXI საუკუნეში ცდილობს ხელახლა შექმნას ასეთი წარმატებული ალიანსი ახლო და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებთან. თანამშრომლობა და დიპლომატიური ურთიერთობები მოითხოვენ ენებისა და კულტურების შესწავლას.

ამ საჭიროების გაცნობიერება საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ზრდაში ჩანს. უკვე აქტიურად მიმდინარეობს აზიური ენების და მისი კულტურის შესწავლა მაგალითად ჩინური, თურქული, იაპონური, კორეული ენებისა და კულტურების შესწავლა (თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში), მაგრამ, სამწუხაროდ, სხვა აზიური ენებისგან შედარებით იაპონური ენა არის ახალი და შესაბამისად იაპონური ენისა და კულტურის მცოდნე სპეციალისტების დეფიციტია. გვყავს საკმაოდ პროფესიონალი კადრები თუმცა მცირე. ამიტომ ქართულ-იაპონური შეპირისპირებითი კვლევებს დიდი მნიშვნელობა გააჩნია, ფართო მნიშვნელობით ამას მიეკუთვნება სხვადასხვა მიმართულების კვლევები: იაპონური ენის შესასწავლი პრაქტიკული კურსები ქართულენოვან აუდიტორიისთვის, იაპონური და ქართული ენობრივი სისტემების შეპირისპირება, მხატვრული ლიტერატურის თარგმნა, ქართული და იაპონური საქმიანი საბუთების შედარება, პროფესიული დისკურსის შესწავლა, მათ შორის განსაკუთრებული ადგილი დიპლომატიურ დისკურსს უკავია.

ყველაფერი ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს ჩვენი სადოქტორო ნაშრომის აქტუალობა, რომლის მიზანია - დიპლომატიური დისკურსის ენობრივი, კულტურული თავისებურების შესწავლა (იაპონური და ქართულ ენების მასალაზე), რაც ქართულ პროფესიულ სივრცეში, უდავოდ, **სიახლეს წარმოადგენს**.

თარგმნის ლინგვოკულტუროლოგიური თავისებურებანი და ეფექტური მთარგმნელობითი ტრანსფორმაციები ინტენსიურად ისწავლება თანამედროვე თარგმანმცოდნეობაში, მაგრამ, იაპონურ-ქართული და ქართულ-იაპონური

თარგმანმცოდნეობის სფეროში ძალიან მცირეა მასალა. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი კვლევა საშუალებას მოგვცემს დავაზუსტოთ და გავაღრმავოთ ლინგვოკულტურული სპეციფიკის მრავალფეროვანი პალიტრა და საინტერესო მთარგმნელობითი გამოცდილების მომტანი იქნება.

ამ მიზნის მისაღწევად კვლევის პროცესში ჩვენ გვქონდა დასახული შემდეგი კონკრეტული ამოცანები:

- 1) დისკურსის განმარტებებისა და არსებული კლასიფიკაციების მიმოხილვა;
- 2) დიპლომატიური დისკურსის დახასიათება ენობრივ და პრაგმატულ ასპექტში;
- 3) ქართული დიპლომატიური დისკურსის ლინგვოკულტურული თავისებურებანი;
- 4) იაპონური დიპლომატიური დისკურსის ლინგვოკულტურული თავისებურებანი;
- 5) ქართული და იაპონური დიპლომატიური დისკურსის თარგმნის პრობლემების ანალიზი.

სადისერტაციო ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა მდებარეობს მთელი რიგი ცნებების დაზუსტებაში და დახვეწაში (დისკურსი, დიპლომატიური დისკურსი, კულტურული დიპლომატია, მთარგმნელობითი სტრატეგია და სხვ.), ნაშრომში განხილულია ნაკლებად შესწავლილი ქართულ-იაპონური დისკურსის თარგმნის ლინგვოკულტურული პრობლემები.

**პრაქტიკული მნიშვნელობა:** ჩატარებული კვლევის შედეგების პრაქტიკული მნიშვნელობა უდავოა, ვინაიდან ნაშრომში გაანალიზებული მასალა და დასკვნები წარმოადგენენ დიდ ინტერესს ლინგვისტებისთვის, მთარგმნელებისთვის, პროფესიული დიპლომატიური კადრების მომზადებისთვის. მათი გამოყენება შეიძლება მთელი რიგი დისციპლინების პრაქტიკული მეცადინეობებზე (სოციოლინგვისტიკა, ზოგადი თარგმანის თეორია და პრაქტიკა, ტექსტის ლინგვისტიკა და სხვ). ქართული და იაპონური დისკურსის შესწავლა ხელს შეუწყობს პროფესიული კადრების მომზადებას,

ასევე სარგებლობას მოუტანს პრაქტიკოს მთარგმნელებს დიპლომატიური დისკურსის თარგმნის განხორციელებაში.

ჩვენი კვლევის **მეთოდოლოგიურ საფუძველს** წარმოადგენს კომპლექსური მეთოდიკა, რომელიც უზრუნველყოფს ეფექტურობას და მიღებული დასკვნების სანდოობას, კვლევის პროცესში გამოყენებული იქნა შემდეგი მეთოდები და ხერხები: ლინგვისტური დაკვირვებისა და აღწერის მეთოდი, შედარებით-ტიპოლოგიური კვლევის მეთოდის ძირითადი ხერხები (შეპირისპირებითი ანალიზი), ინტერპრეტაციისა და განზოგადების მეთოდი, ენათშორისი ეკვივალენტობის დადგენის მეთოდი და დისკურს ანალიზი.

კვლევის მიზანმა და ამოცანებმა განაპირობა მისი შემდეგნაირი სტრუქტურა: სადოქტორო ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისაგან. პირველ თავში განხილულია დიპლომატიური დისკურსი ინტერდისციპლინარულ ჭრილში; მეორე თავი ეძღვნება ქართული და იაპონური დისკურსის ლინგვოკულტურული თავისებურებების დახასიათებას; მესამე თავში გაანალიზებულია იაპონურ-ქართული თარგმანის თავისებურებანი. აგრეთვე დანართის სახით წარმოდგენილია **კვლევის ემპირიული მასალა**: დიპლომატიური ურთიერთობების საბუთები, იაპონური საელჩოს ოფიციალური მიმოწერა, განხორციელებული ზეპირი თარგმნის მასალები.

## I თავი

### \დიპლომატიური დისკურსი ინტერდისციპლინარულ ჭრილში

#### § 1.1 დისკურსის ცნება ანთროპოცენტრულ პარადიგმაში

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ლინგვისტებმა საოცარი აღმოჩენა გააკეთეს. მიუხედავად იმისა, რომ ლინგვისტური ხასიათის გამოყენებითი საქმიანობა და ლინგვისტიკა, როგორც თეორიული მეცნიერება, მრავალ საუკუნიან პერიოდს მოიცავს, „მოლაპარაკე ადამიანი“ (HOMO LOQUENS) ლინგვისტების ყურადღების მიღმა იყო დარჩენილი. კომუნიკაციის თეორიის, სემიოტიკის განვითარებამ, სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ, გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესებმა ახალი ლინგვისტური პარადიგმის - ანთროპოცენტრული პარადიგმის განვითარება განაპირობეს. მოლაპარაკე ადამიანის შესწავლამ კი მოითხოვა პრაგმატიკის ფართო სპექტრის ამოქმედება. განვითარდა ლინგვოკულტურული, ფსიქოლინგვისტური, სოციოლინგვისტური და სხვ. ინტერდისციპლინარული ხასიათის კვლევები.

წარმატებული საერთაშორისო კომუნიკაცია მოითხოვს არა მხოლოდ ენისა და კულტურის თავისებურებების შესწავლას, არამედ დისკურსის ტიპის, მისთვის მისი მახასიათებლების დაზუსტებას.

დისკურსი - რთული ფენომენია, რომელიც შეისწავლება ჰუმანიტარულ სფეროში სხვადასხვა ასპექტში. დისკურსის ფილოსოფიურ საფუძვლებს ფილოსოფოსები შეისწავლიან. ფილოლოგიის განვითარება უძველესი დროიდან იყო დაკავშირებული ფილოსოფიასთან. უძველესი ლინგვისტური კვლევები გამოყენებითი ხასიათის იყო და რამდენიმე ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა (სიტყვის ბუნების გააზრება, რიტორიკა, ენების აღწერა, ენის სწავლების მეთოდოლოგია, სიტყვების დამახსოვრების ტექნიკა, გრამატიკული ხასიათის დამხმარე ლიტერატურის შედგენა, ტექსტების აღქმის პრობლემების ანალიზი, ლექსიკონების შემუშავება და სხვ.).

ენათმეცნიერების განვითარების გამოყენებით პერიოდს აგრეთვე ახასიათებენ როგორც „გრამატიკული ხელოვნების“ განვითარების ეტაპს, განსაკუთრებით, ანტიკურ

ტრადიციაში (ორატორული ხელოვნების განვითარება). პოპულარული გახდა პლატონისა და არისტოტელეს კამათი (დიალოგი) სიტყვის ბუნების შესახებ.

თეორიული ენათმეცნიერების ჩამოყალიბება მხოლოდ მე-19 ს. დასაწყისში განხორციელდა, რაც გახდა შესაძლებელი კერძო ლინგვისტური მეთოდის შემუშავების შედეგად. მე-19 ს. დასაწყისიდან იწყება ენათმეცნიერების განვითარების ახალი პერიოდი და ყალიბდება პირველი სამეცნიერო პარადიგმა - შედარებით-ისტორიული ლინგვისტური პარადიგმა. სულ ენათმეცნიერების განვითარებაში გამოყოფენ 4 პერიოდს, აქედან სამი სამეცნიერო პარადიგმებს წარმოადგენს:

- პირველი პერიოდი - უძველესი დროიდან მე-19 ს. დას. - გამოყენებითი ლინგვისტიკა;

- მეორე პერიოდი და, ამავდროულად, პირველი სამეცნიერო პარადიგმა - შედარებით-ისტორიული - მე-19 ს., ლინგვისტების ყურადღების ცენტრში იყო მონათესავე ენები და მათი არქიფორმების აღდგენა;

- მესამე პერიოდი და მეორე სამეცნიერო პარადიგმა - სტრუქტურალიზმი - მე-20 ს. 20-60 წწ. აქტიურად მიმდინარეობდა ენობრივი სისტემების შესწავლა, მათი სტრუქტურის შედარება/შეპირისპირება. მნიშვნელოვანი იყო ენობრივი ნიშნის ბუნების ანალიზი და სისტემური ურთიერთობების დადგენა (სინტაგმატური, პარადიგმატური და სხვ.);

- მეოთხე პერიოდი და მესამე სამეცნიერო პარადიგმა, რომელიც დღემდე გაბატონებულია ენათმეცნიერებაში - ანთროპოცენტრული ლინგვისტური პარადიგმა - მე-20 ს. 70 წწ. დღემდე.

უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული პერიოდიზაცია გარკვეულ წილად პირობითია, მე-19 ს. ბოლოს და მე-20 ს. დასაწყისში გაძლიერდა ლინგვისტური კვლევების ახალი მიმართულება - მლადოგრამატიზმი, მაგრამ პარადიგმის სტატუსი არ მოიპოვა.

პარადიგმის ცნება გვიან გავრცელდა მეცნიერებაში და ეკუთვნის ამერიკელ ფიზიკოს ტომას კუნს, რომელიც მეცნიერების განვითარების ისტორიას აანალიზებდა, ცნობილ მონოგრაფიაში „სამეცნიერო რევოლუციების სტრუქტურა“ მან აღნიშნა, რომ

„მეცნიერული პარადიგმა არის ყველას მიერ აღიარებული მეცნიერული მიღწევები, რომლებიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში აძლევენ მეცნიერულ საზოგადოებას პრობლემების წამოყენების და მათი გადაწყვეტის მოდელს“ (Kuhn, 2005:87).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, XX-XXI სს. მიჯნაზე ლინგვისტური კვლევების ერთ-ერთი წამყვანი მიმართულება გახდა ანთროპოცენტრიზმი, (ტერმინი მომდინარეობს ბერძნული სიტყვისგან „*άνθρωπος* — ადამიანი და ლათინური *centrum* — ცენტრი). ანთროპოცენტრიზმი სამეცნიერო აზროვნების ისეთი მიმართულებაა, როდესაც ადამიანი ექცევა ყურადღების ცენტრში. ენათმეცნიერების ხანგრძლივი განვითარების პროცესში ეს უკვე მესამე თეორიული პარადიგმაა, მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ შედარებით-ისტორიული და სტრუქტურულ-სემანტიკური პარადიგმების ფარგლებში მეცნიერები შეისწავლიდნენ ენას „ადამიანის გარეშე“: ჯერ იკვლევდნენ სხვადასხვა ენების გენეალოგიას, იქმნებოდა ენების გენეალოგიური, შემდეგ კი ტიპოლოგიური კლასიფიკაციები.

მე-20 საუკუნის 30-ან წლებში ფერდინანდ დე სოსიურმა დააყენა ლინგვისტიკის ყურადღების ცენტრში ენისა და მეტყველების დაპირისპირება, მაგრამ, პირველ რიგში, დაიწყო ენობრივი სისტემების თავისებურებების, მათი სტრუქტურისა და სემანტიკის ინტენსიური შესწავლა. ცოცხალი სალაპარაკო მეტყველება კი უფრო გვიან გახდა ლინგვისტური კვლევის ობიექტი, მისი თავისებურებების დაფიქსირება სხვადასხვა კონკრეტულ და ტიპიურ სიტუაციებში მე-20 საუკუნის 60-ან წლებში მოხერხდა. მხოლოდ ამ პერიოდში იყო კარგად გააზრებული სოსიურის მიერ ჩამოყალიბებული დიქტომია *langue – parole*, რომელიც ერთი და იგივე მოვლენის ორ მხარეს წარმოადგენს, ამიტომ ენის ლინგვისტიკის გარდა აუცილებელია მეტყველების ლინგვისტიკის განვითარება და შესწავლა.

მეტყველებაზე გადართვა კიდევ ერთი ფაქტორით იყო განპირობებული - სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციით. რადიო, ტელევიზია, კომპიუტერი - ამ გამოგონებებმა ჩამოაყალიბეს საინფორმაციო საზოგადოება, მასობრივი კომუნიკაციის გაბატონებამ კი მისი თეორიული შესწავლის აუცილებლობა გამოიწვია. კომუნიკაციის

პირველი კათედრა 1940-ან წლებში ამერიკაში გაიხსნა. ანგლო-ამერიკულ მიმართულებაში კომუნიკაციის ლინგვისტური ანალიზი იყო განხორციელებული. ლუდვიგ ვიტგენშტეინის ნაშრომებში „ენობრივი გამოცდილება“ არის გაანალიზებული. ფრანგი მეცნიერები არ შემოიფარგლებიან მხოლოდ ენობრივი კომუნიკაციით და განიხილეს კომუნიკაციის სოციალური პრობლემები (ხელისუფლება, იდეოლოგია, დისკურსი). გერმანელი მეცნიერები და ისეთი მკვლევრები, როგორც მიხაილ ბახტინი, ემანუელ ლევინასი, ოიგენ როზენშტოკ-ხიუსი და სხვ. განიხილავდნენ კომუნიკაციის ფილოსოფიურ ასპექტებს.

ფ. ი. შარკოვი იყენებს ნეოლოგიზმს „კომუნიკალოგია“ და გულისხმობს მისი ოთხ მნიშვნელობას, ესენია:

- 1) კომუნიკაციის თეორია;
- 2) კომუნიკაციის სახეობები (მასობრივი კომუნიკაცია, ჯგუფური, კულტურათაშორისი და სხვ.);
- 3) კომუნიკაციის შემსწავლელი მეცნიერებები და მიმართულებები (კომუნიკაციის სოციოლოგია, ფსიქოლოგია და სხვ.);
- 4) კომუნიკაციური პრაქტიკა საზოგადოების სხვადასხვა სფეროში სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით (Шарков, 2000:185).

რომან იაკობსონი, იური ლოტმანი, ლუდვიგ ვიტგენშტეინი, კლოდ ლევი-სტროსი, როლან ბარტი, პაულ გრაისი, ჟაკ დერიდა და სხვ. კომუნიკალოგიის ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენლები არიან.

შეიძლება ითქვას, რომ კომუნიკაციის თეორიის განვითარებამ „დააბრუნა“ ადამიანი ლინგვისტურ კვლევების ცენტრში. ლინგვისტური სამეცნიერო პარადიგმა ანთროპოცენტრული გახდა იმდენად, რამდენადაც მასში წამყვან როლს ასრულებს პრაგმატიკა – სემიოტიკაზე დაფუძნებული ლინგვისტიკის დარგი, რომელიც იკვლევს ადამიანს, როგორც კომუნიკაციის სუბიექტს.

თეორიული ლინგვისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი ვ. ჰუმბოლდტი ამბობდა: „ენა არის არა მკვდარი პროდუქტი, არამედ შემოქმედებითი პროცესი“ (Гумбольдт 1990:32). სწორედ ჰუმბოლდტისეულ იდეაზე ხდება თანამედროვე ანთროპოცენტრული პარადიგმის აგება. ანთროპოცენტრიზმის კონცეპტუალური ვარიანტი, რომელიც ეყრდნობა კომუნიკაციურ ლინგვისტიკას, მთლიანადაა დაკავშირებული თანამედროვე ლინგვისტიკის მსოფლმხედველურ საფუძველთან (მეცნიერების განვითარების მესამე ეტაპზე ეს მსოფლმხედვა შეიცვალა მხოლოდ ადამიანის ხედვით: მსოფლმხედველობითი აზროვნების ყურადღების ცენტრში მოექცა არა საგნობრივად დანახული სამყარო, არამედ თავად ადამიანი). და თუ ჩვენ საკითხს მივუდგებით ანთროპოცენტრულად, მხოლოდ მაშინ გავიაზრებთ ენას არა როგორც „მკვდარ პროდუქტად“, არამედ როგორც შემოქმედებით პროცესად და სწორედ შემოქმედებით პროცესში ჩანს ენის ანთროპოცენტრისტული ინტერპრეტაცია.

იური კარაულოვის აზრით, შეუძლებელია თვით ენა გაიგო, თუ არ გახვალ მისი ფარგლების გარედ, თუ არ მიმართავ შემქმნელს, მატარებელს, მომხმარებელს - ადამიანს, კონკრეტულ ენობრივ პიროვნებას“ (Караулов, 2007:72).

შეიძლება დავასკვნათ, რომ ანთროპოცენტრული ლინგვისტური პარადიგმის ფარგლებში სამეცნიერო კვლევების მთავარი პრინციპია - ყველა ობიექტი იყოს შესწავლილი მათი როლის მიხედვით ადამიანის ცხოვრებაში, მათი დანიშნულებისა და ფუნქციის მიხედვით მის ცხოვრებაში და განვითარებაში. ამის დასტურად საკმარისია ჩამოვთვალოთ ისეთი ცნობილი კვლევები, როგორც: „ადამიანის ფაქტორი ენაში“ ნინა არუტიუნოვა, „ადამიანის სახე ენობრივი მონაცემების მიხედვით“ იური აპრესიანი, „Homo lingualis კულტურაში“ ვალენტინა მასლოვა, „Homo loquens და კულტურის კოორდინატთა სისტემა“ ვიქტორია კრასნიხ, „პარადიგმა ადამიანის სახით“ ვალერი დემიანკოვი და სხვ.

თანამედროვე ენათმეცნიერებაში უკვე იკვეთება კოგნიტურ-დისკურსული პარადიგმა, რომლის ფარგლებში მეცნიერები იკვლევენ სხვადასხვა საშუალებებით ინფორმაციის მიღება-გადაცემის, კოდირებისა და შენახვის საკითხებს, რასაც შედეგად

მოკყვა ცოდნის სხვადასხვა დარგების ჰუმანიტარულ მეცნიერებათა რიგებში მოხვედრა. ჰუმანიტარულ კვლევათა ერთ-ერთი ასპექტიაგანია ანთროპოცენტრიზმი, რომელიც მოიაზრებს ადამიანს ცენტრად და „სამყაროში მომხდარი ყველა მოვლენის,, სათავედ. ანთროპოცენტრისტული პრინციპის ანუ, როგორც ბენვენისტი უწოდებს, „ადამიანი ენაში“ პრინციპის გამოყენება განსაკუთრებულ ადგილს იჭერს ლინგვისტიკაში. ანთროპოცენტრისტული შეიძლება იყოს ყველა ჰუმანიტარული მეცნიერება. ანთროპოცენტრიზმი შეიძლება გავიაზროთ, როგორც მეცნიერული პრინციპი.

ლინგვისტიკის განვითარებამ მიიყვანა მეცნიერები დისკურსამდე.

ფერდინანდ დე სოსიურის მიერ შესწავლილი ენისა და მეტყველების დიხოტომია თანამედროვე ლინგვისტიკაში სამ ნაწილად მოიაზრება:

#### **ენა - მეტყველება - დისკურსი.**

თუ ენობრივი სისტემა ინსტრუმენტს, ურთიერთობის იარაღს წარმოადგენს, მეტყველება გააზრებულია როგორც ამ იარაღის გამოყენების პროცესი. დისკურსი კი, ცნობილი მეცნიერი ნინა არუტიუნოვას აზრით, ნიშნავს მეტყველებას ყველანაირი ცხოვრებისეული ნიუანსების გათვალისწინებით (Арутюнова 2005:28).

თანამედროვე ლინგვისტიკაში, განსაკუთრებულად ტექსტის ლინგვისტიკაში, და კომუნიკაციის თეორიაში დისკურსი განხილულია როგორც „თემატურად, კულტურულად ან კიდევ რამე ნიშნით ურთიერთდაკავშირებული ტექსტების ერთობლიობა, რომლის განვითარება და შევსება შესაძლებელია დამატებითი ტექსტებით“ (ლინგვისტიკურ და სემიოტიკურ ტერმინთა ინგლისურ-რუსულ ლექსიკონი, <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=10082> - წვდომის თარიღი - 20.05.24).

მიშელ ფუკოს განმარტებით, დისკურსი არის ურთიერთობა, რომელიც განიხილება როგორც გარკვეული დისკურსული „პრაქტიკების“ განხორციელება. იურგენ ჰაბერმასის განმარტებაში დისკურსი განსაზღვრულია როგორც სამეტყველო კომუნიკაციის სახეობა, რომელიც გულისხმობს სოციალური ცხოვრების ღირებულებათა, ნორმათა და წესთა რაციონალურ კრიტიკულ განხილვას და რომლის ერთადერთი მოტივია

ურთიერთგაგების მიღწევა“ (ლინგვისტიკურ და სემიოტიკურ ტერმინთა ინგლისურ-რუსულ ლექსიკონი, წვდომის თარიღი - 20.05.24, <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=10082>).

დისკურსის შესწავლა კვლევების უზარმაზარ სფეროს წარმოადგენს, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნისა და სპეციალობის მეცნიერები არიან დაკავებულნი. შეგვიძლია გამოვყოთ დისკურსულ კვლევებთან დაკავშირებული ჰუმანიტარულ-სოციალური მეცნიერებების შემდეგი მიმართულებები: ფილოსოფია, მეთოდოლოგია, ლინგვისტიკა, ლიტერატურათმცოდნეობა, კომუნიკაციის თეორია, ფსიქოლოგია, სოციოლინგვისტიკა, ლინგვოკულტუროლოგია, სემიოტიკა და სხვ.

როგორც აღნიშნავს დოროტა ბზიჟოვსკა (პოლონეთი), ამ ტერმინის პოპულარობამ გამოიწვია მისი მნიშვნელობის გაფართოება და დღესდღეობით არსებობს უამრავი განმარტება, რომელიც ვარიანებს მეცნიერებისა და სამეცნიერო მიმართულების/სკოლის ფარგლებში (Дискурс в академической перспективе. Материалы круглого стола. Минск, 2010:10).

ფართო მნიშვნელობით დისკურსი არის ენის გამოყენების ნებისმიერი მონაკვეთი შესაბამის სოციალურ სიტუაციაში, მაგრამ მისი დაკონკრეტება უშუალოდ დამოკიდებულია სამეცნიერო სფეროზე თუ მიმართულებაზე, ავტორის ხედვაზე. პოლონური საწიგნო პროდუქციის ანალიზის შედეგად დოროტა ბზიჟოვსკა გამოყო დისკურსის შესწავლის შემდეგი მიდგომები:

- 1) გარკვეული ტიპის დისკურსი (აკადემიური, ნარატიული, საზოგადოებრივი, ფემინისტური, რელიგიური, პოლიტიკური და სხვ.);
- 2) დისკურსი რაღაცის შესახებ (დისკურსი კულტურაზე, რაციონალიზმზე, სიახლეების დისკურსი და სხვ.);
- 3) რაღაცა დისკურსში (ტექსტის ანალიზი, გამოხატული ხედვა, სპეციალური ლექსიკა დისკურსში და სხვ.);
- 4) დისკურსის შემადგენელი ნაწილები/მხარეები (დისკურსის ანატომია,

გრამატიკა, დისკურსის თეორიები და სხვ.);

- 5) დისკურსი და რაღაცა (დისკურსი და ფილოსოფია, დისკურსი და კრიტიკა და სხვ.).

აგრეთვე მეცნიერს მოჰყავს დისკურსთან დაკავშირებული პოპულარული ტერმინები და გამონათქვამები, ესენია: დისკურსის ანალიზი, კოგნიტური დისკურსი, თანამედროვე დისკურსი, კრიტიკული დისკურსი, დიდაქტიკური, ლიტერატურული, საჯარო დისკურსი და სხვ. ამ ფაქტორებიდან გამომდინარე ის აკეთებს დასკვნას, რომ დისკურსი საკმაოდ რთული და სადავო ცნებაა, რომელსაც ზოგჯერ ახასიათებს არა გამართლებული გამოყენება (Дискурс в академической перспективе. Материалы круглого стола. Минск, 2010:11).

ირინა უხვანოვა ანალიზებს ამ ტერმინის მნიშვნელობას ინგლისურ, ფრანგულ, ესპანურ და რუსულ ლექსიკონების მიხედვით და ამის საფუძველზე ამტკიცებს, რომ დისკურსის მრავალი განმარტება მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენ არ შეგვიძლია გავაიგივოთ მეტყველება და დისკურსი, რომელიც მოითხოვს ინტერდისციპლინარულ კვლევებს მისი დაზუსტებისთვის (Дискурс в академической перспективе, 2010:12).

მეთოდოლოგიის ჭრილში შემუშავებულია ეგრეთ წოდებული დისკურს-ანალიზის პარამეტრები. დისკურს-ანალიზი პირველად გამოიყენა ამერიკელმა ლინგვისტმა ზელიგ ხერრისმა 1952 წ. მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში გავრცელდა და პოპულარული გახდა ინტერდისციპლინარულ კვლევები - ლინგვისტიკის, კომუნიკაციის თეორიის, სოციოლოგიის, ანთროპოლოგიის და სხვა მეცნიერებების გზაჯვარედინზე. დისკურს-ანალიზი ყველაზე მასშტაბური და მრავალ ხერხიანი მეთოდია, რომელიც გვადლევს საშუალებას კომუნიკაციის პროცესის ნიუანსებიც შევისწავლოთ.

განვითარდა სხვა და სხვა მიმართულებაში: ანთროპოლოგია - ანტონიო ნუნისი ჰიმენესი, ზიგმუნდ ბაუმანი; ლინგვისტიკა ტიონ ადრიანუს ვან დეიკი, ვილიამ ლაბოვი, დჟონ გამპერსი, იური სტეპანოვი, ვლადიმერ კარასიკი; პრაგმატიკა - დჟ. ოსტინ სერლი, ვუნდერლიხი; სემიოტიკა - როლან ბარტი, უმბერტო ეკო, გიუნტერ კრესი; კოგნიტური ფსიქოლოგია - ვოდაკი, მეიერი და სხვ.

დისკურს-ანალიზი წარმოადგენს სხვადასხვა მიმართულების ხერხებს, რომლებიც ორიენტირებული ლინგვისტური პრობლემის კვლევაზე. ყოველთვის გულისხმობს ენობრივი სტრუქტურის, მეტყველებისა და სოციალური იერარქიული სტრუქტურების მიმართ ყურადღებას. გავრცელებულია აზრი, რომ ცხოვრებისეული ნიუანსებზე ორიენტირებული მეტყველებას წარმოადგენს (Арутюнова 2005:28).

ნორმან ფერკლაფი თვლის, რომ დისკურსი წარმოადგენს გადასვლას ტექსტის და სოციალური კონტექსტის შორის.

დისკურს-ანალიზის მასალას წარმოადგენს: ბუნებრივი სამეტყველო ერთეულები, დიალოგები, მონოლოგები, პოლილოგები; ელექტრონული პოსტით ურთიერთობა, საქმიანი საბუთები, ოფიციალური მიმართვები, მასობრივი კომუნიკაციის ტექსტები, მხატვრული ლიტერატურა და სხვ.

დისკურს-ანალიზის დროს აპირისპირებენ მაკრო- და მიკრო-სტრუქტურას. ანალიზის ერთეულებია - სამეტყველო სიტუაცია, სამეტყველო ქმედება, კომუნიკაციური აქტი (ინტერაქციული).

ვლადიმერ კარასიკი თვლის, რომ დისკურს-ანალიზის დროს ვაქცევთ ყურადღებას შემდეგ ფაქტორებზე: კომუნიკაციის მონაწილეებს, მათი სოციალურ-იერარქიულ როლებს საზოგადოებაში, ურთიერთობის კონკრეტულ პირობებს, სამეტყველო აქტის მიზნებსა და ინტენციებს, მათი გამოხატვის ხერხებს, კომუნიკაციის არხს, დისკურსის კოჰეზიას (ანუ ფორმალურ-გრამატიკული ასპექტებს) და კოჰერენტულობას (უფრო ფართოდ აღქმული სემანტიკურ-გრამატიკული ასპექტები და ბმულობა). დისკურს-ანალიზის დროს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება პრაგმატული კონტექსტის შესწავლას.

არანაკლები მნიშვნელობა დისკურს-ანალიზის დროს ენიჭება აგრეთვე ინფორმაციის გამოხატვის ექსპლიციტურ და იმპლიციტურ ხერხებს, ენობრივი საშუალებების არჩევას და მათი ემოციურ მხარეს.

თანამედროვე ლინგვისტიკაში შესასწავლად ფართოდ გამოიყენება კომუნიკაციის ყველა ტიპი: დიპლომატიურ დისკურსი, პოლიტიკური დისკურსი, დიდაქტიკური,

რელიგიური დისკურსი, ხელოვნების დისკურსი, პროფესიული დისკურსი და სხვ.), რომლებსაც საერთო ნიშანთვისებების გარდა კონკრეტული სპეციფიკა ახასიათებს, ამიტომაც დისკურსის შესწავლის ერთ-ერთ საინტერესო მხარეს წარმოადგენს მისი ანალიზი მთარგმნელობით ჭრილში.

თარგმანის თეორია, რომელიც ენათშორისი კომუნიკაციის პროცესის რეალისტური ასახვისკენ ისწრაფვის, გვერდს ვერ აუვლის მნიშვნელოვან ფაქტორს, რაც იმაში გამოიხატება, რომ თარგმანის თეორია არა მხოლოდ სამეტყველო ფენომენია, არამედ კულტურის ფენომენიც. სინამდვილეში მთარგმნელობითი პროცესი კვეთს არა მხოლოდ ენათა საზღვრებს, არამედ კულტურათა საზღვრებსაც და ამ პროცესში შექმნილი ტექსტი მშვენივრად ჯდება არა მხოლოდ სხვა ენობრივ სისტემაში, არამედ სხვა კულტურულ სისტემაშიც.

ჩვენს საუკუნეში თარგმანის სოციალური არსი სულ უფრო მეტად იპყრობს მკვლევართა ყურადღებას. თარგმანი ენობრივ კავშირებს ამყარებს ხალხთა და კულტურათა შორის. თარგმანმცოდნეობის აქტიურად განვითარებად დარგს წარმოადგენს სხვადასხვა ტიპის დისკურსის თარგმანი (ეგრეთ წოდებული თარგმანმცოდნეობის სპეციალური თეორია/ან/ტრანსლატოლოგია, მაგალითად საზღვაო დისკურსის თარგმნის თავისებურებანი, სამედიცინო დისკურსის თარგმნის პრობლემები და სხვ.).

მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერი თარგმანი თარგმანმცოდნეობის ზოგად კანონზომიერებებს ეყრდნობა, ყველა ტიპის დისკურს მისი თავისებური ნიშანთვისებები ახასიათებს, რაც აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ადეკვატური თარგმნის მისაღწევად. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ლინგვიკულტურული ცნებების გადმოტანა სამიზნე ტექსტში (კონცეპტი, პრეცედენტული სახელები, პრეცედენტული ტექსტები, ლაკუნები, რეალიები, ფონური ინფორმაცია, კულტურული კონოტაციის მატარებელი ლექსემები, ფონური ინფორმაცია, ექსპლიციტი და იმპლიციტი თარგმანში და სხვ.).

დისკურსის განმარტება ავლენს მრავალფეროვნებას არა მარტო ჰუმანიტარულ სფეროში. როგორც უკვე ზემოდ აღვნიშნეთ, თანამედროვე ლინგვისტიკაში დისკურსის გაგება სხვადასხვაგვარია, ამას გარკვეულწილად განაპირობებს კვლევის სფერო, კვლევის კონკრეტული ობიექტი. მაგალითად, სოციოლოგიასა და სოციალურ სემიოტიკაში მიღებული განმარტების თანახმად დისკურსი არის ურთიერთობა, რომელიც განიხილება როგორც გარკვეული დისკურსული „პრაქტიკების“ განხორციელება (მიშელ ფუკო - ლინგვისტიკურ და სემიოტიკურ ტერმინთა ინგლისურ-რუსულ ლექსიკონი, წვდომის თარიღი - 20.05.24 <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=10082>).

ლოგიკასა და ფილოსოფიაში უფრო ხშირად დისკურსი განსაზღვრულია როგორც სამეტყველო კომუნიკაციის სახეობა, რომელიც გულისხმობს სოციალური ცხოვრების ღირებულებათა, ნორმათა და წესთა რაციონალურ კრიტიკულ განხილვას და რომლის ერთადერთი მოტივია ურთიერთგაგების მიღწევა (იურგენ ჰაბერმასი - ლინგვისტიკურ და სემიოტიკურ ტერმინთა ინგლისურ-რუსულ ლექსიკონი 2001, წვდომის თარიღი - 19.05.24 <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=10082> ).

როგორც ვხედავთ, არც ერთი განმარტება არ არის ნათელი და სრული: ერთგან იგი წარმოდგენილია როგორც ტექსტების ერთობლიობა, მეორეგან დისკურსულ „პრაქტიკებში“ განხორციელებული ურთიერთობა, ან როგორც სამეტყველო კომუნიკაციის სახეობა, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ყველა მითითებულ სფეროში (ტექსტის ლინგვისტიკა, თარგმანმცოდნეობა, დისკურს-ანალიზის მეთოდოლოგია, სოციოლოგია, სოციალური სემიოტიკა, ლოგიკა და ფილოსოფია) „დისკურსის“ განსხვავებული დეფინიციებიც არსებობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ცნების განსაზღვრება სხვადასხვა მეცნიერული ცოდნის ფარგლებშიც კი უნიფიცირებული არ არის.

ლათ. discursus ნიშნავს აქეთ-იქით სირბილს, საუბარს, ლაპარაკს, ფრანგ. discours - მეტყველებას.

როგორც ცნობილია, XX საუკუნეში ფილოსოფიამ ლინგვისტური მოდელებისა და მეთოდებისაკენ იბრუნა პირი. ენათმეცნიერთა მიერ ენისა და მეტყველების გარჩევამ,

ენის ფუნქციონირების სემანტიკური და პრაგმატიკული ასპექტებისადმი ინტერესმა, სემიოტიკურმა კვლევებმა აშკარა გახადა, რომ ცალკეულ წინადადებაში კავშირების ტიპთა შესწავლა არ იყო საკმარისი ადამიანთა ურთიერთქმედების ასახსნელად. ამიტომ კვლევა გასცდა წინადადების ფარგლებს, კერძოდ, იგი გადასწვდა მეტყველებას, როგორც სამეტყველო აქტთა ბმულ თანამიმდევრობას, რომელიც გამოხატულია სხვადასხვა ტექსტით და რომლის გაანალიზება სხვადასხვა ასპექტითაა აუცილებელი. ეს ასპექტები შეიძლება იყოს სხვადასხვანაირი: პრაგმატიკული, სემანტიკური, ემოციურ-შემფასებლური და სხვ.

გასული საუკუნის 70-იანი წლებამდე „დისკურსი“ და „ტექსტი“ ევროპულ ლინგვისტიკაში პარალელურად იხმარებოდა. ტექსტისა და დისკურსის განსხვავებისთვის ზოგ გამოკვლევაში გამოყენებულია ოპოზიცია „წერილობითი ტექსტი - ზეპირი დისკურსი“. დისკურსის ცნების დაკავშირებას მხოლოდ ზეპირ მეტყველებასთან შეიძლება ის საფუძველიც ჰქონდეს, რომ დისკურსი მეტყველების თანმხლებ, პარალინგვისტურ ელემენტებსაც შეიცავს (სხვადასხვა მიმიკას, ჟესტებს, ფონაციურ საშუალებებს), რომლებიც ტექსტში მხოლოდ აღწერის გზით შეიძლება „გაცოცხლდეს“ (ომიადე, 1998:38).

მაგრამ ის გარემოება, რომ ტექსტი ზეპირიც შეიძლება იყოს და წერილობითიც, თუ სიტყვათა აზრობრივი კავშირის თანამიმდევრობა გვაქვს, რომელიც ბმული და მთლიანია, მეორე მხრივ, დისკურსი ფაქტობრივად ამგვარი (ზეპირი და წერილობითი) ტექსტების ერთობლიობაა, ამიტომ ისიც არსებობს ზეპირი და წერილობითი ფორმით.

ჩვენი კვლევის ობიექტს წარმოადგენს იაპონურ-ქართული დიპლომატიური დისკურსი. ვინაიდან დიპლომატიური საბუთები სახელმწიფოებრივ საიდუმლოს წარმოადგენენ (უნდა გავიდეს საკმაოდ ბევრი წელი, რომ მათი გამოქვეყნება გახდეს შესაძლებელი), ჩვენი ანალიზის ობიექტს წარმოადგენს წერილობითი და ზეპირი დისკურსის შემდეგი ხელმისაწვდომი ტექსტები. წერილობით დისკურსის ტექსტებია: თბილისში განლაგებული იაპონური საელჩოს ოფიციალური საიტის მასალები (საბუთები, წერილები საქართველოს მთავრობის პირებთან), საქართველოსთან

დაკავშირებული იაპონური მედიის გამოხმაურება და სხვ. ზეპირი დიპლომატიური დისკურსის თავისებურებანი იყო შესწავლილი საქართველოსა და იაპონიის წარმომადგენლების ოფიციალური შეხვედრების მასალის მიხედვით (იხილეთ დანართი).

## §1.2 დისკურსის კლასიფიკაცია

არსებობს თვალსაზრისი, რომლის მიხედვით, დისკურსი გაგებულია უფრო ფართოდ - როგორც ყველაფერი, რაც ითქმება და იწერება, ანუ როგორც სამეტყველო ქმედება, რომელიც იმავე დროს წარმოადგენს ენობრივ მასალასაც ბგერითი თუ გრაფიკული გამოხატვით. ტექსტი კი (ვიწრო მნიშვნელობით) გაგებულია როგორც წერის მეშვეობით ფიქსირებული მასალა. ამგვარად, ტერმინები „მეტყველება“ და „ტექსტი“ იქნება სახეობრივი მათი გამაერთიანებელი გვაროვნული ტერმინის „დისკურსის“ მიმართ (Богданов, 1993:5-6). ის, რომ აქ ხაზგასმულია დისკურსის ცნების განმაზოგადებელი ბუნება, დაძლეულია ის შეზღუდვები, რომლებსაც უქმნიდა ამ ცნებას ისეთი ნიშნები, როგორიცაა მონოლოგურობა/დიალოგურობა; ზეპირი/წერილობითი, მნიშვნელოვნად მიაჩნია მ. მაკაროვს, რომელიც აღნიშნავს, რომ დისკურსის, როგორც გვაროვნული კატეგორიის გამოყენება მეტყველების, ტექსტისა და დიალოგის ცნებებთან მიმართებით, დღეს სულ უფრო ხშირად გვხვდება ენათმეცნიერულ ლიტერატურაში (Макаров 2003, 90).

დისკურსის საინტერესო კონცეფციას გვთავაზობს იური პროხოროვი 2004 წელს გამოსულ წიგნში „სინამდვილე. ტექსტი. დისკურსი“. ავტორი არ უპირისპირებს ტექსტს და დისკურსს, ვინაიდან თვლის, რომ ისინი არ შეადგენენ ერთმანეთის მეორე ნაწილს. დისკურსი ვერ იქნება ტექსტისა და სისტემის მაკავშირებელი, იური პროხოროვის აზრით ეს ორი ცნება თანაბრად არის განლაგებული სამეტყველო პროცესში, ამიტომ მათი ანალიზი მართებულია ზედა დონის გადასახედიდან. ეს მაღალი დონე კი - რეალური კომუნიკაციის პროცესია (Прохоров 2004, 32).

აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ დისკურს ენობრივი პლანი გააჩნია, რომელიც დაკავშირებულია ენობრივ სისტემასთან, მაგრამ, მისი გამოვლენა ტექსტს (უფრო ზუსტად) ტექსტების სახით ხორციელდება, თან ყველა ტექსტი თემატურ ერთობლიობას წარმოადგენენ.

ვიკტორია კრასნის აზრით, ზუსტად დისკურსში, როგორც განსაკუთრებულ ორგანიზმში, ენობრივი აზროვნების მრავალფეროვანი ასპექტები ხორციელდება (Красных, 2002: 10-11).

დისკურსი იმდენად გავრცელებული ტერმინია, რომ სოციალურ სფეროში და ფილოსოფიაში გულისხმობს ცნებების, დებულებების მთელ ჯგუფს, რომლის გააზრება განაპირობებს ჩვენ ქცევას, ქმედებებს. გარკვეულ წილად, დისკურსი სამყაროს აღქმის კუთხეს აყალიბებს, შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოების წევრი ხედავს სამყაროს „დისკურსის პრიზმაში“.

ცნობილი სემიოტიკი მიშელ ფუკო მისი კონცეფციის არგუმენტაციაში დისკურსს ეყრდნობა, ის თვლის, რომ დისკურსი ენის ისეთი ფორმას წარმოადგენს, რომელსაც საკუთარი ფორმა, განსხვავებული წესები ახასიათებს. ნებისმიერი დისკურსი (მაგალითად, საზღვაო კომუნიკაციის პროფესიული დისკურსი, სამედიცინო დისკურსი) მოიცავს მედიცინის სპეციფიკურ ენას, იმ ცოდნას, რომელსაც ის ქმნის და იმ პროფესიულ ინსტიტუტებსა და სოციალურ სივრცეებს, რომელიც მას უკავია. დისკურსი წარმოშობს სუბიექტებსაც: მაგალითად, სამედიცინო დისკურსი სხვა სუბიექტურ პოზიციებს შორის ქმნის ექიმებს, მედდებს/მედძმებს და პაციენტებს. ხელოვნებაც შეიძლება გავიგოთ, როგორც დისკურსი, როგორც ცოდნის სპეციალიზებული ფორმა. დისკურსები გამოთქმულია სხვადასხვაგვარი ვერბალური თუ ვიზუალური ტექსტების, სახე-ხატების მეშვეობით და ასევე იმ სხვადასხვა პრაქტიკითაც, რომელთა განხორციელების საშუალებასაც ეს ენები იძლევა. დისკურსის ცნების გასაგებად უაღრესად მნიშვნელოვანია ინტერტექსტუალობა. იგი გულისხმობს, რომ ცალკეული ვერბალური თუ ვიზუალური ტექსტის მნიშვნელობები დამოკიდებულია არა მხოლოდ ამ ტექსტსა

თუ ნახატზე, არამედ ამავე დისკურსში შემავალი სხვა ვიზუალური თუ ვერბალური ტექსტების მნიშვნელობებზეც (Rose, 2007).

### **დისკურსის ჟანრები:**

ჟანრის ცნება, რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა პოეტიკასა (ლიტერატურული ჟანრები) და რიტორიკაში (ორატორული ჟანრები), ნაკლები ყურადღების ცენტრში იყო ლინგვისტიკასა და დისკურსის ანალიზში. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ბახტინმა შესძინა ჟანრის ცნებას აქტუალობა დისკურსში. აქედან გამომდინარე, დისკურსის ანალიზის თეორიაში დიდი მნიშვნელობა აქვს ჟანრის ცნებასაც, რადგან, როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, „დისკურსის პროდუცირება, ზეპირი იქნება ეს თუ წერილობითი, დისკურსის ჟანრებით არის აგებული“ (Detrie, Siblot, Verine, 2001 : 129). რადგანაც ადამიანის საქმიანობა მრავალფეროვანი და ამოუწურავია, შესაბამისად, დისკურსის ჟანრებიც იმდენად მრავალფეროვანია, რომ შეუძლებელია მათ შესასწავლად ერთი საერთო ნიადაგის მოძებნა. მაგალითად, ეს იქნება ყოველდღიური ბანალური რეპლიკა თუ მრავალტომიანი რომანი. რადგანაც ჩვენი თემის კორპუსად ავირჩიეთ დისკურსის ჟანრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტიპი, პოლიტიკური და დიპლომატიური დისკურსი, არ შეიძლება ზოგადად, არ შევვხვით, კერძოდ კი, მიხაილ ბახტინის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს დისკურსის ჟანრების შესახებ. ბახტინი თავის ნაშრომში აღნიშნავს: „საუბრისას ჩვენ ყოველთვის დისკურსის ჟანრებს ვიყენებთ....პრაქტიკაში ჩვენ მათ დარწმუნებითა და მოხერხებით ვიყენებთ.... ეს დისკურსის ჟანრები ჩვენ თითქმის ისევე გვაქვს ბოძებული, როგორც ჩვენი მშობლიური ენა... ჩვენი მეტყველება ისევეა დისკურსის ჟანრებით აგებული, როგორც ამას გრამატიკული ფორმები ახერხებენ“ (Bakhtine, 1984: 268).

მიხაილ ბახტინი გამოყოფს პირველად (მარტივ) და მეორად (რთულ) დისკურსის ჟანრებს. დისკურსის პირველად ჟანრს მიეკუთვნება სპონტანური ვერბალური გაცვლები. ხოლო, დისკურსის მეორადი ჟანრები - რომანი, თეატრი, პოლიტიკური დისკურსი, მეცნიერული დისკურსი - თავს იჩენს კულტურული (ძირითადად წერილობითი)

გაცვლის გარემოებებში, როგორცაა მხატვრული, მეცნიერული, სოციო-პოლიტიკური, რომლებიც უფრო რთული და მეტად ღირებულნი არიან. შექმნის პროცესში ეს მეორადი ჟანრები შთანთქავენ და გარდაქმნიან პირველად ჟანრებს, რომლებიც, თავის მხრივ, სპონტანური, ვერბალური გაცვლის დროს შეიქმნა. პირველადი ჟანრები, ხდებიან რა მეორადი ჟანრების შემადგენელი ნაწილები, გარდაიქმნებიან და განსაკუთრებულ მახასიათებლებს იძენენ, კარგავენ პირდაპირ კავშირს არსებულ და სხვისი გამონათქვამების რეალობასთან, რომლებიც რომანის ნაწილს შეადგენენ.

დისკურსის ჟანრების მრავალფეროვნება ნათლად წარმოაჩენს ინდივიდუალურობის ასპექტებს, ხოლო ინდივიდუალურ სტილს შეუძლია თავისი საერთო კავშირი აჩვენოს ენასთან. ამდენად, მოცემულ პარაგრაფში შევეცადეთ, გადმოგვეცა მეცნიერთა მიერ შემოთავაზებული მოსაზრებანი, დისკურსის ჟანრებთან მიმართებაში და გვეჩვენებინა, თუ რამდენად მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს იგი დისკურსის ანალიზისა და გამონათქვამის თეორიისათვის.

ვლადიმერ კარასიკის აზრით, დისკურსი წარმოადგენს „ტექსტისა და კომუნიკაციური სიტუაციის ერთობლიობას“ (Карасик, 2002:36).

დისკურსის ცნების გასაგებად უაღრესად მნიშვნელოვანია ინტერტექსტუალობა. იგი გულისხმობს, რომ ცალკეული ვერბალური თუ ვიზუალური ტექსტის მნიშვნელობები დამოკიდებულია არა მხოლოდ ამ ტექსტსა თუ ნახატზე, არამედ ამავე დისკურსში შემავალი სხვა ვიზუალური თუ ვერბალური ტექსტების მნიშვნელობებზეც.

დისკურსი ტექსტს რომ შევადაროთ, ასეთ დაპირისპირებულ ნიშანთვისებები გამოგვივა:

- 1) დისკურსი - დინამიურია, ვითარდება მოღვაწეობის პროცესში;
- 2) ტექსტი - სტატიკურია, წარმოადგენს ენობრივი ქმედების შედეგს.

გასული საუკუნის 70-იანი წლებამდე „დისკურსი“ და „ტექსტი“ გამოიყენებოდა თითქმის როგორც სინონიმური ცნებები, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ დისკურსი ზეპირ ფორმას წარმოადგენდა, ტექსტი კი - წერილობით ფორმას. ქართულ ლინგვისტიკაში

დისკურსის თაობაზე გავრცელებული მსჯელობა სალომე ოშიაძის მონოგრაფიაში არის მოცემული. ამ ორი ცნებას შორის ავტორი ხედავს იმ განსხვავებას, რომ დისკურსი მოიცავს ისეთ არავერბალურ, პარალინგვისტურ ხერხებს (ჟესტები, მიმიკა, პოზა და სხვ.), რომლებიც წერილობით ტექსტში აღწერის გზით მიიღწევა. მაგრამ, ვინაიდან ტექსტი ზეპირ ფორმაშიც არსებობს და ფუნქციონირებს ცოცხალ მეტყველებაში, ამიტომ დისკურსი აღიარებულია როგორც ზეპირი და წერილობით ტექსტების ერთობლიობა (ოშიაძე 2009:7).

ჩვენ დავრწმუნდით, რომ თანამედროვე ლინგვისტიკაში დისკურსის ცნება საკმაოდ განსხვავებულია სხვადასხვა სამეცნიერო კონცეფციაში. ჩვენი სადოქტორო კვლევა ეფუძნება დისკურსის სამუშაო განმარტებას, რომლითაც ჩვენ ვიხელმძღვანელებთ: *დისკურსი არის სოციალურ კონტექსტში ჩართული ენობრივი ქმედებების პროცესი და, ამავდროულად, ამ ქმედებების შედეგი.*

ვლადიმერ კარასიკის ეკუთვნის, ჩვენი აზრით, დისკურსის ტიპების ყველაზე არგუმენტირებული კლასიფიკაცია. მისი აზრით, ორი ტიპის დისკურსი უპირისპირდება ერთმანეთს: ინსტიტუციონალური და პირადულზე ორიენტირებული დისკურსი.

## **I ინსტიტუციონალური დისკურსის ტიპები**

- ა) საქმიანი
- ბ) სამედიცინო
- გ) სამეცნიერო
- დ) იურიდიული
- ე) პოლიტიკური
- ვ) დიპლომატიური

## **II პირადულზე ორიენტირებული**

- ა) საყოფაცხოვრებო

ბ) ყოფითი (Карасик, 2002:53).

პერსონალური (ანუ პიროვნებაზე ორიენტირებული დისკურსი). ამ შემთხვევაში მოსაუბრე გამოდის როგორც პიროვნება მთელი თავისი შინაგანი სამყაროს სიმდიდრით. მეორე ტიპის დისკურსში (ინსტიტუციონალური დისკურსი) მოსაუბრე მონაწილეობს როგორც განსაზღვრული სოციალური სტატუსის წარმომადგენელი.

ვლადიმერ კარასიკის კონცეფციაში პერსონალური დისკურსის თავისებურება განპირობებულია ორი განსხვავებული ტიპით: მეცნიერი გამოყოფს საყოფაცხოვრებო დისკურსის ნაირსახეობას და ყოფითი ურთიერთობის დისკურსს. მათ შორის განსხვავება რეგულირდება კომუნიკანტის სტატუსით: დისკურსის საყოფაცხოვრებო ფორმა შესაძლოა ნაცნობ კომუნიკანტებს შორის. ყოფითი დისკურსში კი ადგილი აქვს საკუთარი შინაგანი სამყაროს განშლის მცდელობას.

ჩვენი მომავალი ანალიზის ფოკუსში იქნება დიპლომატიური დისკურსი, რომელიც მიეკუთვნება ინსტიტუციონალურ დისკურსს და განსაკუთრებულად დაკავშირებულია პოლიტიკურ დისკურსთან. ჩვენი აზრით ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

### **§ 1.3 დიპლომატიური დისკურსის სპეციფიკა**

საზოგადოების შთაგონების ყველაზე ეფექტური ხერხია დიპლომატიურ-პოლიტიკური დისკურსი. ნებისმიერი წარმატებული პოლიტიკური დისკურსის განხილვისას, პოლიტიკური დისკურსი წარმოადგენს მრავალი სახეობის ურთიერთშერევას. ამათგან ერთ-ერთი მთავარი და მნიშვნელოვანი განუყოფელი ნაწილი დიპლომატია არის. ვინაიდან ზოგადად გადამწყვეტი როლი ქვეყნების და საზოგადოების ცხოვრებაში პოლიტიკასა და დიპლომატიას ეკისრება. თუმცა მიუხედავად იმისა რომ პოლიტიკურსაც და დიპლომატიასაც აქვს ერთი პრაგმატული არჩეული გზა რასაც ქვეყნის განვითარება და განვითარებული ქვეყნების რიგებში მოხვედრა და მასთანავე მეზობელი ქვეყნებთან კარგი ურთიერთობის ჩამოყალიბება და შენარჩუნება ჰქვია , მაინც აქვთ განსხვავებული მოვალეობა და პასუხისმგებლობა,

სხვადასხვა ნიშან-თვისება, დამოუკიდებელი კონცეპტუალური ეტიკეტური მახასიათებლები და ა.შ.

პოლიტიკურ დისკურსი, როგორც დისკურსის ერთ-ერთ სახეს, განსაკუთრებული სოციალური მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისათვის. პოლიტიკა თანამედროვე ადამიანის ცხოვრების აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. თანამედროვე პოლიკულტურულ საზოგადოებაში არსებობა და, მითუმეტეს, წარმატებული საქმიანობა, წარმოდგენილია პოლიტიკური ქმედებების გარეშე, რომლის პროცესში ყალიბდება და იხვეწება კულტურული ნორმები. ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში პოლიტიკა იყო აღიარებული როგორც საზოგადოებრივი საქმიანობის უმაღლესი ფორმა, პირველ რიგში იმიტომ, რომ მისი მეშვეობით დგინდება სამართლიანობა და მიიღწევა ორივე მხარეებისთვის სასურველი შედეგი. პოლიტიკა ის სფეროა, რომელიც აკავშირებს მეცნიერებას და ხელოვნებას საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით.

როგორც თეორიული დისციპლინა, პოლიტიკა მოწოდებულია შეისწავლოს სოციალური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებს შორის არსებული კავშირები და, საჭიროების შემთხვევაში, მისი კორექტირების გზები იპოვოს. პოლიტიკის სფეროში შემდეგი აქტუალური პრობლემა შედის: სახელმწიფოს სტრუქტურა, მისი ეკონომიკის ძირითადი პრინციპები, სოციალური აგებულება, ენობრივი პიროვნების როლი საზოგადოებაში და სხვ. ამიტომ ჰუმანიტარული სფეროს უმრავლესი მეცნიერებას (ისტორია, სოციოლოგია, ლინგვისტიკა, კულტუროლოგია, კომუნიკაციის თეორია, ფსიქოლოგია, სოციოლინგვისტიკა, თარგმანმცოდნეობა და სვ.) პოლიტიკასთან და პოლიტიკურ დისკურსთან აქვს შეხება, მაგრამ ყველა დისციპლინა სხვადასხვა კუთხით შეისწავლია ამ ფენომენს.

ტელ ავივის უნივერსიტეტის პროფესორის რუთ ემოსის აზრით დისკურსი კვლევის რთულ ობიექტს წარმოადგენს, ამიტომ თანამედროვე მეცნიერებაში გამოიყენება მისი ფართო და ვიწრო მნიშვნელობა. მისი აზრით, „პოლიტიკური დისკურსი არის

პოლიტიკოსების დისკურსი, რომლის საშუალებითაც ისინი ასრულებენ თავიანთ პროფესიულ ფუნქციებს“ (Amossy, 2010:14).

მასთან ერთად პოლიტიკური დისკურსი შეიძლება იყოს ვიწრო გაგებით ჟანრების კლასი, რომელიც შემოსაზღვრულია სოციალური დარგით, კერძოდ პოლიტიკით. მისი ჟანრები: სამთავრობო განხილვები, საპარლამენტო დებატები, პარტიული პროგრამები, პოლიტიკოსების გამოსვლები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ იგი არის პოლიტიკოსების დისკურსი. ამავდროულად წარმოადგენს ინსტიტუციონალური დისკურსის ფორმას. ამ თვალსაზრისის მიხედვით, პოლიტიკოსების დისკურსად მიიჩნევა ის ველი, რომლებიც ჩნდება ინსტიტუციონალურ არეალში, რომელსაც მიეკუთვნება ართო დანიშნულების პოლიტიკური ქმედებები: სესია, არჩევნები, პოლიტიკური პარტიების შეხვედრები,

აქედან გამომდინარე გავრილოვა აკეთებს დასკვნას, რომ დისკურსი პოლიტიკურია, როდესაც ახლავს პოლიტიკურ აქტს და წარმოიშობა პოლიტიკურ ეპიცენტრში. ამ შემთხვევაში მას ურთიერთობის მხოლოდ ინსტიტუციონალური ფორმები განეკუთვნება, რომლებიც ძირითადად საზოგადო პოლიტიკის სამეტყველო ჟანრების ფორმაში გამოიხატება (Гаврилова, 2002:63).

ჩვენ ვიზიარებთ დისკურსის ფართო გაგებას, რომლის მიხედვით ნებისმიერი დისკურსი პოლიტიკურია, თუ იგი ეხება საზოგადოებრივ მოწყობას. „პოლიტიკური დისკურსის საგნის ჰორიზონტი იწყება პოლიტიკოსთა პროფესიული დისკურსებით და ვრცელდება ნებისმიერ დისკურსზე, რომელიც ეხება საზოგადოებრივ საკითხებს საზოგადოებრივ სფეროში“ (Amossy, 2010:14).

იმდენად რამდენადაც სახელმწიფოებისა და საზოგადოების ცხოვრებაში დიპლომატიური ურთიერთობები სახელმწიფო პოლიტიკის წარმატებულად წარმართვის ერთ-ერთი მთავარი მექანიზმია, საჭირო, ან, აუცილებელიც კი ხდება ქვეყნებს შორის დიპლომატიური-პოლიტიკური ურთიერთობის დახვეწა, განვითარება და სწორი წარმართვა. შესაბამისად, დიპლომატიური საქმიანობა მუდმივი განვითარებისა და სრულყოფის პროცესში უნდა იმყოფებოდეს. ფრიად მნიშვნელოვანია,

მისი ყველა ასპექტის დახვეწა და დამუშავება. ამასთანავე, მნიშვნელოვანია პოლიტიკოსთა და დიპლომატთა როლი თავად კონკრეტული ქვეყნის მიერ განხორციელებული ინტერკულტურული და ინტერ ნაციონალური ურთიერთობების ფარგლებში. მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიების ორგანიზებისა და შიდა თუ გარე სახელმწიფოებრივი ღონისძიების ორგანიზებისთვის აუცილებელი ხდება საზოგადოების თვითშეგნების ამაღლება და მისთვის პრაგმატული მხარის მიცემა.

დიპლომატიური და პოლიტიკური დისკურსიც მჭიდრო ურთიერთკავშირსა და ურთიერთმიმართებაშია. დიპლომატია როგორც ურთიერთობების მოგვარებისა და გაუმჯობესების ხელოვნება, უძველესი დროიდან არსებობს, რა თქმა უნდა მან დიდ ცვლილება განიცადა, მაგრამ დღესაც არ კარგავს მის აქტუალურობას. წარმატებული დიპლომატიური ქმედებების გარეშე წარმოუდგენელია მშვიდობისა და მშვიდობიანი პოლიტიკური თუ ეკონომიკური საერთაშორისო ურთიერთობების ჩამოყალიბება ნებისმიერ ეპოქაში ნებისმიერ პარტნიორებთან.

ბუნებრივია, ნებისმიერი ქვეყნის პოლიტიკა და დიპლომატია ერთმანეთს განაპირობებენ და ერთმანეთზე ზეგავლენას ახდენენ. სხვაგვარად რომ შევეცადოთ მათი ურთიერთ განპირობებულობისა და განუყოფლობის ჩამოყალიბება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ, ვინაიდან ნებისმიერი საზოგადოების წევრების ცხოვრება შედგება ურთიერთკავშირებისაგან, ამიტომ წარმატებული ქმედებებისათვის საჭიროა ურთიერთობების წესების ცოდნა ყველა არსებულ სფეროში, განსაკუთრებულად კი - პოლიტიკაში. ურთიერთობების წესების ზედმიწევნით ცოდნასა და დაცვას მოითხოვს დიპლომატიური სფერო, ვინაიდან დიპლომატია სახელმწიფოებრივი პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია.

ეს მნიშვნელოვანი „სამეული“: დიპლომატია - საერთაშორისო ურთიერთობები - საგარეო პოლიტიკა - საერთაშორისო პროცესების მოძრაობა და განვითარება, მათ შორის ურთიერთკავშირის მთლიანობა საგარეო პოლიტიკურ ვითარებას ქმნის. მათი კანონმდებლობის შესაბამისად განვითარება, ამ სიტუაციაში, თავის მხრივ, გავლენას

ახდენს სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკაზე, მათ დიპლომატიურ საქმიანობაზე. აქედან გამომდინარე, დიპლომატია არის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალება.

საგარეო პოლიტიკა ნებისმიერი სახელმწიფოში ხორციელდება დიპლომატიური გზით, ამისთვის საჭიროა მთელი რიგი მეთოდები, ხერხები, პრაქტიკული ქმედებები, თანაც ყოველთვის გასათვალისწინებელია ადრესატის ეროვნული და კონფესიური თავისებურებანი. სახელმწიფოს ხელმძღვანელებისა და სახელმწიფოს მეთაურების ოფიციალური საქმიანობა და საგარეო ურთიერთობების სპეციალური ორგანოები, სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებაში, ასევე ამ ქვეყნების ინტერესების დასაცავად მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

სამწუხაროდ, საერთაშორისო ურთიერთობებში ხშირია სხვადასხვა ტიპის კონფლიქტები, მათ თავიდან ასაცილებლად ან უკვე არსებული კონფლიქტის მოგვარებისთვის საჭიროა საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება, ამის ბევრი მტკიცებულებაა ისტორიაში. ასე, მაგალითად, ბელგიელი ადვოკატი რივიერი აღნიშნავს დიპლომატიის სამ მნიშვნელოვანს:

- 1) როგორც სახელმწიფოებისა და მოლაპარაკებების წარმომადგენლობის მეცნიერება და მოლაპარაკებების ჩატარების უნარი.
- 2) კომპლექსური კონცეფცია, რომელიც მოიცავს ამ სახელმწიფოს წარმომადგენლობის ორგანოებს, მათ შორის საგარეო საქმეთა სამინისტროს, ან მის პოლიტიკურ აგენტთა საერთო რაოდენობას.
- 3) დიპლომატია აღიქმება დიპლომატის კარიერად და პროფესიად

ბრიტანელი დიპლომატი და მწერალი ჰაროლდ ნიკოლსონი (Harold Nicolson) თავის წიგნში "დიპლომატია" დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ ფაქტორს და აღწერს მის კონცეფციას: "რომელიმე სასაუბრო ენაზე სიტყვა "დიპლომატია" გამოიყენება სხვადასხვა მნიშვნელობით. ზოგჯერ ის გამოიყენება როგორც საგარეო პოლიტიკის მნიშვნელობად.

სხვა შემთხვევებში ეს სიტყვა გამოხატავს ნებისმიერ მოლაპარაკებებს. ეს სიტყვა ასევე გამოიყენება მოლაპარაკების პროცედურის სახელად.

სხვადასხვა ქვეყანაში დიპლომატია განიხილება როგორც მეცნიერება და ან თეორია როგორც სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაცხოვრების მეთოდოლოგია. როგორც მეცნიერება პოლიტიკურ ფორმებზე და ქვეყნებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებისადა მათ შორის წარმოქმნილი განსხვავებების მშვიდობიანი მოგვარების მეთოდებზე. კერძოდ, საგარეო ურთიერთობების სფეროში სახელმწიფო საქმიანობის მნიშვნელობით, "დიპლომატია" არის კონცეფცია, რომელიც მოითხოვს სამეცნიერო განმარტებას და თეორიულ გაშუქებას. დიპლომატია მნიშვნელოვან როლს თამაშობს საერთაშორისო სამართლის ჩამოყალიბებაში, ასევე არა ნაკლებ როლს თამაშობს რეკომენდაციების და შეთანხმებების გამომუშავებაში, იმდენად რამდენადაც ისინი საერთაშორისო სამართალსა და საერთაშორისო პოლიტიკის ზღვარზე იმყოფებიან. ეს ყველაფერი საერთაშორისო ურთიერთობის სირთულეს ადასტურებს. სისტემაში საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში შედიან მისი კომპონენტების ხარისხით: ეკონომიკური, პოლიტიკური, დიპლომატიური, სამართლებრივი, მორალური და სხვა ურთიერთობები. რომლებიც მჭიდროდ დაკავშირებული არიან ერთმანეთთან და ამ ურთიერთობების მარეგულირებელი წესები: კანონის უზენაესობა, რომლებიც წარმოდგენილი არიან მხოლოდ ნაწილობრივად სამართლებრივი და მორალურ ნორმები. დიპლომატიისა და საერთაშორისო სამართალი, იმდენად მნიშვნელოვანი კომპონენტია ამ სისტემისა, რომ მათ შეიძლება ეწოდოს ქვესისტემები ყოვლის მომცველი საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში.

დიპლომატიის როლი სამყაროში, და განსაკუთრებით - საქართველოში, უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა, ამიტომ საგარეო პოლიტიკის საკითხები ოფიციალური მედიის და ფართო საზოგადოების მასების ყურადღების ქვეშ მოექცა.

დიპლომატიის ძირითადი ამოცანა და შინაარსი არის დიპლომატიური მეთოდებისა და საშუალებების მეშვეობით მათი საგარეო პოლიტიკის მიზნების მიღწევები.

## დიპლომატიის ფუნქციები

- წარმომადგენლობა;
- დიპლომატიური კომუნიკაცია და მიმოწერა;
- მოლაპარაკებების წარმართვა;
- ინფორმაციის მოპოვება;
- რეკომენდაციები შემუშავება.

## დიპლომატიის პრინციპები და თვისებები

- საერთაშორისო სამართალი კრძალავს მასპინძელი ქვეყნის შიდა საქმეებში დიპლომატიური წარმომადგენლების ჩარევას.
- დიპლომატიურ სამსახურში მყოფი ორგანოები და პასუხისმგებელი პირები სარგებლობენ მასპინძელ ქვეყანაში ზოგადად აღიარებული უფლებებითა და დიპლომატიური პრივილეგიებით.

გლობალიზაციის შედეგად დიპლომატია გარკვეული მახასიათებლების მიხედვით გამოირჩეოდა მრავალ სფეროში. დიპლომატიური დისკურსზე სხვადასხვა შეხედულება არსებობს, მოვიყვანთ დიპლომატიის რამდენიმე სახეს, რომელიც აღმოსავლურ ქვეყნებშია გავრცელებული.

- **მედიაციური დიპლომატია**

ორი ან მეტი სახელმწიფო ვერ შეთანხმდნენ საკითხზე. არსებული მოლაპარაკებები არის სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკა პრობლემის აღმოსაფხვრელად. ასევე, მესამე მხარის შემრიგებლური გადაწყვეტილება ორ მხარეს შორის არსებული პრობლემის გადასაჭრელად.

- **მრავალმხრივი დიპლომატია**

სამი ან მეტი სახელმწიფო მონაწილეობს. ამ ტიპის დიპლომატია არის კონფერენცია მას დიპლომატიასაც უწოდებენ. ამ ტიპის დიპლომატია ჩამოყალიბდა 1648 წელს ვესტფალიის კონგრესის შედეგად შეიქმნა (Özdil, 2017 -). მრავალმხრივი დიპლომატიის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი იყო ერთა ლიგა. ერთა ლიგა დაარსდა ვუდრო ვილსონის მიერ ჟენევაში 1920 წლის 10 იანვარს. დაარსდა. თუმცა, ვინაიდან სახელმწიფოებს არ აქვთ საერთო აზროვნებისა და მართვის სისტემა, ამ ორგანიზაციას დრო დასჭირდა. ფარგლებში შეწყდა. მრავალმხრივი დიპლომატიის კიდევ ერთი მაგალითია გაეროს ორგანიზაცია. ეს ორგანიზაცია მეორე მსოფლიოა იგი დაარსდა 1945 წელს ომის შემდეგ, 51 ქვეყნის გაწევრიანების შედეგად და დღემდე ფუნქციონირებს როგორც დიპლომატია. ეს არის კარგად ჩამოყალიბებული ორგანიზაცია, რომელიც აგრძელებს მუშაობას. ამ ორი ორგანიზაციის მთავარი მიზანია ნებისმიერი ომის თავიდან აცილება და მიზანი იყო გამოსავლის შეთავაზება დიპლომატიური გზით. გაეროს ორგანიზაცია ამ მხრივ უფრო ფუნქციონალური ორგანიზაციაა. ჩანს. ფაქტობრივად, ეს ორგანიზაცია დააარსეს სსრკ-მ და შეერთებულმა შტატებმა, რომლებიც იყვნენ მეორე მსოფლიო ომის გამარჯვებული სახელმწიფოები. სახელმწიფოები ახორციელებენ დიპლომატიურ საქმიანობას გაეროს უშიშროების საბჭოს მეშვეობით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საფრანგეთის ხელმძღვანელობით. ისინი აგრძელებენ (Çatal, Dogan, 2018<sup>19</sup>). მეორე მხრივ, დღეს საერთაშორისო ეკონომიკური გაიზარდა ორგანიზაციები და განვითარდა რეგიონალური მრავალმხრივი დიპლომატია. განსაკუთრებით 1990 წელს სსრკ-ს დაშლის შემდეგ შემდეგ ბიპოლარული სისტემა დაინგრა და ზოგიერთმა სახელმწიფომ მოიპოვა დამოუკიდებლობა და დაიწყო მრავალმხრივი დიპლომატია. ამ ტიპის დიპლომატიის საშუალებით მათ განავითარეს როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური ურთიერთობები.

- **ორმხრივი დიპლომატია**

ამ ტიპის დიპლომატია მოიცავს ყველა ორმხრივ დიპლომატიურ კონტაქტს ორი ქვეყნის ოფიციალური პირების მეშვეობით. თუ სახელმწიფოს აქვს საელჩო ან საკონსულო რომელიმე ქვეყანაში, ის მუდმივად აწარმოებს ორმხრივ დიპლომატიას ქვეყანასთან.

- **სახალხო დიპლომატია**

ყველა სახის დიპლომატიური ურთიერთობა, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ სხვა ქვეყნის მოქალაქეებთან ურთიერთობასთან აქტივობას „სახალხო დიპლომატია“ ჰქვია. დიპლომატია არის ოფიციალური ინსტიტუტი, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს, ე.ი ამ ტიპის დიპლომატიაში, როგორც ამას ასრულებენ სამინისტროსთან დაკავშირებული ელჩები და საკონსულოები, ამ ქვეყნის საქმეა. ეს კეთდება ხალხის, ხელოვანების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და უნივერსიტეტების მეშვეობით. ამ ტიპის დიპლომატიის კიდევ ერთი მაგალითი ეს მოიცავს პირებს, რომლებიც წარმოადგენენ თავიანთ სახელმწიფოს საერთაშორისო ოლიმპიადაზე. მთავარი სამიზნე აუდიტორია სახალხო დიპლომატიაში არიან ადამიანები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ ტიპის დიპლომატია საშუალებას აძლევს ნებისმიერ სახელმწიფოს შეინარჩუნოს საკუთარი სიცოცხლე საერთაშორისო ასპარეზზე. თავისი სტილის, კულტურის, ისტორიული წარსულისა და ტრადიციების სხვა სახელმწიფოების მოქალაქეებისთვის გაცნობით. ამ ტიპის დიპლომატია მიზნად ისახავს საზღვარგარეთ სახელმწიფოს ნეგატიური სახელმწიფო სტატუსის შეცვლას. ხორციელდება. სახალხო დიპლომატიის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია განათლების სფეროში გამოყენებული საერთაშორისო დიპლომატია. ხელმისაწვდომია გაცვლითი პროგრამები, სტიპენდიები და კულტურული სატელევიზიო სერიალები. ამ ტიპის დიპლომატიის გამოყენება შესაძლებელია კულტურულ დიპლომატიასთან ერთად.

- **სამოქალაქო დიპლომატია**

სამოქალაქო დიპლომატია, დიპლომატიის ტიპს, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ, არის ინდივიდუალური დიპლომატია იმ ქვეყნების წარმომადგენლებს შორის, რომლებსაც არ აქვთ ოფიციალური კვალიფიკაცია. მაგალითად, საერთაშორისო აკადემიკოსი კონფერენციებზე მწერლები და მეცნიერები, რომლებიც წარმოადგენენ სხვადასხვა ქვეყნებს, ორმხრივად განიხილავენ საერთო თემაზე. ჩვენ შეგვიძლია ვაჩვენოთ აზრთა გაზიარება. სამოქალაქო დიპლომატია დღეს დიპლომატიურ ურთიერთობებში უფრო ეფექტურია. იგი ხორციელდება ორგანიზაციების მეშვეობით. ამის მაგალითია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ჰუმანიტარული დახმარების ფონდი. ორგანიზაციები, როგორცაა IHH, გაეროს ბავშვთა ფონდი, ან UNICEF, გაეროს ბავშვთა ფონდი, ის ახორციელებს ერთგვარ სამოქალაქო დიპლომატიის ამოცანას (Umut, 2012 - ).

- **სამიტის დიპლომატია**

დიპლომატიის სამიტი არის მაღალი დონის დიპლომატია, რომელიც ხორციელდება თავად სახელმწიფოს მეთაურების მონაწილეობით. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში საკომუნიკაციო და სატრანსპორტო ტექნოლოგიების განვითარებამ გააუმჯობესა სამიტის დიპლომატია ბიპოლარულ სისტემაში. ამ ტიპის დიპლომატიის ყველაზე მნიშვნელოვანი უპირატესობა ის არის, რომ ის აერთიანებს ყველაზე კომპეტენტურ ადამიანებს განსახილველ საკითხზე, რაც უზრუნველყოფს შედეგის მიღწევას მოკლე დროში.

- **საკონფერენციო დიპლომატია**

ამ მრავალმხრივ დიპლომატიას აქვს დახურული თვისება. მიღებულია, რომ იგი გაჩნდა ვესტფალიის კონგრესზე 1648 წელს. საკონფერენციო დიპლომატია, რაც გულისხმობს ევროპული სახელმწიფოების პრობლემების შეხვედრების გზით გადაჭრას,

მნიშვნელობა 1815 წელს ვენის კონგრესის შემდეგ მოიპოვა. ევროპის სახელმწიფოები ცდილობდნენ სხვადასხვა პრობლემის გადაჭრას კონფერენციებში. ეს დიპლომატია ასევე მნიშვნელოვანი იყო ომთაშორის პერიოდში.

- **საპარლამენტო დიპლომატია**

ომთაშორის პერიოდში დაიწყო საპარლამენტო დიპლომატიის განვითარება ერთა ლიგასთან. საერთაშორისო ორგანიზაციების რაოდენობის ზრდამ და გაეროს გლობალიზაციამ გაზარდა საპარლამენტო დიპლომატიის მნიშვნელობა. ამ დიპლომატიას აქვს ღია დიპლომატიის მახასიათებლები. დიპლომატიის მხარეები ამ ორგანიზაციის წევრები არიან.

- **სოციალური დიპლომატია**

ეს დიპლომატია წარმოიშვა ქვეყნის წამყვანი სახელმწიფო მოღვაწეების ყოველდღიური საქმიანობის დროს. სახელმწიფო მოხელე უფრო მკაფიოდ და მიზანმიმართულად იყენებს გზავნილს და ჩნდება სოციალური დიპლომატია. ამ მესიჯებში გამოხატვის ფორმები ძალიან მნიშვნელოვანია. თავიდან უნდა იქნას აცილებული საბოლოო, სავალდებულო და ნაჩქარევი განცხადებები. მაგალითად, აშშ-ს მაშინდელმა პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა 1993 წელს ძალიან მკაცრი ტონით თქვა, რომ ჩრდილოეთ კორეას ბირთვული ბომბის შექმნის უფლება ნამდვილად არ მიეცა. შემდეგ, როდესაც გაირკვა, რომ ჩრდილოეთ კორეამ ძალიან შეზღუდული ბირთვული იარაღი აწარმოა, ის რთულ ვითარებაში აღმოჩნდა.

- **პრევენციული დიპლომატია**

მშვიდობის შენარჩუნების მიზნით გაეროს ორგანიზაციასთან შეიქმნა პრევენციული დიპლომატია. ამ ტიპის დიპლომატია, რომელსაც ახორციელებდა ორგანიზაციის გენერალური მდივანი, მიზნად ისახავდა უსაფრთხოების სხვადასხვა პრობლემის გადაწყვეტას. პრევენციული დიპლომატიის მაგალითია ის, რომ 1979 წლის 4 ნოემბერს ირანელმა რევოლუციონერმა სტუდენტებმა დაარბიეს აშშ-ის საელჩო თეირანში და ამ რეიდის შედეგად საელჩოს სულ 90 თანამშრომელი, რომელთაგან 66 ამერიკის მოქალაქე იყო, დამცირებული და მძევლად აიყვანეს. თავზე ტომრების ტარებით. ეს კრიზისი, რომელიც დაიწყო აშშ-სა და ირანს შორის, იყო მომავალი კრიზისების პირველი გვერდი. მიუხედავად იმისა, რომ საელჩოს 38 თანამშრომელი მძევლად იყო გათავისუფლებული პირველი კვირის განმავლობაში, დანარჩენი 52 მძევალი არ გადასცეს. 1981 წლის 20 იანვარს ირანსა და აშშ-ს შორის დადებული შეთანხმების შედეგად მძევლები გერმანიაში 44 დღის განმავლობაში იმყოფებოდნენ. იგი მოგვიანებით იქნა მიწოდებული (Çam 2020 - ). შუამავლობა და გაერო-ს დახმარება მძევლების კრიზისის დროს ეს კრიზისი მოკლე დროში მოგვარდა პრევენციული დიპლომატიის გამოყენებით.

- **მშვიდი (ჩუმი) დიპლომატია**

დიპლომატიის კიდევ ერთი სახე, რომელიც გაერო-ს და მასთან დაკავშირებული ორგანიზაციების ფარგლებში გაჩნდა, არის ჩუმი დიპლომატია. ჩუმი დიპლომატია, განსაკუთრებით აფრიკასა და აზიაში და გამოიყენება ლათინური ამერიკის პატარა სახელმწიფოების მიერ.

- **ღია დიპლომატია**

ღია დიპლომატია არის დიპლომატიის სახეობა, რომელიც წარმოიშვა საიდუმლო დიპლომატიის ერთგვარ საპირისპიროდ. ღია დიპლომატიაში მიზანია შეასრულოს

ორივე მხარის მიერ გამართულ კონფერენციებსა თუ შეხვედრებზე შეთანხმებული ვალდებულებები. ეს არის დიპლომატიის ფორმა, რომელშიც იგი ხორციელდება ღიად ადგილობრივი ან საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის ზედამხედველობით (YILDIZ 2013).

- **ჰუმანიტარული დიპლომატია**

ჰუმანიტარული დიპლომატია, ისევე როგორც სხვა სახის დიპლომატია, გაჩნდა 21-ე საუკუნეში. გლობალიზაციის სამყაროსთან საერთაშორისო გარემოში მიმდინარე ომების შედეგად, „ჰუმანიტარულმა დიპლომატიამ“, ისევე როგორც დიპლომატიის სხვა დარგებმა, მიიღო მნიშვნელობა. ამ ტიპის დიპლომატია არის დიპლომატიის ახალგაზრდა ტიპი, ეს არის დიპლომატიის ტიპი, რომელიც იწვევს ომებს საერთაშორისო ასპარეზზე. მისი გაზრდის შედეგად იგი დიპლომატიის მოწინავე ტიპად იქცა.

- **კულტურული დიპლომატია**

შეიძლება ითქვას, რომ კულტურული დიპლომატიის ტიპი გასულ საუკუნეში გაჩნდა. ზემოთ ნახსენები საჯარო ამ ტიპის დიპლომატია გამოიყენება რბილი ძალის გამოყენებით და მძიმე მეთოდების თავიდან აცილებით. დიპლომატიის ტიპი.

ამ ტიპის დიპლომატიის 5 ტიპი არსებობს. ესენია:

1. კულტურული ტრადიციები
2. რელიგია
3. სოციალური სტრუქტურა
4. ეკონომიკური სისტემა
5. ხელოვნება

კულტურული დიპლომატია გახდა ერთ-ერთი წამყვანი საგარეო პოლიტიკური ინსტრუმენტი იმ სახელმწიფოების, რომლებსაც სურთ გააუმჯობესონ თავიანთი იმიჯი და გაიზარდონ თავიანთი პრესტიჟი საერთაშორისო ასპარეზზე. ზოგადად, მისი განმარტება ამგვარად შეიძლება ჩამოყალიბდეს: კულტურული დიპლომატია არის სახალხო დიპლომატიის მთავარი კომპონენტი, რაც გულისხმობს საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირებას, სხვა ერებთან კონტაქტების შენარჩუნებას და განვითარებას განათლებისა და კულტურის სფეროში, რაც მიზნად ისახავს ქვეყნის მიმზიდველი იმიჯის შექმნას საზღვარგარეთ.

ამერიკელი პოლიტოლოგი და ისტორიკოსი მწერალი მილტონ კამინგსი ასე გამოხატავდა კულტურულ დიპლომატიას. გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო მისი საქმიანობის შედეგად, 1945 წლის 16 ნოემბერს ლონდონში, გაერთიანებულ სამეფოში, 44 ქვეყანა შეიკრიბა. გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა იუნესკოს თანხმობით, კულტურული დიპლომატიის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია. ეს ორგანიზაცია მუშაობს 3 მიმართულებით.

- განათლება
- მეცნიერება
- კულტურა

ამ ინსტიტუტის მთავარი მიზანია გაზარდოს საერთაშორისო თანამშრომლობა განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროებში. დაახლოების უზრუნველსაყოფად (იუნესკოს ოფიციალური საიტი 2020)

ტოკიოს უცხოური კვლევების უნივერსიტეტის პროფესორი ჰიროტაკა ვატანაბე კულტურულ დიპლომატიას ტრადიციულად ხატოვნად გამოხატავს, ის აღნიშნავს რომ კულტურული დიპლომატია იაპონური დიპლომატიის მომავალია, ვინაიდან ამ

მნიშვნელობაზე დაკვირვება პრინციპული თვალსაზრისით ძალიან აუცილებელი და საგულისყუროა რასაც კულტურული დიპლომატია ჰქვია.

([https://www.mofa.go.jp/mofaj/press/pr/gaikou/vol3/pdfs/gaikou\\_vol3\\_14.pdf](https://www.mofa.go.jp/mofaj/press/pr/gaikou/vol3/pdfs/gaikou_vol3_14.pdf) - წვდომის თარიღი: 01.06.2024).

კენიჩრო ჰირანო არის იაპონელი პოლიტოლოგი. სპეციალიზირებულია საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში, საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაში და საერთაშორისო კულტურის თეორიაში. ტოკიოს უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორია. ვასედას უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერებისა და ეკონომიკის დეპარტამენტის ყოფილი პროფესორი.

(<https://ja.wikipedia.org/wiki/%E5%B9%B3%E9%87%8E%E5%81%A5%E4%B8%80%E9%83%8E> - წვდომის თარიღი: 01.06.2024)

გვიმარტავს დიპლომატიურ კულტურას და გვახედებს მის არსში და მასში არსებულ სხვაობებსა და მნიშვნელობაზე გვესაუბრება: როგორც ჩანს, მცდელობები კეთდება ეროვნული კულტურის ერთგვაროვანი გახდომისთვის, მაგრამ აქცენტი უნდა გაკეთდეს თითოეული ქვეყნის ან რეგიონის უნიკალურობაზე, როგორცაა სხვადასხვა კულტურისა და ტრადიციული კულტურების გაგება.

([https://www.jstage.jst.go.jp/article/asianstudies/69/2/69\\_as23.si08/article/-char/ja/](https://www.jstage.jst.go.jp/article/asianstudies/69/2/69_as23.si08/article/-char/ja/) - წვდომის თარიღი: 01.06.2024).

ასევე მის მიერ დაწერილ წიგნში **国際文化論** - საერთაშორისო კულტურის თეორია) კენიჩრო ჰირანო აღნიშნავს, რომ ეს წიგნი წარმოადგენს გზას, რათა განვიხილოთ პოსტმოდერნული საერთაშორისო ურთიერთობები კულტურის პერსპექტივიდან, როგორც „სიცოცხლის იდეა“, რომელიც ორიენტირებულია კულტურათაშორისი კონტაქტისა და ტრანსფორმაციის (აკულტურაციის) პერსპექტივაზე. ეს არის საერთაშორისო კულტურული თეორიის სისტემატური განვითარების პირველი მცდელობა (平野 健一郎 2017.308).

ისტორიული თვალსაზრისით დიპლომატიის დაარსების საწყისად ითვლება პირველი მსოფლიო ომი და მის შემდგომ განვითარებული მოვლენები. 1815 წელს ვენის კონგრესზე მიღებული დანართი XVII იყო ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საბუთი, რომლის მიზანიც იყო დიპლომატიური ურთიერთობების დარეგულირება. არსებული დოკუმენტების განსაზღვრავდა ელჩების და მინისტრების ფუნქციებს. ამ ხელშეკრულებას მოჰყვა ერთიანი სისტემის შექმნა დიპლომატიის აკრედიტაციისათვის.

პირველი და მეორე მსოფლიო ომების შემდგომ პერიოდში გაჩნდა პირობები პირველი საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნისა, რომელიც მიზნად ისახავდა ომების თავიდან აცილებას.

საქართველოს კანონით „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ დაწესებულია დიპლომატიური თანამდებობების შემდეგი პირები:

1. სახელმწიფო–პოლიტიკური პირი
2. უმაღლესი დიპლომატიური თანამდებობის პირი
3. უფროსი დიპლომატიური თანამდებობის პირი
4. უმცროსი დიპლომატიური თანამდებობის პირი

(<https://matsne.gov.ge/ka/document/view/20158?publication=29> - წვდომის თარიღი 25.05.24).

დიპლომატიური ურთიერთობები რეგულირდება სპეციალური პროტოკოლით. დიპლომატიური პროტოკოლის არსი მოიცავს გარკვეულ ნორმებს და ქცევის წესებს, რომლებიც სპეციალურად საერთაშორისო ურთიერთობებისათვის არის დაწერილი. ამავდროს ამ წესებს უნდა დაემორჩილონ საქმიანი პარტნიორების წრეში, ასევე სამუშაო და ბიზნეს კოლეგებთან. დიპლომატიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეტიკეტის პატივისცემას. საერთაშორისო ურთიერთობათა განვითარებს მრავალწლოვანმა გამოცდილებამ სხვადასხვა ქვეყნის ხელმძღვანელთა შორის ურთიერთობის ძირითადი წესები და ნორმები განსაზღვრა. ეს ყველაფერი მოქცეულია დიპლომატიურ პროტოკოლში და ეტიკეტში.

დიპლომატიური პროტოკოლის გარეშე შეუძლებელია სახელმწიფოებს შორის კარგი ურთიერთობა, რომელიც ქვემოთ მოცემულ პრინციპებს ემყარება:

- სახელმწიფოთა სუვერენიტეტის პატივისცემა;
- თანასწორუფლებიანობა;
- ტერიტორიული მთლიანობა;
- საშინაო საქმეებში არჩარევა

(წვდომის თარიღი - 20.05.24; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/20158?publication=29>).

დიპლომატიური პროტოკოლი საერთაშორისო ურთიერთობაში დამკვიდრებული თავაზიანობისა და უფროს-უმცროსობის წესებია. იგი როგორც სახელმწიფოთა ურთიერთპატივისცემის გამოხატულება, იმ ნორმების ერთობლიობაა, რომელთა მეშვეობით სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლების სხვადასხვა სახის დიპლომატიური ცერემონიებს აწესრიგებენ. მას იცავენ მოლაპარაკების დროს, შეთანხმებათა მომზადების, ვიზიტების ჩატარებისა და სხვა მრავალ შემთხვევაში. პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ სტრუქტურებში პროტოკოლი მმართველ რგოლს კუთვნილ ადგილს მიუჩენს, თანამდებობის პირებს კი მათი უფლებების გამოყენების საშუალებას აძლევს.

და ბოლოს, დიპლომატიური პროტოკოლის წესები სხვადასხვა სახელმწიფოში განსხვავებულია, მისი აღსრულებისათვის ყველა ქვეყნის მთავრობაში, აგრეთვე საგარეო საქმეთა უწყებებში პროტოკოლის სამსახურია შექმნილი. ამ სამსახურის წარმომადგენლებს ევალება წყარო და სამიზნე კულტურის კარგი ცოდნა, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება, განსაკუთრებულად ძალიან განსხვავებული ტრადიციების მქონე ერების შემთხვევაში, როგორც არიან იაპონური და ქართული კულტურული სივრცე, განსხვავებული ენობრივი შესაძლებლობების მქონე იაპონური და ქართული ენობრივი სისტემები. სპეციფიკური კულტურას თავისებური ენობრივი მარკერები ახასიათებს, ამიტომ შემდეგ თავში ჩვენ განვიხილავთ იაპონური და ქართული დიპლომატიური დისკურსის ლინგვოკულტურულ თავისებურებებს.

## II თავი

### ქართულ-იაპონური დიპლომატიური ურთიერთობა ლინგვოკულტუროლოგიურ ასპექტში

როგორც უკვე ზემოდ აღვნიშნეთ, ორი ქვეყნის ურთიერთკავშირი იწყება დიალოგით, წარმატებული კულტურათშორისი კომუნიკაცია კი მოითხოვს ფართო ინფორმაციის გააზრებას. იაპონურ-ქართულ დიპლომატიური ურთიერთობების წყვეტილმა განვითარებამ (ოსმალური იმპერია, ცარისტული რუსეთი, საბჭოთა კავშირი) და იაპონიისა და საქართველოს შორის არსებული გეოგრაფიულმა სიშორემ და მრავალი სხვა ფაქტორმა გამოიწვია ინფორმაციის სიმცირე ორივე მხრიდან. შესაბამისად მნიშვნელოვანია ორივე ქვეყნის მთავარი სოციო-კულტურული კომპონენტების გამოკვეთა, გაანალიზება, შედარება-შეპირისპირება, რაც ხელს შეუწყობს საქმიანი დიალოგის გამართვას.

თანამედროვე დამოუკიდებელი საქართველო დაინტერესებულია მაღალგანვითარებულ იაპონიასთან ურთიერთობაში, ეს კი მეტი ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობას მოითხოვს, რაც წარმატებული დიპლომატიური დისკურსის განვითარების აუცილებელი პირობაა.

იაპონური კულტურა აზიური კულტურის ერთ-ერთი თავისებური სამყაროა, რომელშიც დიდი მნიშვნელობა ენიჭება სწორ ეტიკეტს, ქვეყნის კულტურას, მას ახასიათებს თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მეცნიერების განვითარების მაღალი დონე. ამ პატარამ, მაგრამ ძალიან განვითარებულმა სახელმწიფომ, იმდენად დახვეწა სხვა ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობის ხერხები, რომ შეძლო შეეცვალა მსოფლიოში ჩამოყალიბებული სტერეოტიპი, რომ იაპონია მეომარი ქვეყანაა, და საზოგადოების დასაფასებელი წევრი არის სამურაი.

იაპონელებმა მთელ მსოფლიოს შეაყვარეს მათი ეროვნული სამზარეულო (სუში, ვასაბი), თავისებური სასმელი (საკე), ხელოვნების განუმეორებელი ნიმუშები. მათ შეიმუშავეს და განახორციელეს „კულტურული დიპლომატიის“ ხერხები და ამით ახალი

სტერეოტიპები გამოუმუშავეს მსოფლიოს ახალ თაობას (იაპონია არის სამშობლო სუშის, კაბუკის და სხვ.).

ეს გარემოება ზრდის იაპონური დიპლომატიის შესწავლის აუცილებლობას.

დიპლომატიური დისკურსის სფერო თემატურად ძალიან ფართო და მრავალფეროვანია, ჩვენ ვეცდებით ამჟამად გავაშუქოთ ორი მნიშვნელოვანი მიმართულება: ქართულ-იაპონური დიპლომატიური ურთიერთობათა ისტორია და კულტურული დიპლომატიის ზოგიერთი სფეროები.

## **§ 2.1 ქართულ-იაპონური დიპლომატიური ურთიერთობათა ისტორიიდან**

### **§ 2.1.1 ქართულ-იაპონური ურთიერთობის ძველი პერიოდი**

ქართულ იაპონური ურთიერთობის ისტორია ხანგრძლივი არ არის მაგრამ ამომავალი მზის ქვეყანა სულიერად ყოველთვის ახლოს იყო ქართველებთან ერთად. იაპონიისა და იაპონელებისადმი პატივისცემა, კეთილგანწყობა მრავალგზის გამოიხატება ქართულ საისტორიო წყაროებსა და ლიტერატურაში.

როგორ აისახა იაპონია ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში ორი საუკუნის განმავლობაში, კერძოდ, XVIII საუკუნის პირველი მესამედიდან XX საუკუნის პირველი მესამედის ჩათვლით. პასუხს ამ კითხვაზე იძლევა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნიკო ჯავახიშვილი, ისტორიანი: ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი. სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი „ამომავალი მზის ქვეყანა ქართველთა თვალთ“, კერძოდ მას მოჰყავს საინტერესო ფაქტები ქართულ იაპონური ურთიერთობათა ისტორიიდან (ჯავახიშვილი, 2014: 12-19).

იაპონია ქართულ წყაროებში პირველად XVIII საუკუნის პირველ მესამედში გვხვდება. ბაგრატიონთა ათასწლოვანი სამეფო დინასტიის ერთ-ერთი სახელოვანი წარმომადგენლის, სჯულმდებელი მეფის, ვახტანგ VI-ის (1675-1737) ნაშრომში იაპონია ჯაფანად იხსენიება.

ვახტანგ VI ხაზგასმით მიუთითებს იაპონური სპილენძის უმაღლეს ხარისხზე. აქვე უნდა ითქვას, რომ იაპონური სპილენძი პოპულარული იყო იმდროინდელ ევროპაში, რის გამოც დასაშვებია, რომ ამ რეცეპტს სპარსეთში შვიდ წელიწადს მყოფი ქართველი ხელმწიფე იქ მოღვაწე კათოლიკე მისიონერთა მეშვეობით გაეცნო.

ამომავალი მზის სამეფო ქართველთაგან პირველმა მეფე ვახტანგ VI-მ მოიხსენია თავის ნაშრომში

სულხან-საბა ორბელიანის (1658-1725) ქართულ ლექსიკონს (იმავე სიტყვის კონას) დართულ სიაში ქვეყნის ზომათა რიცხვი მსოფლიოს სხვა ქვეყნებს შორის იხსენიება იაპონიაც (ასეთი ფორმით).

ამ ქვეყნის შესახებ ცნობებს ვხვდებით ვახუშტი ბაგრატიონის (1696-1756) მიერ თარგმნილ თხზულებაში მსოფლიოს პოლიტიკური გეოგრაფია, რომელსაც სახელოვანმა მეცნიერმა კომენტარები დაურთო. იოანე ბაგრატიონის (1768-1830) თხზულებაში კალმასობა წარმოდგენილია ქვეთავი იაპონიისა, ანუ ხეთაისა, ანუ მაჩინისათვის. მასში აღწერილია იაპონიის მდებარეობა, კლიმატი, მოსახლეობა და დახასიათებულია ქვეყანაში იმხანად არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარება.

1889 წელს გაზეთ ივერიაში ილია ჭავჭავაძე წინასწარმეტყველურად წერდა, რომ იაპონიას უკვე ბევრი ევროპულად განათლებული ახალგაზრდა ჰყავს. სამშობლოშიც ყოფნისას დიდად მოწადინენი არიან სწავლისა და განათლებისათვის. დიდი ილია გამოხატავდა რწმენას, რომ იაპონია მთელ აზიას მოჰფენს ევროპის ცივილიზაციის შუქს.

1898 წელს ილია ჭავჭავაძემ ივერიის ფურცლებზევე გაგრძელებებით მიმოიხილა აზიის ქვეყნებისა და მათ შორის, იაპონიის იმჟამინდელი მდგომარეობა.

ნიკო ნიკოლაძის დასკვნით, XIX საუკუნის 60-იანი წლების მიწურულიდან მოყოლებული, იაპონია თანდათანობით იმდენად დაწინაურდა, რომ გადაიქცა მძლავრ სახელმწიფოდ,

იაპონიასთან ომში ჩაბმული რუსეთის საიმპერიო არმიის შემადგენლობაში მრავალი ქართველი მხედარი ირიცხებოდა. მათ შორის იყო სტეფანე გიორგის ძე ახმეტელიც (1877-1922), რომელიც შემდეგ გენერლად მსახურობდა საქართველოს

დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში  
(<http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka/00000324/> - წვდომის თარიღი: 02.07.2024)

შტაბსკაპიტანი სტეფანე ახმეტელი იაპონელებთან მამაცურად ბრძოლისთვის იყო დაჯილდოებული რუსული ორდენით - წმინდა ვლადიმირის IV ხარისხის ჯილდოთი. ქართველი ოფიცერი იაპონელი სამხედრო ტყვეებს ძალიან ლმობიერად ექცევოდა, განსაკუთრებულ ყურადღებას ბრძოლებში დაჭრილ-დასახიჩრებულთა მიმართ ავლენდა. იაპონური არმიის სარდლობამ შეიტყო ახმეტელის ღირსეული ქცევა და სათანადო პატივისცემა გამოიჩინეს და როგორც ღირსეულ მოწინააღმდეგეს, რუსეთის არმიის ოფიცერს, ეროვნებით ქართველს, სტეფანე ახმეტელს ოფიციალური ჯილდოს გარდა გადაეცა ცნობილი იაპონელი ადმირალის, ცუსიმას ბრძოლის გმირის ჰეიჰაჩირო ტოგოს იაპონური მახვილი, რომელიც დღესაც ინახება დამსახურებული ექიმის, მზია ახმეტელის ოჯახში. (<http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka/00000324/> - წვდომის თარიღი: 02.07.2024).

იაპონელი ტყვეების ნაწილი რომელიც დაიღუპა ომში პატივისცემის ნიშნად და მოსაგონრად 2010 წელს ვასო გომიაშვილის სახელობის პარკში მემორიალი გაიხსნა.



სურათი: [https://www.ge.emb-japan.go.jp/itpr\\_ja/11\\_000001\\_00957.html](https://www.ge.emb-japan.go.jp/itpr_ja/11_000001_00957.html) წვდომის  
თარიღი: 02.07.2024).

ამრიგად, XVIII საუკუნის პირველი მესამედიდან მოყოლებული, ამომავალი მზის სამეფო და მასთან დაკავშირებული მოვლენები ყოველთვის განსაკუთრებით აინტერესებდა ქართველი საზოგადოებრიობის პროგრესულ ნაწილს, რომელიც ამ ქვეყნის მიმართ სიმპათიით იყო განწყობილი.

### § 2.1.2 რუსეთის იმპერიის პერიოდი

რუსეთის იმპერიის პერიოდი სინამდვილეში ორ ნაწილად იყოფა, ცარისტულ იმპერიის პერიოდად და შემდეგ კი საბჭოთა კავშირი შეიქმნა და გასაბჭოება მოხდა საქართველოსი. შესაბამისად საქართველოსი და იაპონიის ურთიერთობები რუსეთ იაპონიის ომების პერიოდებში ჩნდება, იქმნება და დღემდე მოდის ასე რომ ვთქვათ დადებითი განწყობებითა და შეფასებებით როგორც იაპონიის ისე საქართველოს მხრიდან. სწორედ რუსეთ იაპონიის ომის პერიოდში გამოავლინეს იაპონიამ და საქართველომ ერთმანეთის პატივისცემა, სულისკვეთება და გვერდში დგომა. ამ ომშიც რა თქმა უნდა უამრავი ქართველიც მონაწილეობდა. ვინაიდან საქართველოც ამ დიდი იმპერიის ნაწილი იყო.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორი, ისტორიკოსი ჯაბა მესხიშვილი მის სტატიაში „რუსეთ-იაპონიის ომი და ქართველი მეომრები (1904-1905)“ გვიზიარებს რუსეთ იაპონიის ომში ქართველების როლს და მათ ქცევებს იაპონიისა და იაპონელებისადმი (მესხიშვილი, 2017,232).

ავტორი გვაცნობებს რუსეთ-იაპონიის ომის დაწყების ვითარებას, კერძოდ 1904 წლის ათ თებერვალს იაპონიის ოფიციალურმა სამსახურმა რუსეთს ომი გამოუცხადა. ძალიან ბევრი ხალხი იმსხვერპლა ამ ომმა: მესხიშვილს მოჰყავს ზუსტი ციფრი - 200 000-ზე მეტი იაპონელი ჯარისკაცი დაიღუპა ამ ომში. დაახლოებით ამდენიმე დანაკარგი რუსეთმა განიცადა. დიდი იყო მატერიალური ზარალიც. ვინაიდან ამ პერიოდში საქართველო ცარისტული რუსეთის შემადგენელი ნაწილი იყო, ქართველი ახალგაზრდებიც გაიწვიეს შორეულ აღმოსავლეთში მიმდინარე ომში.

ჯაბა მესხიშვილმა მოიძია საინტერესო ინფორმაცია მეზობელი ქართველი მეომრებისა და მათ მიმართ იმ დროინდელი ქართული საზოგადოების დამოკიდებულის შესახებ. ამ ომში ქართველი ოფიცრები იბრძოდა, რომლებზეც მოკლე ინფორმაცია ლევან დოლიძემ წარმოადგინა მის ნაშრომში „გენერლები საქართველოდან“. ჩვენი აზრით, საინტერესოა ის ფაქტი, რომ ავტორი მხოლოდ გენერლებზე საუბრობს, ვინაიდან უფრო დაბალი რანგის ოფიცრების რაოდენობა საკმაოდ დიდი იყო. იმ დროის პრესის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ რუსეთ-იაპონიის ომში სულ მცირე 10 ქართველი გენერალი იღებდა მონაწილეობას: გენერალ-ლეიტენანტები ნიკოლოზ და გიორგი თუმანიშვილები, ივანე ორბელიანი, დავით სუმბათაშვილი, ევგენი ფანჩულიძე. გენერალ-მაიორები ნიკოლოზ ანდრონიკაშვილი, პეტრე დონაური, გიორგი ორბელიანი, ესტატე ჩერქეზიშვილი, ვლადიმერ მაყაშვილი.

საქართველოში სამხედრო სფეროში მოღვაწეობა ყოველთვის დაფასებული იყო, მაგრამ ამ კონკრეტული ომის თაობაზე ქართულ პრესაში თითქმის არაფერი არ იწერებოდა, რაც მეტყველებს იმაზე, რომ მეომარი ქართველ ჯარისკაცებს არ ჰქონდათ საზოგადოებაში მხარდაჭერა. ჩვენ არაფერი ვიცით მათ გმირობაზე, მხოლოდ მოკლე შეტყობინებები გამოდიოდა ვინმე თუ დაიჭრებოდა ან ტყვედ ჩავარდებოდა. ქართველებს არ სურდათ იაპონიის წინააღმდეგ ბრძოლა, რაც 1904 წლის საშემოდგომო გაწვევის დროს გამოაშკარავდა - ომში თითქმის არავინ არ მიდიოდა. ქართველები იაპონელებს მტრად არ აღიქვამდნენ.

აღნიშნული ომი 1904 წლის თებერვლიდან 1905 წლის სექტემბრამდე გაგრძელდა და ამ დაპირისპირებაში იაპონიამ გაიმარჯვა. ეს შედეგი საკმაოდ მოულოდნელი იყო, ვინაიდან ცარისტული იმპერია უზარმაზარი ქვეყანას წარმოადგენდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა - აზიის პატარა ქვეყანას ვერ მოერიდა და სამარცხვინოდ წააგო.

1905 წლის მარტში იაპონიამ რუსეთს ისეთი მარცხი მიაყენა, რომ გაზეთ „ივერიაში“ ილია ჭავჭავაძემ „მისალმება“ გამოაქვეყნა, სადაც მეტყველებს „გაზაფხულის“ ფარული მნიშვნელობის თაობაზე. ამ ლექსში „მზე“ - იაპონიის ალეგორიაა, „ბნელეთის ქვეყანა“ კი - რუსეთის ცარისტული იმპერიაა. ავტორი აღტაცებით მიმართავს იაპონიის იმპერატორს.

ჯაბა მესხიშვილი მის სტატიაში „რუსეთ-იაპონიის ომი და ქართველი მეომრები (1904-1905)“ გვიზიარებს რუსეთ იაპონიის ომში ქართველების პოეტებისა და გამოჩენილი მოღვაწე პიროვნებების შეხედულებებს იაპონიისა და იაპონელებისადმი (მესხიშვილი, 2020: 58).

იაპონურმა ეროვნულმა ფლოტმა, რომელსაც ცნობილი ადმირალი ტოგო მეთაურობდა, 1905 წელს, მაისის საზღვაო ბრძოლაში მიაყენა ძალია დიდი ზიანი ცარისტული რუსეთის ფლოტს. ამ ფაქტმა გადამწყვეტი როლი ითამაშა ომის დამთავრების საკითხში, ვინაიდან არა მხოლოდ რუსებს, არამედ იაპონელებსაც საბრძოლო რესურსი უკვე აღარ ჰქონდათ.

ჩვენ ვიზიარებთ ჯაბა მესხიშვილის აზრს, რომ მკაცრი ცენზურის გამო ქართველთა მხარდაჭერა მხოლოდ ფარულ ფორმაში იყო შესაძლებელი, მხოლოდ ალევორიულად გამოხატავდნენ, მაგრამ ქართველი მკითხველისთვის გასაგები იყო ცნობილი პოეტების სულისკვეთება. ამიტომ გასაგები ხდება, რატომ არ მიდიოდნენ ქართველები რუსეთ-იაპონიის ომში იაპონელთა წინააღმდეგ საომრად. იმ პერიოდში ცნობილი იყო რუსეთის საწინააღმდეგო სიმღერებიც კი. ქართველი ემიგრანტები, რომლებიც პარიზში იმყოფებოდნენ, იხსენებდნენ, რომ იმ პერიოდში ხშირად ისმოდა სატირიკული სიმღერა „პორტ-არტური - მანჯურია, რუსის საქმე წასულია!“, არანაკლებ პოპულარული აკაკი წერეთლის „გურული ნანინაც“ იყო.

ყველა ეს საინტერესო ფაქტი მოგროვებული და შესწავლილი აქვს ჯაბა მესხიშვილს ზემოდ ხსენებულ სამეცნიერო პუბლიკაცია (მესხიშვილი, 2018: 62). ჩვენ ვიზიარებთ ავტორის აზრს, რომ მსგავსი ფაქტები მეტყველებს იმაზე, რომ ქართველ მეომრებს არ სურდათ იაპონიის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობის მიღება, ისინი ყველა ღონეს ხმარობდნენ, რათა არ წასულიყვნენ რუსეთ-იაპონიის ომში. ამიტომ ასეთი განწყობის შედეგად თბილისში ამ ომის საწინააღმდეგო საპროტესტო დემონტრაციებიც კი გაიმართა, დემონსტრანტებმა მიიღეს სპეციალური მანიფესტი და აქტიურად არიდებდნენ თავს სამხედროში წასვლას (მესხიშვილი, 20217 129).

### § 2.1.3 თანამედროვე პერიოდი

წელს 2024 წლის მიხედვით 32 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც იაპონიამ აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა. ორი ქვეყნის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება 1992 წლის 3 აგვისტოს მოხდა და იმის შემდეგ კი საქართველოსა და იაპონიის შორის დიპლომატიური ურთიერთობები გრძელდება ([https://www.ge.emb-japan.go.jp/georgian/index\\_twothousandtwelve.html](https://www.ge.emb-japan.go.jp/georgian/index_twothousandtwelve.html) წვდომის თარიღი: 10.09.2024)

1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად შექმნილმა რეალობამ გამოწვევის წინაშე დააყენა საერთაშორისო აქტორები, რომლებსაც ახალ გარემოსთან ადაპტირება სურდათ — მათ შორის იყო იაპონიაც, თავისი მოუქნელი ბიუროკრატიული აპარატით. მართალია, იაპონია ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც პოსტ-საბჭოთა ქვეყნების დამოუკიდებლობა აღიარა, მაგრამ ცალკეული რეგიონული მიდგომების შემუშავებას გარკვეული დრო დასჭირდა (ბიბილაშვილი, 2022)

აღსანიშნავია, რომ 1992 წლის შემდეგ იაპონიის დიპლომატიური მიდგომა სამხრეთ კავკასიის ეტაპობრივად დავიწროვდა. შედეგად, „ყოფილი საბჭოთა ქვეყნების“ ჩარჩო გადაიქცა „რუსეთის ფედერაციისა და ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების“ ჩარჩოდ და, საბოლოოდ, “რუსეთის ფედერაცია, ცენტრალურ აზია და კავკასიად (ბიბილაშვილი, 2022) თუმცა, იაპონია საქართველოს რეგიონულ კონტექსტში უყურებს და სამხრეთ კავკასიას აღიქვამს, როგორც ჰომოგენურ მოთამაშეს საერთაშორისო სისტემაში, რაც შესაძლოა სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს ზომის შედეგი იყოს, ან თუნდაც იმით აიხსნებოდეს, რომ იაპონიას ჯერ კიდევ არ გაუცნია მათი განსაკუთრებული მახასიათებლები.

„საქართველოსა და იაპონიას შორის დიპლომატიური ურთიერთობების 30 წელი: პარტნიორობის მიღწევები და პერსპექტივები“ - ამ მნიშვნელოვან დოკუმენტში მარიამ ბიბილაშვილი შემდეგნაირად ახასიათებს თანამედროვე ქართულ-იაპონურ დიპლომატიურ ურთიერთობებს:

1997 წელს იყო შემოღებული ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტი - "ევრაზიული დიპლომატიის" შესახებ (ინიციატორი - იაპონიის იმდროინდელი პრემიერ-მინისტრი რიუტარო ჰაშიმოტო). ამის შემდეგ 2006 წელს საქართველოს საქმიანი ვიზიტებით ეწვია იაპონელი მთავრობის რამდენიმე ოფიციალური წარმომადგენლები, კერძოდ: ტარო ასოს ვიზიტი (იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი), ტარო კანოს ვიზიტი (იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი).

<https://gip.ge/publication-post/thirty-years-of-diplomatic-relations-between-georgia-and-japan-achievements-and-prospects-for-partnership/> წვდომის თარიღი : 09.09.2024.).

მათი ჩამოსვლა საქართველოში დაგვირგვინდა ენერგეტიკული რეაბილიტაციის პროექტით. ტარო ასოს "თავისუფლების და კეთილდღეობის რკალი" რომელიც მოიცავს ეკონომიკური, პოლიტიკური და სამართლებრივი თავისუფლებების კომპონენტებს, და ტარო კონოს "კავკასიური ინიციატივა" ეს გულისხმობს რომ კავკასიის რეგიონი წარმოადგენს აზიისა და ევროპის შორის გზაგასაყარს და პრემიერ-მინისტრს წარუდგინა იაპონიის „კავკასიის ინიციატივა“, რომელიც ეფუძნება ორ ძირითად პრინციპს: (1) ქვეყნის აღმშენებლობისთვის საჭირო ადამიანური რესურსის მხარდაჭერას (კადრების გადამზადება) და (2) კავკასიის მიმზიდველობის გაძლიერებას (ინფრასტრუქტურისა და ბიზნეს სექტორის გაუმჯობესება).

([https://www.ge.emb-japan.go.jp/itpr\\_ka/kono\\_bakhtadze\\_geo20180906.html](https://www.ge.emb-japan.go.jp/itpr_ka/kono_bakhtadze_geo20180906.html) წვდომის თარიღი: 15.06.2024).

გამოიწვია იაპონურ-ქართული ეკონომიკური თანამშრომლობის გააქტიურება, რომელსაც მოყვა მნიშვნელოვანი ერთობლივი პროექტების შემუშავება. რაც ძალიან მნიშვნელოვანია, მოხდა ორმხრივი შეთანხმება საერთო ღირებულებებზე: თავისუფლება, კანონის უზენაესობა, დემოკრატია და საბაზრო ეკონომიკა (ბიბილაშვილი, 2022).

იაპონურ-ქართული ურთიერთობების დინამიკა აჩვენებს, რომ საქართველო ნელ-ნელა იძენს მეტ სანდოობას იაპონელ პოლიტიკის შემოქმედთა შორის და ცდილობს, თავი წარმოაჩინოს ქვეყნად, რომელიც ლიბერალური ღირებულებების ერთგულია და

რომელსაც შესწევს იაპონური ინვესტიციების მოზიდვის ძალა. თუმცა, ტოკიო უნდა დარწმუნდეს, რომ თბილისს შეუძლია იყოს მეტი, ვიდრე მხოლოდ იაპონიის საგარეო დახმარების ბენეფიციარი.

იაპონიისა და საქართველოსთან თანამშრომლობის გაზრდილი სურვილი მიუთითებს პოზიტიურ დინამიკაზე იაპონურ-ქართული ურთიერთობების განვითარება ეკონომიკური ჭრილში. რასაც მოწმობს "შეთანხმება საქართველოსა და იაპონიას შორის ინვესტიციების ლიბერალიზაციის, ხელშეწყობისა და დაცვის შესახებ", თანმდევი „შეთანხმებით შემოსავლებზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ“. შეთანხმებებს ხელი 2021 წლის 29 იანვარს მოეწერა.

(<https://www.mofa.go.jp/files/100143488.pdf> წვდომის თარიღი: 01.05.2023)

საქართველომ როცა ნანატრი დამოუკიდებლობა მოიპოვა, გამოეყო და თავი დააღწია საბჭოთა კლანჭებს და თავისუფალი, სუვერენული სახელმწიფო გახდა იაპონიის ფინანსური ისე მორალური, ჰუმანიტარული, და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა საქართველოსადმი გაიზარდა.

დღემდე იაპონიამ ძალიან დიდი ფინანსური დახმარება გამოჰყო საქართველოსათვის. 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ, იაპონიის მთავრობამ UNHCR-ის მეშვეობით გამოყო 1 მილიონი აშშ დოლარი როგორც გადაუდებელი ჰუმანიტარული დახმარება იძულებით გადაადგილებული პირებისათვის. ამავე წლის ოქტომბრის თვეში გამართულ დონორთა კონფერენციაზე, იაპონიამ გამოყო 200 მილიონი აშშ დოლარი საქართველოს რეაბილიტაციისთვის. აღნიშნული თანხები მოხმარდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენას სოფლის მეურნეობის სექტორის მხარდასაჭერად, და ასევე აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის გაუმჯობესებას.

([https://www.ge.emb-japan.go.jp/itpr\\_ka/economic\\_assistance\\_geo20180416.html](https://www.ge.emb-japan.go.jp/itpr_ka/economic_assistance_geo20180416.html)

წვდომის თარიღი: 03.05.2024)

იაპონია, აგრეთვე, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საგრანტო დახმარებას. საქართველოში მუშაობის 25 წლის განმავლობაში - 1998 წლიდან 2023 წლამდე, იაპონიის

მთავრობის Grassroots Human Security Program-მა (GHP) დააფინანსა 200-ზე მეტი პროექტი, საერთო ჯამში 20 მილიონ აშშ დოლარზე მეტი. ამ დაფინანსებით განვითარდა სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურა, რითაც შემცირდა სიღარიბე ზოგიერთ ყველაზე ღარიბ სოფელში; ათასობით ჰექტარი მიწა გაიწმინდა საშიში ნაღმებისგან, რამაც გადაარჩინა ადგილობრივი მოსახლეობის სიცოცხლე; რეაბილიტაცია და აღჭურვა ჩაუტარდა ათეულობით სკოლას, საბავშვო ბაღს, საავადმყოფოს, რაც აუცილებელ მომსახურებას უწევს ყველაზე დაუცველ მოსახლეობას. ეს მხოლოდ რამდენიმე მაგალითია და დაფინანსებული სექტორების სპექტრი ძალიან ფართო იყო.

[https://www.ge.emb-japan.go.jp/itpr\\_en/development\\_assistance\\_eng20180727.html](https://www.ge.emb-japan.go.jp/itpr_en/development_assistance_eng20180727.html)

წვდომის თარიღი: 03.05.2024)

იაპონურ-ქართული ურთიერთობების პოლიტიკური მხარე, უმეტესწილად, შემოიფარგლება იაპონიის მიერ საქართველოს სუვერენულობის და ტერიტორიული მთლიანობის ერთგულებით და საქართველოს მიერ იაპონიის ამბიციის მხარდაჭერით, რომ იგი გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი გახდეს (Bibilashvili 2021, 309-321).

## **§ 2.2 კულტურული დიპლომატია ლინგვისტურ ქრილში**

მე-20 საუკუნის მოვლენებმა განსაზღვრა ძალის გამოყენების მეთოდების ტრანსფორმაცია. ამ პერიოდში საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში ჩნდება ახალი ტერმინი - ეგრეთ წოდებული "რბილი ძალა". ეს კონცეფცია პირველად შემოიღო ამერიკელმა პოლიტოლოგმა ჯოზეფ ნაიმ უმცროსმა (Joseph S. Nye). რბილი ძალის კონცეფციაზე დაყრდნობილ სტრატეგიებს მიეკუთვნება: კულტურა, სპორტი, ეროვნული ენა, სამხარეულო და ა.შ. მათ შეუძლიათ დიდი გავლენა განახორციელონ საზოგადოებაზე.

ამასთან დაკავშირებით, საერთაშორისო პრაქტიკაში ჩნდება ურთიერთქმედების ახალი მეთოდი კულტურის მეშვეობით. სახელმწიფოს რბილი ძალის მნიშვნელოვან

სტრუქტურულ ელემენტად კულტურული დიპლომატია გვევლინება. მისი განხორციელებისას მთავრობები ყურადღებას ამახვილებენ ეროვნული კულტურის ექსპორტზე პარტნიორული ურთიერთობების დამყარების გზით.

საგარეო დიპლომატია არის ბოლოდროინდელი პოლიტიკური კომუნიკაციის კვლევების ნაწილი. ერთ-ერთი პოპულარული თემა არის. განსაკუთრებით საერთაშორისო პოლიტიკური კომუნიკაცია სამთავრობო და არასამთავრობო აქტორების პრეფერენციები მათ საქმიანობაში ამან გამოიწვია გაზრდილი ინტერესი საგარეო დიპლომატიის კვლევების მიმართ. მსოფლიოში განვითარებული მოვლენების პარალელურად საქართველოში უახლესი საგარეო დიპლომატიის კვლევების მნიშვნელობა ბოლო დროს უფრო აქტუალური გახდა. გაიზარდა სახალხო დიპლომატია, რომელსაც ფართო გამოყენების სფერო აქვს. ხოლო მისი ერთ-ერთი გამორჩეული ქვედარგია კულტურული დიპლომატია. მისი მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს კულტურული დიპლომატიის კვლევებს.

დღევანდელ ევროპაში ჩამოყალიბებული ვითარება კიდევ ერთხელ იმაზე მიუთითებს, რომ კულტურული დიპლომატია საგარეო პოლიტიკის ამოცანების ჩამონათვალში ნომერ პირველ ამოცანად უნდა იქცეს. ნებისმიერი სახელმწიფო ცდილობს თავისი კულტურის პოპულარიზაციას, უცხოეთში ენის შესწავლას, ქვეყნის მიღწევების გავრცელებას. კულტურული დიპლომატიის მიზანია სახელმწიფოს პოზიციის განმტკიცება, ასევე ქვეყნის საგარეო პოლიტიკასა და ეკონომიკასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება.

ამ მიზეზით, კულტურული დიპლომატიის ქმედებები და სტრატეგიები ქმნის მნიშვნელოვან შესაძლებლობებს ქვეყნებისთვის. განსაკუთრებით კულტურული დიპლომატიის პრაქტიკის წყალობით, ქვეყნებს საშუალება აქვთ გაავრცელონ და გაავრცელონ თავიანთი კულტურა. კულტურული დიპლომატიის პრაქტიკის მრავალი მაგალითი არსებობს. ქვეყნების პოპულარული კულტურის პროდუქცია, კულტურული დიპლომატიის ინსტიტუტები, საზღვარგარეთ მოგზაურობა, განათლება, ბიზნესი და ა.შ.

ამ მიზნებისკენ მიმავალი მოქალაქეები ფასდებიან კულტურული დიპლომატიის მიდგომით.

კულტურული დიპლომატიის ინსტიტუტში ([Institute for Cultural Diplomacy](https://www.culturaldiplomacy.org/index.php?en_culturaldiplomacy)) ასე განსაზღვრავენ ამ ცნებას: კულტურული დიპლომატია შეიძლება განისაზღვროს, როგორც ქმედებების ერთობლიობა, რომელიც დაფუძნებულია იდეების, ღირებულებების, ტრადიციების და კულტურის სხვა ასპექტები გაცვლაზე, რაც გამოიყენება თანამშრომლობის გაძლიერებისა და გაფართოებისთვის, ასევე ეროვნული ინტერესების გასაძლიერებლად.

([https://www.culturaldiplomacy.org/index.php?en\\_culturaldiplomacy](https://www.culturaldiplomacy.org/index.php?en_culturaldiplomacy)).

კამინსი კულტურულ დიპლომატიას განმარტავს, როგორც; ”სახელმწიფოებსა და მათ ხალხებს შორის ურთიერთგაგება იდეების, ცოდნის, ხელოვნებისა და სხვა კულტურული ელემენტების გაცვლის გზით”

(<https://www.americansforthearts.org/sites/default/files/MCCpaper.pdf>)

ასევე, სკოტ-სმიტი აცხადებს, რომ კულტურულ დიპლომატიას რვა მიზანი აქვს. ესენი; დიალოგის განვითარება და ნდობის დამყარება სხვა ერებთან; კულტურული და პოლიტიკური აღიარების უზრუნველყოფა; ეკონომიკური სარგებლის უზრუნველყოფა; ეროვნული კულტურის იმიჯის და პრესტიჟის ამაღლება; ცრურწმენების აღმოფხვრა; ეროვნული კულტურის შესახებ ნეგატიურ შეხედულებებთან ბრძოლა; საფუძველი ჩაუყაროს მომავალ პარტნიორობას სხვა სფეროებში; ეს გულისხმობს მსოფლმხედველობის წარმოდგენას, რომელიც დაფუძნებულია გარკვეულ დისკურსებზე, რწმენასა თუ იდეოლოგიაზე. (Giles Scott-Smith 2016 -

[https://www.researchgate.net/publication/333874\\_Cultural\\_Diplomacy](https://www.researchgate.net/publication/333874_Cultural_Diplomacy)).

დღევანდელი ძლიერი ქვეყნები ფართოდ იყენებენ ისეთ ინსტრუმენტებს, როგორცაა ენა, ლიტერატურა, მუსიკა, ფოლკლორი, სერიალები და კინოს პროდუქტები,

კულინარული კულტურა და მოდა თავიანთი კულტურული დიპლომატიის მიზნების მისაღწევად.

იაპონიის მთავრობამ მოახერხა კულტურული, ფილოსოფიური და მხატვრული ტრადიციების გააქტიურება, რომლებიც ხელი შეუწყვეს ახალი დიპლომატიური ურთიერთობების დამკვიდრებას. ამ სტრატეგიამ გაამართლა და 21-ე საუკუნეში იაპონიამ მსოფლიო საზოგადოებაში მაღალგანვითარებული ქვეყნის იმიჯი შეიძინა, მძლავრი ტექნოლოგიებით და ორიგინალური ეროვნული კულტურით. თავის მხრივ, მზარდი პოპულარობა, იაპონური ანიმე, მანგა, ეროვნული სამზარეულო, ვიდეო თამაშები და მუსიკა გამოიწვია "Cool Japan" პროექტის შემუშავება.

2002 წლამდე ცნება "Cool Japan" (სიტყვასიტყვით „მაგარი იაპონია“/ Крутая Япония) არ არსებობდა არც სამეცნიერო და არც საჯარო დისკურსში. მხოლოდ დუგლას მაკგრის სტატიაში „Japan's Gross National Cool“ ამ ტერმინის გამოყენების შემდეგ იყო სერიოზული საუბარი იაპონიის ექსპერტთა წრეებში. ამრიგად, 2004 წელს ჩამოყალიბდა კულტურული დიპლომატიის ხელშეწყობის მრჩეველთა საბჭო, რომელმაც დაიწყო მასობრივი კულტურის გავრცელების გზით იაპონიის „რბილი ძალის“ ხელშეწყობის ახალი კონცეფციის შემუშავება. მისმა 2005 წლის მოხსენებამ "მშვიდობიანი ერის კულტურული გაცვლა: იაპონიის მშენებლობა" გამოიყენა ტერმინი 「クール」 მნიშვნელობით 「かっこいい」 (Cool, მაგარი, крутой), როგორც საკვანძო სიტყვა პოპ კულტურისთვის. (「クールジャパン戦略」

([https://www.cao.go.jp/cool\\_japan/about/about.html](https://www.cao.go.jp/cool_japan/about/about.html) - წვდომის თარიღი: 25.05.2024).

2006 წელს საგარეო საქმეთა მინისტრმა ტარო ასომ საჯარო გამოსვლისას გამოაცხადა თავისი განზრახვა გააძლიეროს კულტურული დიპლომატია იაპონური პოპ-კულტურის პოპულარიზაციის გზით, რომელიც განკუთვნილია ახალგაზრდული აუდიტორიისთვის. 2008 წელს ამ კურსის ძირითადი პუნქტები სინთეზირებული იყო ტარო ასოს ორ გამოსვლაში: „ახალი შეხედულება კულტურულ დიპლომატიაზე“ და „იაპონიის ახალი სტრატეგია თანამედროვე ეპოქის პირობებში“. 2013 წელს მინისტრთა

კაბინეტმა დააარსა Cool Japan Promotion Council და პროექტის განვითარებისთვის ეროვნული ბიუჯეტიდან გამოიყო 50 მილიარდი იენი. იმავე წელს Cool Japan Fund Inc. როგორც პროექტის განხორციელების უმნიშვნელოვანესი მექანიზმი.

პროექტის განხორციელების საბჭოს დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ „Cool Japan-ის მთავარი ჰუმანიტარული მიზანია იაპონური პოპ-კულტურისა და იაპონური ცხოვრების სტილის საგარეო კულტურული პოლიტიკის ფარგლებში ექსპორტი - ყველაფერი, რაც მიიზიდავს ხალხს სხვა ქვეყნებიდან: პროექტის ჩუმ სლოგანს შეიძლება ეწოდოს ფრაზა 「日本の魅力を世界へ」 "იაპონური მიმზიდველობა - სამყაროს" (「クールジャパン戦略」 ([https://www.cao.go.jp/cool\\_japan/about/about.html](https://www.cao.go.jp/cool_japan/about/about.html) წვდომის თარიღი: 25.05.2024)

ამ სლოგანის მიხედვით, იაპონური კულტურის მიმზიდველ და „მაგარ“ ელემენტებში შედის: ანიმე, იაპონური სამზარეულო, კომპიუტერული თამაშები, მანგა, კონტენტის სხვადასხვა ფორმა, მოდა, კომერციული პროდუქტები, ტრადიციული ხელნაკეთობა, გამოსახულებები, ბენტო-ბოქსი ან ტრადიციული იაპონური ჩიხები (路地裏の風景) და სხვ. რაც შეეხება ეკონომიკურ კომპონენტს, ამ შემთხვევაში მთავარი მიზანი იაპონური კრეატიული ინდუსტრიების პროდუქციის განვითარება და ექსპორტია. გარდა ამისა, პროექტის დახმარებით დაგეგმილია ტურისტული ნაკადის გაზრდა.

ერთი ნაშრომის ფარგლებში შეუძლებელია ამ უზარმაზარი კულტურული პლასტის დახასიათება, ამიტომ ჩვენ შემოგთავაზებთ იაპონური კულტურის ზოგიერთი ფენომენის მოკლე დახასიათებას, როგორც არის: იაპონური ხელოვნება, კერძოდ ანიმე, მანგა, კაბუკი, იაპონური ეტიკეტი, სამზარეულოს ლაკუნები და იაპონური ენობრივი სისტემის მოკლე დახასიათება.

### § 2.2.1 იაპონური ხელოვნება

დიპლომატიური დისკურსი არ არის ერთგვაროვანი, ის მრავალსტრუქტურულ ცნებას წარმოადგენს და თემატურად მასში რამდენიმე ქვე ნარატივის გამოყოფა

შეიძლება. დიპლომატიური შეხვედრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროს ხელოვნება წარმოადგენს. ამიტომ ქართველი დიპლომატი უნდა ერკვეოდეს იაპონურ ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებში და პირიქით.

ნებისმიერი სახელმწიფოს კულტურა ორიგინალური და უნიკალურია თავისი არსით, განვიხილოთ იაპონური ხელოვნების ზოგიერთი სპეციფიკური სფერო:

**კაბუკი** : რომელიც სიტყვასიტყვით შეიძლება ითარგმნოს როგორც „სიმღერისა და ცეკვის ხელოვნება“, არის ტრადიციული თეატრის სახეობა იაპონიაში. თავად კაბუკი წარმოადგენს ცეკვის, სიმღერის, მუსიკალური აკომპანიმენტის, დრამის, ასევე ფერადი სპეცეფექტების, კამკაშა მაკიაჟისა და კოსტიუმების სინთეზს. იგი წარმოიშვა მე-17 საუკუნის დასაწყისში ტოკიოში. ლეგენდის თანახმად, დრამატული ცეკვების ახალი სტილით შესრულება დაიწყო დიდი იზუმოს ტამრის მსახურმა. მისმა სპექტაკლებმა მიიპყრო ყურადღება და მოცეკვავე მიიწვიეს საიმპერატორო კარზე.

ინოვაციური წარმოდგენის მაღალმა მოწონებამ განაპირობა კონკურენტი დასის გაჩენა. კაბუკი იქცა ქალთა საშემსრულებლო ხელოვნებად, რომელიც აერთიანებს დრამასა და ცეკვის უნარს. მალე მან მიაღწია ედოს (თანამედროვე ტოკიო) და კაბუკის თეატრების მონახულება ჩვეულებად იქცა: აქ იმართებოდა წარმოდგენები და უახლესი მოდის და სტილის დემონსტრირება. თუმცა, საუკუნის ბოლოსთვის ქალებს სცენაზე გამოსვლა აკრძალათ. სპექტაკლებში ყველა როლი მამაკაცებს გადაეცათ. ამჟამად ამ ეროვნული თეატრის თავისებურება ის არის, რომ იქ მხოლოდ მამაკაცები თამაშობენ. მამაკაცი კაბუკის მსახიობები წარმოადგენენ "სუფთა ქალურობას". ითვლებოდა, რომ ქალები ვერ აცნობიერებენ თავიანთ არსს გარედან: ისინი დატვირთულნი არიან შინაგანი გამოცდილებით და საკუთარი ინდივიდუალობით. საინტერესოა, რომ კაბუკი - იაპონური ტრადიციული თეატრის მარგალიტმა - თავისი უნიკალური თვისება აკრძალვების წყალობით შეიძინა.

კაბუკი აერთიანებს მუსიკისა და ცეკვის სხვადასხვა ჟანრს და მისი გამორჩეული თვისება მსახიობების გაზვიადებული სახის გამომეტყველებაა. თავდაპირველად კაბუკის სპექტაკლები ქუჩაში სრულდებოდა და ის თავის დროზე სენსაციურ ჟანრად იქცა.

კაბუკის ოქროს ხანა გაგრძელდა 160 წელზე მეტი, დაწყებული 1673 წლიდან. ამ დროს განისაზღვრა მისი სპექტაკლების სტრუქტურა და სტილი, დადგინდა პერსონაჟების ძირითადი ტიპები. მაგალითად, კიცუნეს ნილაბი საშუალებას გაძლევთ გამოჩნდეთ მითიური მელას გამოსახულებით, რომელიც დაჯილდოებულია მაგიური უნარებით.

კაბუკის ნაკვეთები ძირითადად შთაგონებულია ისტორიული მოვლენებითა და ეთიკური კონფლიქტებით. მსახიობები - ზოგიერთი მათგანი ისეთივე პოპულარული, როგორც დასავლური პოპ ვარსკვლავები - ერთფეროვნად საუბრობენ მუსიკალური ინსტრუმენტების თანხლებით. საავტორო და მასთან დაკავშირებული სხვა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად აკრძალულია თეატრის ადმინისტრაციის სპეციალური ნებართვის გარეშე სპექტაკლების ან მათი ფრაგმენტების ფოტო, ფილმი, ვიდეო, სატელევიზიო გადაღება და ნებისმიერი სახის აუდიო ჩაწერა.“

კაბუკის თამაშის უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს სტილისტური შესტებისა და ფორმების ჩვენება. ეს მოიცავს ცეკვის მსგავსი სტილის საბრძოლო მოძრაობებს (ტატე) და სპეციალურ მოძრაობებს. ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი კაბუკიში გახლავთ სამსიმანი შიამისენი (<https://web-japan.org/>).

**ნო:** „ნო“ – იაპონური სათეატრო ხელოვნების ყველაზე ცნობილი და დღემდე პოპულარული ჟანრია ნო, ნო, ნოგაკუ, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს ოსტატობას, ნიჭს. ის იაპონური ტრადიციული თეატრის ერთ-ერთი სახეობაა, რომელიც თავდაპირველად სასულიერო/ზუდისტურ, ხალხურ, შემდგომ კი – პროფესიულ სანახაობად ჩამოყალიბდა და XIV-XV საუკუნეებში ფეოდალური და სამხედრო არისტოკრატის თეატრის სახე მიიღო.

(<https://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%97%E1%83%94%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9D> წვდომის თარიღი: 10.07.2024).

ასევე **კიოგენი:** იოგენს თავდაპირველად ჰქონდა გასართობი დანიშნულება და ის ჩინეთიდან შეიტანეს იაპონიაში VIII საუკუნეში და უფრო ადრეც. კიოგენმა მოიპოვა სამხედრო ნო და კიოგენი 6 არისტოკრატული წრეების მეურვეობა მეიჯის

მმართველობის აღდგენამდე (1868 წ.). მას შემდეგ კიოგენი ცოცხლობდა ოჯახური სამსახიობო ჯგუფების წყალობით, პირველ რიგში ეს უნდა ითქვას იძუმისა და ოკურას სკოლის შესახებ. დღეს კიოგენის პროფესიონალი შემსრულებლები მართავენ წარმოდგენებს როგორც დამოუკიდებლად.

[https://www.ge.emb-japan.go.jp/files/japan\\_fact\\_sheet/Noh%20and%20kyogen.pdf](https://www.ge.emb-japan.go.jp/files/japan_fact_sheet/Noh%20and%20kyogen.pdf)

წვდომის თარიღი: 10.07.2024).

და **ბუნრაკუ** : იაპონიის მარიონეტების პროფესიონალური თეატრია. იგი ძირითადად XVII-XVIII საუკუნეებში განვითარდა და იაპონიის ოთხი კლასიკური თეატრიდან (ბუნრაკუ, კაბუკი, ნოო და კიოგენი), ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს. სახელი ბუნრაკუ მომდინარეობს თეატრ ბუნრაკუდან, რომელიც დღემდე შემორჩენილი ერთადერთი ბუნრაკუს თეატრია. ბუნრაკუს სხვანაირად ნინგიო ჯიორურისაც უწოდებენ. ეს სახელი მისი წარმოშობისა და არსის გამომხატველია. ნინგიო ნიშნავს „თოჯინას“ ან „მარიონეტს“, ჯიორური კი, დრამატული თხრობის სტილია, რომელიც სამსიმიანი მუსიკალური ინსტრუმენტის, შიამისენის თანხლებით იმღერება ანუ ესაა დრამატული გალობით ამბის მოყოლა შიამისენზე (სამსიმიანი ბარბითის მსგავსი საკრავი) დაკვრის თანხლებით.

<https://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%99%E1%83%A3> . წვდომის თარიღი: 10.07.2024)

ეს სახეობები შეიტანეს იუნესკოს სიაში. ეს ხაზს უსვამს მათ მნიშვნელობას იაპონიის ისტორიისა და ეროვნული საშემსრულებლო ხელოვნებისთვის.

**რაკუგოს**, ერთ-ერთი იაპონური კლასიკური თეატრალური ხელოვნების ისტორია, დაახლოებით 400 წლით თარიღდება. რაკუგოს ჩვეულებრივ უწოდებენ კომიკური ზეპირი თხრობის ხელოვნებას, რადგან მინიატურების უმეტესობა, სატირული ისტორიებია კომიკური დასასრულით. რაკუგოს ტრადიცია დასავლეთ იაპონიაში განსხვავდება აღმოსავლეთ კანტოს რეგიონის ტრადიციისგან, მაგრამ ჟანრის პოპულარობა ორივე რეგიონში დღეს ისეთივე დიდია, როგორც მრავალი წლის წინ.

რაკუგოს ხელოვნების მოყვარულებიდან ერთ ერთი სწორედ ქართველია - ქეთა პაპუნძიძე, რომელმაც იაპონელები ალაფრთოვანა და დიდი პოპულარულობა მოიპოვა. 17 წლის ქეთამ ინტერნეტში უტამარუსანის მიერ შესრულებული რაკუგო ნახა და მას შემდეგ რაკუგოს ისტორიის შესწავლა მთელი გულით დაიწყო. მას არამარტო ისტორია აინტერესებდა, არამედ წარმოსახვით ატრიასაც დაეუფლა. ენრაკუს მოწაფე გახდა. დაუღალავი შრომის შემდეგ იგი რაკუგოს ყველაზე დიდი სცენაზე წარსდგა. (<https://www.chunichi.co.jp/article/571558> ,

<https://www.tv-tokyo.co.jp/plus/lifestyle/entry/2022/026860.html>      წვდომის      თარიღი: 01.09.2024)

იაპონია აქტიურად უწყობს ხელს თავის კულტურას ანიმეების, მანგას, ჰარუკი მურაკამის ნამუშევრების მეშვეობით. „თვითონ იაპონელები 90-იან წლებში გაჭიანურებული ეკონომიკური კრიზისის გამო „დაკარგულ ათწლედს“ უწოდებენ. მაგრამ სწორედ მაშინ მოხდა გარღვევა შემოქმედებითობაში: იაპონურმა კულტურულმა მატრიცამ კომიქსების (მანგა) და მულტფილმების (ანიმე) სახით ფაქტიურად დაიპყრო მთელი მსოფლიო.

**იაპონური კომიქსებისა (მანგა) და მულტფილმების (ანიმე) თაყვანისმცემლები** ერთიანდებიან წრეებში და მართავენ შეხვედრებს. 2012 წელს ქალაქ ტოტორში გაიმართა მანგას საერთაშორისო სამიტი, რომელშიც უამრავი ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდა.

ანიმე და მანგა მრავალი წელია არ კარგავს აქტუალობას იაპონიაში და მთელ მსოფლიოში. ისინი აქტიურად იძენენ ახალ თაყვანისმცემლებს. მათი პოპულარობა იზრდება. ანიმეს კინოთეატრებში აჩვენებენ, მანგა კი ნებისმიერი წიგნის მაღაზიის თაროზე შეგიძლიათ ნახოთ. იაპონურმა კომიქსებმა, ისევე როგორც ანიმაციამ, დაიპყრო თაყვანისმცემლები თავისი სიმარტივით და გულწრფელობით. თუმცა, აშკარა სიმარტივეში ბევრი სიმბოლოა დამალული. მასობრივი ხელოვნების ჟანრების ჩამოყალიბება ტრადიციული იაპონური სიმბოლური სისტემასთან არის

დაკავშირებული, როდესაც მნიშვნელობა ენიჭება ნებისმიერ დეტალს: თმის ფერსა და ფორმას, პერსონაჟის პოზას, ჟესტებს, ტანსაცმელს და ა.შ.

მანგას ისტორია, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს იაპონურ კულტურაში, უძველესი დროიდან იწყება. თავდაპირველად ესკიზებზე ჩვეულებრივი ცხოველები იყო გამოსახული, მაგრამ მე-19 საუკუნესთან უფრო ახლოს მანგამ დაიკავა ადგილი ყოველდღიურ ცხოვრებაში და შექმნა საკუთარი ბაზარი. მშფოთვარე 1920-იან და 1930-იან წლებში იგი გამოიყენებოდა როგორც ავტორიტარული მმართველობის რეპრესიული პოლიტიკის წინააღმდეგობის გაწევის საშუალება და, შესაბამისად, გაიზარდა მისი პოპულარობა. გარდა იმისა, რომ შეიქმნა მანგა, რომელიც აღწერს ომის პერიოდს, ომის შემდეგ დაიწყო მისი გავრცელება ახალ კატეგორიებში (სპორტი, სკოლა, რომანტიკა და ა.შ.). ამან ხელი შეუწყო ანიმეების პოპულარიზაციას, რომელთა უმეტესობა ადაპტირებულია ევრანიზაციისთვის 1980-იანი წლებიდან (Денисова, 2014: 12.).

ანიმე არის მანგას კომიქსების ფილმის სახით ადაპტაცია. მიუხედავად იმისა, რომ ანიმეს პირველი პროტოტიპები გაჩნდა მე-20 საუკუნის დასაწყისში, როდესაც მუნჯი ფილმები გადაიღეს, ანიმე მისი თანამედროვე გაგებით გაჩნდა მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ. ამ პერიოდში ანიმე ცდილობდა თავისი ადგილის პოვნას, მაგრამ ეს ცოტა რთული აღმოჩნდა, რადგან ანიმაციის ინდუსტრიაში დომინირებდა დისნეი. 1956 წელს დაარსდა ცნობილი Toei Animation, რომელიც მიისწრაფოდა გამხდარიყო "აღმოსავლეთის დისნეი" და ცნობილმა რეჟისორებმა, როგორებიც არიან **ტაკაჰატა ისაო** და **მიაზაკი ჰაიაო**, რომლებიც გაიზარდა ტოეიში, შეეძინათ კიდევ ერთი ცნობილი ანიმაციური სტუდია - გიბლი.

ყველაზე დიდი განსხვავება დისნეის ანიმაციასა და იაპონურ ანიმეს შორის არის შინაარსი. იმ წლებში ანიმაცია, ისევე როგორც მულტფილმები, ბავშვებისთვის შეიქმნა, მაგრამ იაპონური ანიმე ევრანზე ასახავს ადამიანის ცხოვრების ყველა ასპექტს. მრავალი კატეგორია, როგორიცაა სპორტი, სამეცნიერო ფანტასტიკა, მითოლოგია, საშინელებანიც

კი გახდა ანიმაციური ფილმების საფუძველი. ანიმეს ამ გამორჩეულმა თვისებამ გაზარდა სამიზნე აუდიტორიის მრავალფეროვნება და გააძლიერა მისი პოზიცია დასავლური სტილის ანიმაციის წინააღმდეგ ბრძოლაში (Iwabuchi K. Pop-Culture Diplomacy in Japan). ტოკიოში დაარსდა „ციფრული ჰოლივუდის უნივერსიტეტი“ (Digital Hollywood University) აკიჰაბარას რაიონში, რომელიც სპეციალიზირებულია ციფრული განსახიერებისა და კულტურის შესწავლაში.

ამავდროულად, ანიმეს მიმართვამ გამოავლინა ფენომენი სახელწოდებით "ოტაკუ ტურიზმი". ანიმეს მოყვარულთათვის აწყობენ მოგზაურობებს ქალაქებში, სადაც ამბავი მოხდა ან თავად მანგას შეთქმულება შეიქმნა. ეს ვიზიტები მოქმედებს, როგორც ერთგვარი „მომლოცველობა“, რომელიც ეხმარება შექმნას ახალი სოციალური ჯგუფები და კომუნიკაციის არხები. 2007 წელს აკიჰაბარას პოპულარობამ გადააჭარბა ტოკიოს დისნეილენდის პოპულარობას. ამჟამად ეს ტერიტორია მოიხსენიება, როგორც "ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, სოციალური, შიდა და გარე ასპექტების შერწყმა, რაც ქმნის იაპონიის "მაგარ" იმიჯს.

## § 2.2.2 იაპონური სამზარეულოს ლაკუნები კულტურათმშორის

### კომუნიკაციაში

ნებისმიერ ერს უყალიბდება გარე სამყაროს თავისებური აღქმა, ენისა და კულტურის ურთიერთკავშირის შედეგად ფორმირდება სამყაროს ენობრივი სურათი, რომელშიც მოთავსებულია ამ კულტურისთვის მნიშვნელოვანი კონცეპტები, რომლებიც გამოხატავენ ეროვნულ მენტალიტეტს (ტერ-მინასოვა 2017:62).

ყველაფერი, რაც კი სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში გადატანილი აქვთ ამ ენისა და კულტურის მატარებლებს, ასე თუ ისე პოულობს გამოხატვას სამყაროს ენობრივ სურათში, რომელიც მოიცავს ამ ხალხის ცხოვრების ყველა სფეროს: ისტორიას,

ხელოვნებას, მეცნიერებას, ყოფას, მათ შორის კულტურის მნიშვნელოვან ფენას წარმოადგენს ეროვნული სამზარეულო.

ქართული და იაპონური ეროვნული სამზარეულო ძალიან თავისებური და, ამავდროულად, ძალიან „გემრიელია“. მაგრამ იაპონიაში ის ნამდვილ ხელოვნებად იქცა. იაპონელი მზარეულები ყურადღებას აქცევენ არა მხოლოდ კერძის გემოს, მათთვის მნიშვნელოვანია ინგრედიენტების შეხამება, სოუსთან შესაბამისობა, მათი ფერი, ფორმა, და რაც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია - კერძის გაფორმება. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ თუ ინგლისელებისთვის ერთ-ერთი აუცილებელი სასაუბრო თემა - ამინდია, იაპონელებისთვის - სამზარეულოა.

ქვეყანაში დომინანტური კულტურა ასევე გავლენას ახდენს ქვეყნის სამზარეულოზე. ჭამის წეს-ჩვეულებები, სუფრის მანერები, აკრძალული საკვები, საკვები მთელი პროცესი, მომზადების დროს გამოყენებული ხელსაწყოებიდან და აღჭურვილობიდან - ამ ყველა ფაქტორმა განაპირობა ეროვნული კულინარია კულინარულ კულტურამდე აყვანა. ამიტომ, იაპონური კულტურის გაცნობა შეუძლებელია მათ ეროვნული სამზარეულოს ნიუანსების აღქმის გარეშე.

იაპონური საკვების მომზადება, მისი პრეზენტაცია, ფორმა, ფერი და ტექსტურა ასახავს ტრადიციულ იაპონურ კულტურას. იაპონური საკვები მიმზიდველია როგორც თვალისთვის, ასევე გემოსთვის. საკვები და სასმელების მომზადებისას სეზონური პროდუქტები და ერთმანეთი აერთიანებს როგორც გემოს, ასევე ფერს. გამოიყენება შესაბამისი კომპონენტები. იაპონური სამზარეულო ზოგადად, სხვა აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების სამზარეულოს მსგავსია. სხვა იაპონური სამზარეულო არსებობს გარკვეული განსხვავებები, რაც განასხვავებს მას აზიის ქვეყნებისგან. ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება არის იაპონურ სამზარეულოში ზეთისა და სანელებლების გამოყენება გაცილებით ნაკლებია.

კიდევ ერთი განსხვავება, რომელიც განასხვავებს იაპონურ კულინარულ კულტურას სხვა ქვეყნებისგან, არის საკვების პრეზენტაცია. საკვებისა და სასმელების პრეზენტაცია იაპონური კულინარული კულტურის ფარგლებში ისტორიულ კვალს ატარებს. მას აქვს

მრავალი ტრადიცია და მისი ჩამოყალიბება საუკუნეებით თარიღდება. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა იქნას შესწავლილი იაპონიის კულინარული კულტურის ისტორიული განვითარება. იაპონური სამზარეულო უმეტესად შედგება ზღვის პროდუქტებისგან, დიდ როლს ბრინჯი ასრულებს. გავრცელებული ინგრედიენტების გარდა იაპონური სამზარეულო გამოირჩევა სპეციალური რიტუალებით და ტრადიციებით.

ასეთია ეგრეთ წოდებული “ხუთი ფერის წესი”, რომელსაც აუცილებლად ყველა იაპონელი მზარეული იცავს. სუფრის გაწყობისას კერძები ისეთნაირად უნდა იყოს არჩეული და შეხამებული, რომ მათში შემავალი ინგრედიენტები ხუთ ფერს წარმოადგენდნენ: მწვანე, ყვითელი, წითელი, ყავისფერი (ან შეიძლება თეთრი) და შავი.

**ლაშა ბოლქვაძის** სტატიაში „იაპონური სამზარეულოს ლაკუნები კულტურათმორის კომუნიკაციაში“ აღწერილია სამზარეულოს მრავალფეროვანი ხატოვანება, რომელიც გაჟღენთილია იაპონური ტრადიციული კომპონენტებითა და გამონათქვამებით. ხოლო ერთ ერთი კი ასეთნაირად არის აღწერილი საჭმლის კულტურული იდეოლოგია:

იაპონელებს აქვთ გამოთქმა: ”საჭმელი არის როგორც ადამიანი, საზოგადოებაში შიშველი ვერ გამოჩნდება” (ბოლქვაძე, 2021: 36).

აგრეთვე იაპონელები იყენებენ საჭმლის მომზადების ხუთ ტექნოლოგიას: უმი საჭმელი, გრილზე დამზადებული, ორთქლზე დამზადებული, მოხარშული და შემწვარი. იაპონურ სამზარეულოში უნდა იყოს შეხამებული ხუთი გემო: ტკბილი, მარილიანი, პიკანტური, მჟავე და მწარე.

კერძების გაფორმებას ბევრ ქვეყანაში აქცევენ ყურადღებას, მაგრამ იაპონიაში ეს ჭეშმარიტ ხელოვნებად არის ქცეული. პირველ რიგში ყურადღებას იწვევს განსაკუთრებული იაპონური ჭურჭელი, რომელიც ფორმისა და ფერის კომბინაციებით ხიბლავს სტუმრებს. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ საკვების განლაგება. ეროვნული სუფრის გასაფორმებლად იაპონიაში გამოიყენება მწვანილი, ყვავილები, ფოთლები, ამიტომაც ადვილად მივხდებით არსებული წელიწადის დროისთვის დამახასიათებელი მცენარეულობა

იაპონური სამზარეულოს მთავარი პროდუქტი არის ბრინჯი, რომელიც საერთოდ დამახასიათებელია აზიურ სამზარეულოსთვის (ჩინური სამზარეულო, კორეული სამზარეულო და სხვ.).

განვიხილოთ ზოგიერთ ყველაზე ცნობილი იაპონური ტრადიციული და მნიშვნელოვანი კერძები:

იაპონური სამზარეულოს ერთ-ერთი საოცარი კერძი არის თევზი **ფუგუ** (ふぐ) იგი შეიცავს ტეტროდოტოქსინს ძირითადად შინაგან ორგანოებში. ფუგუს მომზადებას განსაკუთრებული ოსტატობა და გამოცდილება სჭირდება, რათა სიცოცხლისათვის საშიშია. გურმანების აზრით თევზი გემრიელია, არა ძვლოვანი, ცხიმს თითქმის არ შეიცავს, ხორცი მკვრივი და ელასტიურია. სწორად დამუშავებულ ფუგუს ჭამენ უმსაც და შემწვარსაც, მაგრამ პიკანტურ გემოს ანიჭებს შიში, რომელიც ადრენალინს გამოიმუშავებს.

პოპულარული იაპონური კერძი **ტენპურა** (天ぷら) წარმოადგენს დიდი რაოდენობის ზეთში შემწვარ ზღვის პროდუქტებს და სხვადასხვა სახის ბოსტნეულს, რომელთაგან ყველაზე ცნობილია ები ტემპურა, რომელიც მზადდება ახალი კრევეტებისაგან. ტემპურაში მთავარია ცომი, რომელიც მზადდება ორგვარად სპეციალური პურის ფქვილისგან ან პურის ფანტელისგან, რის გამოც წარმოიქმნება ნაზი, ხრამუნა ქერქი და პროდუქტები რჩება წვნიანი და ინარჩუნებს გემოს. მისი მირთმევა შეიძლება სხვადასხვანაირად, ჩვეულებრივ, მარილთან და სანელებლებთან ერთად. იაპონელებს ძალიან უყვართ ეს ეროვნული დელიკატესი. ტემპურა შეუცვლელი დელიკატესია იაპონელებისთვის.

**უნაგი** (うなぎ) : მტკნარი წყლის გველთევზა, რომელსაც გრილზე ამზადებენ.

**შაბუ-შაბუ** (しゃぶしゃぶ) : საქონლისა და ღორის ხორცის ძალიან თხელი ნაჭრები, რომლებსაც ბულიონში ურევენ.

**ვასაბი** (わさび) : ვასაბი არის ჯვარცმული ოჯახის ღია მწვანე ფესვიანი ბოსტნეული, რომელიც მხოლოდ იაპონიაში იზრდება და მისგან მზადდება ცხარე მწვანე პასტა სუმისთვის. ნამდვილი ვასაბი იაპონიაში ხელით მზადდება ტრადიციული

ხელსაწყოების გამოყენებით. ვასაბის ფესვს ხეხავენ სპეციალურ სახეხზე, რის შემდეგაც მიღებულ მასას ურევენ წყალს სასურველ კონსისტენციის მისაღებად. ხელნაკეთი ვასაბი უმაღლესი ხარისხისა და ყველაზე არომატულია.

ვინაიდან სუში და ვასაბი ძალიან პოპულარულია მთელ მსოფლიოში, და ვასაბი ძნელი მოსავლეელია, ეს ძვირადღირებული პროდუქტი იაპონიის ფარგლებს გარეთ, როგორც წესი, იცვლება ევროპაში გავრცელებული მცენარეულობით, მდოგვისა და მწვანე საკვების საღებავებით.

**რამენ ( ㇀ - ㇁ )** : ეს არის იაპონური სამზარეულოს ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი წვნიანი კერძი, რომელიც მზადდება ხორბლის ლაფშით, ხორცით, სოიოს სოუსით და სხვადასხვა ხორცითა და ძვლებით მომზადებული ბულიონისგან. ინგრედიენტებიდან გამომდინარე, ის შეიძლება შედგებოდეს კვერცხის, ზღვის მცენარეების, სხვადასხვა სოუსებისა და ოსტნეულისგან. ამ კერძს, რომელიც ცილის სრული წყაროა, თითქმის ყველგან თავისი რამენის რესტორნები აქვს. უფრო მეტიც, ტოკიოში რამენის მუზეუმიც კი არსებობს.

**კაისეკი ( 懷石 )** : ეს არის ვახშამი, რომელიც შედგება კერძების სერიისგან, რომლებიც აღწერილია, როგორც ხელოვნების ნიმუშები იაპონურ სამზარეულოში. იგი შედგება რთული მენიუსგან, რომელშიც არა ერთი კერძის შედის, და სასურველია ყოველი სეზონისთვის სპეციფიკური ახალი კერძების დამატება. ეს არის პატარა პორციული კერძები, რომლებიც საჭიროებს ზედმიწევნით მომზადებას და მზადდება დახვეწილი ტექნიკით. აქ მიზანია კერძებს შორის წონასწორობის შენარჩუნება და იაპონური სამზარეულოს მრავალფეროვნების ჩვენება.

**სუში ( 寿司 )** : სუშის ისტორია დაახლოებით 1300 წელს ითვლის. ის წარმოადგენს უმი თევზს, რომელიც ბრინჯით არის მორთული და ძმრით შეკმაზული. სუშის უხდება სოიოს სოუსი და ვასაბი. არსებობს სუშის ბევრი სახეობა.

როდესაც იაპონიას ახსენებენ, პირველი საჭმელი, რომელიც გვახსენდება უდავოდ სუშია. არსებობს სუშის სახეობები, სადაც ზღვის პროდუქტები გამოიყენება უმი ან

მოხარული. მიუხედავად იმისა, რომ ზღვის მცენარეები გამოიყენება ზოგიერთი სუშის რეცეპტში, ის არ არის სავალდებულო პროდუქტი. ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტი, რომელიც აუცილებლად გასათვალისწინებელია, არის ახალი ზღვის პროდუქტების გამოყენება.

საუკუნე ნახევრიან პერიოდში, როდესაც იაპონიაში შეიცვალა „ჩაკეტილი სახელმწიფოს“ პოლიტიკა და მთელ მსოფლიოში გავრცელდა იაპონური სამზარეულოს საუკეთესო კერძები. მნიშვნელოვანია ის გარემო, რომ ტრადიციულ კერძებში იაპონელები იყენებენ ევროპულ ინგრედიენტებს, როგორც უკვე ვასაბის მაგალითზე ავხსენით. ამის გარდა იაპონელი მზარეულები ბევრი უცხო კერძით გაამდიდრეს მათი სამზარეულო, მაგრამ, იაპონური ტრადიციების გამოყენებით.

ტრადიციული იაპონური სამზარეულო, **ვაშოკუ(和食)**, რომელიც ჩვეულებრივ შედგება ბრინჯის, სუპისა და ბოსტნეულისგან, ხაზს უსვამს რბილ და დელიკატურ გემოს, ცნობილი გახდა მთელ მსოფლიოში არა მარტო გემოს, არამედ დიეტური ეფექტის გამო. ვაშოკუ, როგორც ტრადიციული იაპონური სამზარეულოს მომზადებისა და მიწოდების მეთოდი, 2013 წლის დეკემბერში იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის სიაში დარეგისტრირდა. (<https://www.maff.go.jp/j/keikaku/syokubunka/ich/> წვდომის თარიღი: 06.06.2024

და ბოლოს, ჩვენ ვასრულებთ იაპონური სამზარეულოს დახასიათებას ცნობილი დესერტით „ვაგაში (和菓子)“. ეს არის ტრადიციული იაპონური დესერტი, რომელსაც ხშირად ანიჭებენ უპირატესობას განსაკუთრებით ჩაის ცერემონიებში. ზოგადად, ძირითადი შემავსებელი ინგრედიენტია წითელი ლობიო და სხვა ინგრედიენტები, როგორცაა წაბლი, ბრინჯის ფქვილი და სეზამის პასტა, ასევე შეიძლება სასურველი იყოს როგორც შიგთავსი. შეღებვისთვის იყენებენ მწვანე ჩაის ფხვნილს, სოიოს ფქვილს და იაპონურ ქიას. იაპონური სამზარეულოც სულ უფრო პოპულარული ხდება მსოფლიოში, რულები და სუში აღარ არის ეგზოტიკური კერძი, რესტორნების უმეტესობას უკვე აქვს იაპონური მენიუ.

ჩვენ ვიზიარებთ ბულგარელი მთარგმნელების სერგეი ვლახოვისა და სიდერ ფლორინის აზრს, რომ ეროვნული სამზარეულოს კერძები წარმოადგენენ ეთნო-კულტურულ რეალიებს, რომლის ტრანსკოდირება სხვა კულტურის წარმომადგენლებისთვის საკმაოდ რთულია (Влахов, Флорин 2009:53).

კონკრეტული ერისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური კერძები ძალიან დიდ როლს ასრულებენ: ეროვნული სამზარეულო ხშირ შემთხვევაში ასრულებს ქვეყნის პოზიტიური სახის შექმნაში, ის ეროვნული იდენტობის ერთ-ერთი ფაქტორია, არსებობს მთელ მსოფლიოში ცნობილი ეროვნული სამზარეულოს კერძები, რომლებიც გასტრონომიული ტურიზმის განვითარებას უწყობს ხელს, ამავდროულად, ეროვნული კერძების თავისებურების ცოდნა, მათი მირთმევის ეტიკეტი კულტურათმშორისი კომუნიკაციის მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენს.

ყველაფერი ზემოთ თქმული მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოსა და იაპონიას შორის წარმატებული ურთიერთობისთვის საჭიროა ისეთი დიპლომატიური კადრების ჩამოყალიბება, რომლებსაც ეცოდინებათ აღმოსავლური კულტურის თავისებურებანი, მათ შორის ეროვნული სამზარეულო და ეტიკეტი. აგრეთვე გვინდა გაუსვათ ხაზი იმ გარემოებას, რომ ქართული და იაპონური დიპლომატიური დისკურსი ჯერჯერობით არ არის შესწავლილი მთარგმნელობით ჭრილში.

### **§ 2.2.3 იაპონური ეტიკეტი**

ეროვნული კულტურა განვითარების პროცესში დიდ ცვლილებებს განიცდის, კულტურული კომპონენტები ხშირ შემთხვევაში ან იცვლება, ან მთლიანად დავიწყებას მიეცემა. იაპონური კულტურა ბევრი ცვლილება განიცადა მისი განვითარების პროცესში მიუხედავად იმისა, რომ ევროპულ კულტურასთან შედარებით იზოლაციის პოლიტიკას მიყვებოდა. ყველაზე მეტად ჩინური კულტურის გავლენა შეიმჩნევა, ნაკლებად - ევროპული. მაგრამ, რაც მთავარია, იაპონელებმა მათი სპეციფიკური წეს-ჩვეულებები

შენარჩუნეს და დღესაც მიყვებიან მნიშვნელოვან ტრადიციებს. ასეთ მნიშვნელოვან ტრადიციას იაპონური ეტიკეტი მიეკუთვნება.

იაპონელები ძალიან თავაზიანი და თავშეკავებული ხალხია. მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია ეტიკეტის წესები. იაპონელები არ მოელოან, რომ ყველამ დაიცვან მათი წეს-ჩვეულებები, მაგრამ თუ ცდილობთ დაიცვათ იაპონური ქცევა, დიდად დაგიფასდებათ. ამავე დროს, საკმარისია უბრალოდ მოიქცეთ თავაზიანად და დაიცვან საყოველთაოდ მიღებული კომუნიკაციის ჩვეულებრივი წესები.

იაპონური ქცევის კოდექსი მოიცავს ცხოვრების აბსოლუტურად ყველა სფეროს, რეგლამენტირებულია მისალმების ვერბალური და არავერბალური სისტემა, საზოგადოებაში ქცევის წესები (ტრანსპორტში, სამსახურში, მაღაზიებში, ტაძრებში და სხვ.). ბიზნესი იაპონელების ცხოვრების მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენს, ამიტომ დაწვრილებით არის აღწერილი ოფიციალური შეხვედრების პროტოკოლი. აგრეთვე განსაკუთრებულად არის ჩამოყალიბებული სუფრასთან ქცევის წესები, ჩაის დალევის ცერემონია.

განვიხილოთ იაპონური ეტიკეტის ზოგიერთი წეს-ჩვეულება, რომელიც შემონახულია ეროვნულ კულტურაში დღემდე, მაგალითად, მისალმების ეტიკეტი. იაპონელებისთვის დისტანციის შენარჩუნება მნიშვნელოვანია. დასავლეთის უმეტესი ქვეყნებისგან განსხვავებით, იაპონიაში ადამიანები, როგორც წესი, არ ართმევენ ხელს ან ეხუტებიან ადამიანებს კომუნიკაციის ან მისალმების დროს. ამის ნაცვლად, ისინი იხრებიან, თითქოს ამბობენ „გამარჯობა“, „მშვიდობით“, „მადლობა“ ან „ბოდიში“, სიტუაციიდან გამომდინარე. უცხოელები, როგორც წესი, არ იხრებიან, ან ხშირად არასწორად აკეთებენ ამას. იაპონელებს აქვთ საკუთარი წესები ამ ჩვეულებისთვის: მშვილდის სიღრმე გვიჩვენებს, თუ რამდენს იხდით ბოდიშს ან რამდენად დიდ პატივს სცემთ ვინმეს.

მიუხედავად იმისა, რომ იაპონიაში შეხვედრისას ქედმაღლობის ტრადიცია ჯერ კიდევ ძალიან გავრცელებულია, ბიზნესმენები ერთმანეთს შეხვედრისას ხშირად ართმევენ ხელს. იაპონელები სტუმრებისგან ქედს არ ელიან, მაგრამ თავის ოდნავი

დახრილობა გამოგადგებათ. ტრადიციებს რომ მივყვეთ, ჩვეულებრივი სალამი იაპონიაში მოითხოვს თხუთმეტგრადუსიან შვილდს. ასე ესალმებიან ადამიანებს პირველად შეხვედრისას, ან არაფორმალურ სიტუაციებში.

შვილდის გრადუსი იმის მაჩვენებელია, რა ფუნქციას ასრულებს ეს კონკრეტული ეტიკეტის ფორმა. თუ შვილდი 30 გრადუსიანია, ის გამოიყენება საზოგადოებაში ზემდგომთა მიმართ პატივისცემის გამოსახატავად, ოფიციალურ კომუნიკაციაში. პატივისცემის უმაღლეს ფორმას წარმოადგენს 45 გრადუსიანი შვილდი, ასევე მას იყენებენ გულწრფელი ბოდიშის მოსახდელად.

მიმართვის წეს-ჩვეულებები მოითხოვს პატივისცემას სახელის მიმართ. იაპონელები საერთოდ არ ეძახიან ხალხს თავიანთ სახელებს და სანაცვლოდ იყენებენ პატივსაცემ სუფიქსს (-san) და გვარს. არ უნდა გამოტოვოთ, თუ გსურთ ვინმეს სახელით მიმართოთ, განსაკუთრებით ახალ მეგობრებთან ან უბრალოდ ნაცნობებთან. ახლო მეგობრებთან სახელის გამოყენებისას, სუფიქსი სქესის მიხედვით (-kun/-chan) იქნება განსხვავებული.

იაპონურ ეტიკეტში დიდი ყურადღება ენიჭება ადგილების გადანაწილებას. როგორც იაპონურ სახლში, ასევე შეხვედრების დარბაზში, საპატიო ადგილი ჩვეულებრივ მდებარეობს კარიდან მოშორებით, ტოკონომის გვერდით (კედლის ნიშა, რომელიც შეიცავს დეკორაციებს). სტუმარმა შეიძლება, მოკრძალების გამო, უარი თქვას საპატიო ადგილას ჯდომაზე. დანარჩენი სტუმრები ელოდებიან, სანამ საპატიო სტუმარი დაჯდება. თუ დაგვიანებულია, მაშინ ყველა დგება მისი ჩასვლისთანავე.

იაპონური სახლები, როგორც წესი, პატარა, ვიწროა და მდებარეობს ქალაქის ცენტრიდან შორს, ამიტომ იაპონელები იშვიათად იწვევენ სტუმრებს სახლში, მაგრამ ურჩევნიათ მათ რესტორანში გართობა. თუ იაპონურ რესტორანში მიგიწვიეს, შეიძლება წარმოიშვას გაუთვალისწინებელი სიტუაციები, საიდანაც დამპატიყბელი დაგებმარება ღირსეული გამოსავლის პოვნაში. მაგალითად, ის გეტყვით როდის და სად გაიხადოთ ფეხსაცმელი. სულაც არ არის საჭირო იაპონური წესით ჯდომა, ფეხები ქვემოდან მოქცეული. იაპონელების უმეტესობა, ისევე როგორც ევროპელები, სწრაფად იღლება ამით. მამაკაცებს უფლება აქვთ გადააჯვარედინონ ფეხები, მაგრამ ქალები უფრო მკაცრი

მოთხოვნებს ექვემდებარება: ისინი უნდა იხდნენ ფეხების ქვეშ მოქცეული, ან, მოხერხებულობისთვის, გვერდზე გადაწეული. ზოგჯერ სტუმარს შეიძლება შესთავაზონ დაბალი სკამი საზურგეებით. არ არის ჩვეულებრივი ფეხების წინ გაჭიმვა.

იაპონიაში აგრეთვე მკაცრად არის რეგლამენტირებული საზოგადოებრივ ტრანსპორტში ქცევა. პირველ რიგში იაპონიის მატარებლებსა და მეტროებში მნიშვნელოვანია სიმშვიდისა და სიჩუმის შენარჩუნება. ხმამაღლა საუბარი და ტელეფონების გამოყენება დინამიკებით არ არის მისაღები. განსაკუთრებული პატივისცემით ექცევიან ხანდაზმულთა, ორსულთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პიროვნებებს, მათ აუცილებლად ადგილს უთმობენ. სისუფთავე და წესრიგი - აუცილებელია ყველასთვის.

იაპონია ცნობილია თავისი ულამაზესი ტაძრებითა და წმინდა ადგილებით, სადაც ტრადიციები და რიტუალები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში. ამ ადგილების მონახულებისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ მთელი რიგი მოთხოვნა.

იაპონელები დიდ პატივს სცემენ თავიანთ ტაძრებსა და სალოცავებს. ამიტომ, ასეთ ადგილებში სტუმრობისას უნდა შეინარჩუნოთ სიმშვიდე და სიჩუმე. ხმამაღალმა საუბრებმა შეიძლება დაარღვიოს მშვიდობის ატმოსფერო. ბევრი ტაძარი და წმინდა ადგილი იძლევა ფოტოგრაფიის საშუალებას, მაგრამ ყოველთვის კარგი იდეაა იცოდეთ კონკრეტული ტაძრის წესები. მაგალითად, შეიძლება იყოს აკრძალული ფოტოგრაფია წმინდა ნაგებობებში ან სპეციალურ ადგილებში. მნიშვნელოვანია ყურადღება მიაქციოთ მითითებებს და მიჰყევით მათ. ზოგიერთი ტაძარი მოითხოვს, რომ გაიხადო ფეხსაცმელი შესვლამდე. ეს არის პრაქტიკა, რომელიც სიმბოლოა პატივისცემის (<https://oknoinjapan.com/> - წვდომის თარიღი - 15.04.2024).

იაპონელები არიან ერი, რომელმაც დაეუფლა „არას“ თქმის დახვეწილ ხელოვნებას ხმამაღლა თქმის გარეშე. იაპონელი ადამიანისგან საბოლოო პასუხის მიღება შეიძლება ძალიან რთული იყოს. საუბარში საუკეთესო გზა არის ფოკუსირება სხვა ადამიანზე, მის

სახის გამომეტყველებაზე და სხეულის ენაზე. აგრეთვე იაპონიაში უაღრესად აფასებენ მოკრძალებას, ტრახახი კი არაფრის მომცემია. თუნდაც იაპონელი თავისი ხელობის ოსტატი იყოს, მაინც იტყვის, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ არ იცის და უნდა ისწავლოს.

იაპონელები - თავაზიანი ხალხია, ბოდიშის მოხდის რამდენიმე გზა აქვთ (ნაზი ბოდიში ნაცნობებისთვის, არაფორმალური ბოდიში ახლო მეგობრებსა და ოჯახის წევრებისთვის, ფორმალური ბოდიში უცნობებისთვის და სხვ.). ბოდიშის მოხდის თავისებური ფორმა - საჩუქრის ჩუქებაა. საჩუქარი პატარა, კოხტა უნდა იყოს და აუცილებლად კოხტად შეფუთული. საჩუქრების გაცემა იაპონური კულტურის საერთო ნაწილია. იაპონიაში ჩვეულებრივია საჩუქრების მიცემა არა მხოლოდ დღესასწაულებზე, არამედ დახმარებისთვის მადლობის ნიშნად. ასეთი მიზნებისთვის ჩვეულებრივ ტკბილეულს ირჩევენ.

არ შეგვიძლია გვერდი აუაროთ ჩუქებასთან დაკავშირებულ ლინგვოკულტურულ თავისებურებას. სხვადასხვა კულტურაში გარკვეულ რიცხვებს აქვს სიმბოლური დატვირთვა (მაგალითად - სამი, ცხრა, ორმოცი). იაპონიაში რიცხვი ოთხი ძალიან ჰგავს სიკვდილს, ამიტომ მოსარიდებელია ოთხი ყვავილის ჩუქება, ოთხნაწილიანი ნივთის და სხვ. მოლეული საჩუქრის მაშინვე გახსნა იაპონიაში არ არის მიღებული, მაგრამ შეიძლება იკითხოთ (<https://oknoinjapan.com/> - წვდომის თარიღი - 15.04.2024).

იაპონური ქცევის ეტიკეტის მნიშვნელოვანი ნაწილი სუფრასთან არის დაკავშირებული, რაზეც ნაწილობრივ უკვე ვისაუბრეთ. სუფრაზე ჯოხების გამოყენებისას უნდა გვახსოვდეს, რომ არ შეიძლება მათი გადაკვეთა ან ბრინჯში ჩასმა. როცა სასმელს შემოგთავაზებენ, ჭიქა უნდა ავწიოთ და დაველოდოთ სანამ არ გაივსება.

საყოველთაოდ ცნობილი ჩაის ცერემონია არის ჩაის დაყენების და შემდგომი ჩაის დალევის პროცესი, რომელიც გადაკეთდა ერთგვარ საერო რიტუალში, რომელიც გავრცელებულია აზიის ქვეყნებში. იაპონურად ჩაის ცერემონიას ჰქვია "ჩანიუ" ან "სადო", ხოლო ფხვნილი მატჩას მწვანე ჩაის მომზადებისა და მიტანის ხელოვნებას "ოტემაე". ჩაკაი

არის არაფორმალური შეკრებები, სადაც ხალხი იკრიბება ჩაის რიტუალიზებული მირთმევის ხელოვნებისთვის, ხოლო უფრო ოფიციალურ ღონისძიებებს ჩაჯი ეწოდება.

იაპონური ეტიკეტის მოკლე ანალიზი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ამ კულტურის თავისებურებას და გვარწმუნებს იმაში, რომ ქართველი დიპლომატი კარგად უნდა ერკვეოდეს ჩამოთვლილ ნიუანსებში რათა მისი მოღვაწეობა წარმატებული იყოს.

#### § 2.2.4 იაპონური ენა

ენა ურთიერთობების ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რადგან მისი მეშვეობით ხდება ინფორმაციის გადაცემა და მიღება. ენების ცოდნა ძალიან სასარგებლოა და ხშირად აუცილებელიც კი თანამედროვე ცხოვრებაში. უნივერსალური გლობალიზაციის პირობებში, გარდა მშობლიური ენისა, ადამიანი სწავლობს ერთიდან რამდენიმე უცხო ენას, რომლებიც ასრულებენ რეგიონული და საერთაშორისო ენის კომუნიკაციის ფუნქციას. ენის არჩევანი ძალიან მნიშვნელოვანია კონტაქტების დამყარებისა და წარმატებული თანამშრომლობისთვის.

როგორც ცნობილმა პოლიტიკოსმა ნელსონ მანდელამ თქვა: „თუ ადამიანს ელაპარაკები მისთვის გასაგებ ენაზე, მის გონებას უბრუნდები, ხოლო თუ მშობლიურ ენაზე საუბრობ, მის გულს მიუბრუნდები“ (Мандела Нельсон 2022:20).

ამჟამად საქართველო განიცდის „ლინგვოდიდაქტიკურ ბუმს“, რადგან ინგლისური ენის საყოველთაო სავალდებულო შესწავლის გარდა საზღვარგარეთის და შორეულ ქვეყნებთან წარმატებული თანამშრომლობის დამყარების მიზნით, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში, მსურველებს ასწავლიან არა მხოლოდ ევროპულ ენებს (ფრანგული, გერმანული, ესპანური, იტალიური), არამედ აღმოსავლეთ რეგიონის ენებსაც (არაბული, თურქული, ჩინური, იაპონური).

დედაქალაქის წამყვან უნივერსიტეტებში - თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში დიდი ხანია ასწავლიან სტუდენტებს აღმოსავლურ ენებს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში კი თურქოლოგიის-თურქეთის ისტორიის პროფესორი ემზარ მაკარაძის ინიციატივით 2015 წელს აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი.

დაუღალავი შრომის შედეგად, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ინიციატივით 2018 წელს დაარსდა ჟურნალი „აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე“, რომელშიც აღმოსავლეთის ისტორიის, პოლიტიკის, დიპლომატიის, რეგიონმცოდნეობის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, ეთნოგრაფიის, კულტურული ანთროპოლოგიის, წყაროთმცოდნეობის, ისტორიოგრაფიის, ქრონოლოგიის, ენათმეცნიერების, ლიტერატურათმცოდნეობის, აღმოსავლეთის ფილოსოფიის, ისტორიული გეოგრაფიის, რელიგიის ისტორიის, კულტურის, თარგმანის და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები განიხილება. ჟურნალი მოიცავს არა მხოლოდ ქართველი, არამედ უცხოური მკვლევარების სტატიებს აღნიშნულ საკითხებზე.

ბსუ-ში სისტემატურად ტარდება საერთაშორისო კონფერენციები და ფორუმები, რომლის მასალებიც აგრეთვე ამ ჟურნალში იბეჭედა. სხვა ენებთან ერთად იაპონური ენის, ისტორიის, ლიტერატურის, კულტურის, თარგმნის წარმატებული სამეცნიერო ნაშრომებიც არის გამოქვეყნებული. გვეძლევა საშუალება მსგავსი ტიპის ნაშრომები ჟურნალის მეშვეობით ყველა მსურველისთვის გახდეს ცნობილი.

იმისათვის, რომ ადამიანმა ისწავლოს ენა, პირველ რიგში, უნდა ჰქონდეს სწავლის სურვილი, ძალიან მნიშვნელოვანია მოტივაცია - შესწავლილი ენის გამოყენების საბოლოო მიზანი. თუ ინგლისურის სწავლებას თან ახლავს მრავალი სამეტყველო სიტუაცია, რომელშიც სტუდენტი აერთიანებს პრაქტიკულ გაკვეთილებზე შეძენილ უცხო მეტყველების უნარებს, მაშინ აღმოსავლური ენების შესწავლის შემთხვევაში (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტები სწავლობენ

ჩინურ და იაპონურ ენებს) ენობრივი გარემო არ არსებობს. ევროპული ენების (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) შესწავლისას სტუდენტები პრაქტიკას ატარებენ მრავალ ტურისტულ კომპანიაში, ურთიერთობენ უცხოელ ტურისტებთან. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იაპონური ენისა და კულტურის თავისებურებების დასაუფლებლად ქართულენოვან სტუდენტებს განსაკუთრებული მონდომებით უწევთ მუშაობა. თითოეულ ენას ახასიათებს თავისი თავისებურებები და იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლეთა მშობლიური ენა და სწავლების ენა ერთმანეთს უპირისპირდება პრობლემების ფართო სპექტრში, რთულია უცხო ენის შესწავლის პროცესი. სწორედ ასეთი კონტრასტული წყვილია ქართული და იაპონური.

უკვე დიდი ხანია აქსიომაა, რომ ენა მჭიდროდ არის დაკავშირებული ხალხის კულტურასა და ცხოვრების წესთან. უცხო ენების სწავლების მეთოდოლოგიაში ამჟამად ძალიან პოპულარულია ს.გ. ტერ-მინასოვას მიდგომა, რომლის მთავარი იდეაა „უცხო ენების სწავლების მჭიდრო კავშირი და ურთიერთდამოკიდებულება და კულტურათაშორისი კომუნიკაცია“ (ტერ-მინასოვა). ამიტომ, იაპონური ენის შესწავლა ნიშნავს იაპონური კულტურის გაცნობას, რომელიც მთელ მსოფლიოში ცნობილია თავისი უნიკალური ტრადიციებით, მოწინავე ტექნოლოგიებით, დაუვიწყარი ანიმეებით, უჩვეულო კერძებით და ა.შ. იაპონური ენაც უნიკალურია სხვა ენებთან შედარებით. ის წარმოადგენს რთულ სისტემას, რომელიც შედგება რამდენიმე ენობრივი ფენისგან.

იაპონური ენის თეორიული გრამატიკის ავტორების აზრით, „იაპონური არის ყველაზე მრავალრიცხოვანი და ცნობილი მსოფლიოს ენებს შორის, არც თუ ისე მკაფიო ოჯახური კავშირებით. როგორც ცალკე ენა, იგი განვითარდა ახალი ეპოქის პირველ საუკუნეებში ალთაის ტომების კონტინენტიდან იაპონიის კუნძულებზე მასობრივი მიგრაციის შემდეგ, რომლებიც თანდათან შეერწყა ძირძველ მოსახლეობას, როგორც ჩანს, ავსტრონეზიული ენებზე მოლაპარაკე“ (Алпатов, 2008: 25).

იაპონური დამწერლობა წარმოდგენილია რამდენიმე ანბანით: კანჯი სიმბოლოები, ორი სილაბური ანბანი (ჰირაგანა და კატაკანა), რომაჯი (ლათინური ანბანი) გამოიყენება

ტრანსლიტერაციისთვის. გასაკვირი არ არის, რომ იაპონური ენის შესწავლა ძალიან გააზრებულ და დაბალანსებულ მეთოდებს მოითხოვს.

იაპონური დამწერლობა, დამწერლობის სისტემა შედგება იეროგლიფებისგან (დაახლოებით 15 ათასამდე), იეროგლიფები აღნიშნავენ მორფემას ან სინონიმური მორფემების სერიას. ნაწილი იეროგლიფების - იაპონურია, ნაწილი კი - ჩინური ენიდან ნასესხები. იაპონური დამწერლობა - სილაბურია და ძირითადად ორი გრაფიკული ვერსიით არის ცნობილი (თითოეული 48 სილაბური ასო): ჰირაგანა - მოსამსახურე მორფემების ფიქსაციისთვის, და კატაკანა - ახალი ნასესხების ჩასაწერად. ამჟამად ჭარბობს შერეული დამწერლობა. ფაქტობრივად, იაპონური ენის შემსწავლელს სამი ანბანის შესწავლა უწევს: კანჯის, ჰირაგანასა და კატაკანასი. იაპონური ტექსტები შეიცავს დამწერლობების სამივე სახეობას, რადგან ყოველივე მათგანს თავისი სემანტიკურ-გრაფიკული ფუნქცია აქვს ტექსტში. თითოეულ სისტემას მისი სპეციფიკა გააჩნია.

როგორც ფელდმან კონრადი აღნიშნავს, 1946 წელს საზოგადოებრივ პრესაში იაპონური იეროგლიფების რაოდენობა შემცირდა 1945-მდე, ([https://www.ge.emb-japan.go.jp/files/japan\\_fact\\_sheet/Japanese%20language.pdf](https://www.ge.emb-japan.go.jp/files/japan_fact_sheet/Japanese%20language.pdf). წვდომის თარიღი: 09.08.2024) გამარტივდა 700 ნიშანი, მართლწერა მიუახლოვდა გამოთქმას. იაპონელები წერენ ინტერვალის გარეშე ზემოდან ქვემოდან და მარჯვნიდან მარცხნივ. ზოგჯერ ტექსტები იბეჭდება მარცხნიდან მარჯვნივ. ლათინური ანბანი ფართოდ არ გამოიყენება (Фельдман-Конрад, 1977:27).

იაპონური დამწერლობის მთავარ ნაწილად ჰირაგანა ითვლება, ჰირაგანათი იწერება ნამდვილი იაპონური სიტყვები, აგრეთვე ის ფართოდ იხმარება სიტყვების გრამატიკული დაბოლოებების დასაწერად (სიტყვა: *ჭამა* იწერება ჯერ კანჯით 食べる და შემდეგ ბოლოვდება ჰირაგანათი).

კატაკანა ძირითადად გამოიყენება ნასესხები სიტყვების დასაწერად, ის ჰირაგანასთან შედარებით უფრო მარტივია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ კატაკანას გამოყენების სფერო უფრო შეზღუდულია. ევროპული ენებიდან შემოსული სიტყვები

(*ლუდი, ყველი, ნამცხვარი - ビール, チーズ, ケーキ*) ან ევროპული სახელები კატაკანით იწერება.

იაპონური ტექსტი იწყება გვერდის მარჯვენა მხრიდან, მოდის ვერტიკალურად ზემოდან ქვემოთ, ამიტომ ძნელი წასაკითხია სხვა კულტურის წარმომადგენლებისთვის. მხოლოდ განსაკუთრებული მნიშვნელობის წიგნები და პრესა (პოლიტიკურ თემაზე, სამედიცინო აღმოჩენები და სხვ.) იბეჭდება ჰორიზონტალურ ხაზებზე და იკითხება მარცხნიდან მარჯვნივ, როგორც ევროპაში.

იაპონური ენის ათვისებისთვის აუცილებელია პარალელურ რეჟიმში კულტურის შესწავლა. თანამედროვე ტექნოლოგიების წყალობით, ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა მოვაწყოთ იაპონური კულტურის სისტემატური გაცნობა, მოვაწყოთ ცნობილი ანიმაციური ფილმების ყურება, რომლებიც ასახავს იაპონური ცხოვრების თავისებურებებს, ეროვნულ სამოსს და ა.შ. კულტურული კომპონენტის ათვისებაში გვეხმარება ისტორიული ქრონიკები, ვეცნობით იაპონური ფოლკლორის გმირებს (*ოქროს ბიჭი კინტარო, ურამიმ ტარო, რომელმაც გადაარჩინა კუ, სამურაი ტოკოიოს ქალიშვილი და სხვ.*).

მიუხედავად იაპონიისადმი ქართველი ხალხის ემპათიისა და განუსაზღვრელი პატივისცემისა სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ძალიან დაბალია იაპონური ენის, ისტორიის, კულტურის სიღრმისეული ცნობადობა. ამას რა თქმა უნდა თავისებური საფუძველი და ფაქტორები გააჩნია. თუმცა მნიშვნელოვანია დღევანდელ პერიოდში განვითარებისათვის, მეტი ინფორმაციის გაზიარებისათვის, ცნობადობის ამაღლებისათვის მასშტაბურ დონეზე სხვადასხვა კულტურული დიპლომატიური ღონისძიებების გატარება. და ასევე, ორივე ქვეყნის აწმყოსა და წარსულის, მისი კულტურის, ისტორიის და ღირსშესანიშნაობების პროპაგანდა. რაც საშუალებას მისცემს გახდეს ხელმისაწვდომი საქართველოს თითოეული მოქალაქისათვის. რომელიც არის საწინდარი ამ უნიკალური ენის, კულტურისა და ისტორიის პოპულარიზაციისა და იყოს კონკურენტიათი გლობალურ დონეზე.

როგორც ქართველებს ასევე იაპონელებს საკმაოდ დიდი პოტენციალი გააჩნია და აქვს უნარი წარმოაჩინონ ქვეყნის კულტურული მრავალფეროვნება და ამ მრავალფეროვნების მნიშვნელობა. რომელიც გახდის უფრო მოთხოვნადს, გააჩენს მეტ ინტერესს. ამისათვის ორივე მხარეს უკვე საკმაოდ დიდი წინსვლა აქვს და ბევრი წარმატებული ნაბიჯები აქვთ გადადგმული კულტურულ დიპლომატიამში და დღემდე აქტიურად ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები. თბილისში აქტიურად მიმდინარეობს ეს პროცესი. ხოლო საქართველოს სხვადასხვა კუთხისათვის ჯერჯერობით ახალი წამოწყება არის. უკვე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისწავლება იაპონური ენა და კულტურა. ამით დიდი შანსი გაუჩინა აჭარის რეგიონს ჰქონდეს შესაძლებლობა გაეცნოს და ინტერესი გაუღვივოს. თბილისის მსგავსად უკვე სხვადასხვა რეგიონებში ტარდება კულტურული დიპლომატიური ღონისძიებები. და განსაკუთრებით ინტენსიურად უკვე ხორციელდება ბათუმში. მაგალითად ქართულ-იაპონური დიპლომატიის 30 წლისთავის აღნიშვნა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ასევე, იაპონური კულტურის ფესტივალი. რომელიც 3 წელია ტარდება და ტრადიციული და მასშტაბური ხასიათი მიიღო. მონაწილეების რაოდენობა ყოველ წლიურად იმატებს და სხვა მრავალი აქტივობები რომელიც დანართის სახით წარმოვადგინეთ. ამ ღონისძიებების მიზანი იყო, არის და იქნება იაპონიის შესახებ მეტი ინფორმაციის მიწოდება ბსუ-ს სტუდენტებისთვის, აჭარის კუთხისათვის ინტერესის გაღვივება, კულტურათშორისი კომუნიკაციის გაღრმავება, ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობების განმტკიცება და ნდობის გამყარება.

მომავალი ქართველი დიპლომატები, რომლებსაც მოუწევთ უშუალოდ იაპონიაში მოღვაწეობა, ან საქართველოში იაპონელი დიპლომატების შეხვედრა, უნდა ფლობდნენ ამომავალი მზის ქვეყნის შესახებ ფონური ინფორმაციის საკმაოდ დიდ მოცულობას. ამიტომ, ჩვენი აზრით, იაპონური კულტურის პოპულარიზაცია საქართველოში და ქართული კულტურის - იაპონიაში, წარმატებული კულტურათშორისი დიალოგის აუცილებელი პირობაა.

ამავდროულად, იმპლიციტურად მოწოდებული აღმოსავლური კულტურის ფონური ინფორმაცია წარმოადგენს ადეკვატური თარგმანის სავალდებულო წყაროს, ვინაიდან ქართველი კომუნიკანტებისთვის ექსპლიციტირებას მოითხოვს. ამ პრობლემების ანალიზს ჩვენ მოგახსენებთ ნაშრომის მესამე თავში.

### III თავი

#### დიპლომატიური დისკურსის თარგმნის სპეციფიკა

ენათშორისი თარგმნის შემსრულებელს ძალიან დიდი სირთულეების გადალახვა უწევს, მითუმეტეს, თუ წყარო და სამიზნე ენები და კულტურები ასე მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც ქართული და იაპონური.

თარგმანმცოდნეობის თეორიაში ცნობილია ლინგვოეთნიკური ბარიერის ცნება, რომელიც, ლინგვისტური და ეთნოკულტურული ნაწილებიდან შედგება. ბარიერის ლინგვისტურ ნაწილში, ლევ ლატიშევის აზრით, შედის:

- 1) წყარო ენისა და სამიზნე ენის სისტემური განსხვავებები;
- 2) მათი ენობრივი ნორმების სხვაობა;
- 3) წყარო და სამიზნე ენების სამეტყველო ნორმები, ანუ უზუალური განსხვავება.

(Латышев, 2001:31).

არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ ბარიერის ეთნოკულტურული ნაწილი. საქმე იმაშია, რომ ნებისმიერი საკომუნიკაციო აქტის ფარგლებში უშუალოდ გადმოცემული ინფორმაცია ეყრდნობა წინა საინფორმაციო მარაგს, რომელის მეტ ნაკლებად განსხვავდება. თუ კომუნიკაცია შიდაენობრივია, მონაწილეების წინა საინფორმაციო მარაგი რეგულირდება მათი ასაკით, განათლებით, გენდერით და სხვა ფაქტორებით. თუ კი კომუნიკანტები სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები არიან, მათი ცოდნის მარაგი მკვეთრად განსხვავებული იქნება.

თარგმანმცოდნეობაში წინა საინფორმაციო მარაგის აღსანიშნავად სხვადასხვა ტერმინები გამოიყენება, ასე მაგალითად, დასავლურ ლიტერატურაში გამოიყენება ტერმინი „ექსტრალინგვისტური ცოდნა“, რუსულ ლინგვისტურ ტრადიციაში მიღებულია ტერმინი „ფონური ცოდნა/ინფორმაცია“. ხანდახან გვხვდება ტერმინი - პრეინფორმაციული მარაგი.

ტერმინთა სხვაობის მიუხედავად, უცვლელი რჩება ის გარემოება, რომ ეს ცოდნა წარმოადგენს სოციო-კულტურულ ფონს, რომელიც ასახულია შესაბამის ენაში, ამიტომ ამ ცოდნის გარეშე კომუნიკაცია ეფექტური ვერ იქნება. ზედაპირული ინფორმაცია არ არის საკმარისი კომუნიკაციის მიზნების მისაღწევად.

აკადემიკოსი ვიტალი კოსტომაროვის აზრით, ფონური ინფორმაცია ტექსტური ინფორმაციის აუცილებელ, მხოლოდ ფარულ ნაწილს წარმოადგენს. ეს არის ყველასთვის ცნობილი მონაცემები, რომელიც იგულისხმება, მაგრამ უშუალოდ ტექსტში არ არის დაფიქსირებული. კომუნიკაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება წარმატებული, თუ ორთავე მონაწილეს ამ ცოდნის საერთო მარაგი აქვს. ფონური ინფორმაცია ძალიან ფართო სპექტრის არის და ცხოვრების ყველა სფეროს ეხება.

ამის გარდა არსებობს ქვეტექსტის ინფორმაცია, რომელშიც უხვად არის გამოყენებული იმპლიციტური ფარული ხერხები: მეტაფორები, შედარებები, კულტურული კონოტაციები, პრეცედენტული სახელები, ალუზიები და სხვ. იმ შემთხვევაში, როდესაც წყარო და სამიზნე ენა მონათესავე ენებს ეკუთვნის, ფონური მარაგის განსხვავება ნაკლებ პრობლემებს ქმნის, მაგრამ არამონათესავე ენების შემთხვევაში ფონური მარაგის განსხვავება სერიოზულად აძნელებს ურთიერთგაგებას.

მაშასადამე, ლინგვოეთნოკური ბარიერის მეორე ნაწილს წარმოადგენს ექსტრა-ლინგვისტური ინფორმაცია, რომელშიც შედის უეკვივალენტო ლექსიკა, ეთნოკულტურული რეალიები, პრეცედენტული სახელები, ნებისმიერი ენობრივი ხატოვანი საშუალებები, რომლებსაც კულტურული კონოტაცია გააჩნიათ.

ლინგვოეთნოკური ბარიერის გადასალახავად მთარგმნელს სჭირდება არა მხოლოდ ენის, არამედ კულტურის ღრმა ცოდნა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ გარემოებას ენიჭება დიპლომატიური დისკურსის თარგმნისას, ვინაიდან ნებისმიერი ქვეტექსტური ინფორმაციის გამოტოვება გაუგებრობებს ბადებს.

ეროვნული ენისა და კულტურის შესწავლის გარეშე შეუძლებელია ქვეყანათმორის ურთიერთობა, როგორ დავამყაროთ იაპონიასთან თანამშრომლობა, თუ არ ვისწავლით კულტურათმორისი კომინიკაციის თავისებურებებს ამ ერთან. საბჭოურ პერიოდში

საქართველოს იაპონელებთან უშუალო ურთიერთობის ძალიან მცირე შესაძლებლობა ჰქონდა. დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ გააზრებული იქნა იაპონური ენისა და კულტურის შესწავლის აუცილებლობა, მაგრამ, ჯერჯერობით ამისთვის არ არის მზაობა: მიუხედავად ინტერესისა, ნაკლებად ცნობილია ქართველ საზოგადოებაში ფონური ინფორმაცია „ამომავალი მზის“ ქვეყანაზე. არ არის ჯერ კარგად შესწავლილი ლინგვოკულტურული და სოციოლინგვისტური ასპექტები, რაც აუცილებელია წარმატებული კომუნიკაციისთვის, ნაკლებად არის მიღებული იაპონურ-ქართული და ქართულ-იაპონური თარგმნის გამოცდილება. რა თქმა უნდა, ჩამოთვლილი პრობლემები და პრაგმატიკული ხასიათის უამრავი ნიუანსი ართულებს კულტურათაშორის კომუნიკაციას.

ნებისმიერი ურთიერთობის ტექსტური და ქვეტექსტური ინფორმაციის გაგებას, ემოციური ფონის სწორ გადმოცემას, მოხსენების სტილის შენარჩუნებას, ტექსტის ფორმის მნიშვნელობის გააზრებას - არა მხოლოდ იაპონური ენის, არამედ კულტურის კარგი ცოდნა ესაჭიროება, ამიტომ ჩვენი საკვლევი თემის მესამე თავში წარმოდგენილია დიპლომატიური ტექსტების ტრანსკოდირების ლინგვოკულტურული პრობლემები, რომელიც აღმოვაჩინეთ ოფიციალურ წერილებში, იაპონიის საელჩოს საიტზე განლაგებულ საბუთებში, პრეს-რელიზებში და სხვ. ჩვენი ანალიზის შედეგად შეიძლება გამოვყოთ არსებული პრობლემის შემდეგი მიმართულებები:

- 1) ოფიციალური წერილების ფორმის თავისებურებანი;
- 2) ეტიკეტური ფორმულების განსხვავება იაპონურ და ქართულ კულტურულ ტრადიციებში;
- 3) ეთნოკულტურული რეალიების გადმოცემის სირთულებები;
- 4) იაპონური კულტურის ფონური ინფორმაციის პრაგმატული ადაპტაცია ქართულენოვან მკითხველისთვის.

### § 3.1 ოფიციალური წერილების ფორმის თავისებურებანი

დიპლომატიურ ურთიერთობის პროცესში ბევრი განსხვავებული ჟანრის დოკუმენტია ჩართული, მაგრამ ვინაიდან დიპლომატიური ურთიერთობა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის განხორციელების საშუალებას წარმოადგენს ბევრი მათგანი საიდუმლოდ ინახება და ჩვენ წვდომა არ გვაქვს. წარმატებული დიპლომატიური ურთიერთობა როგორც ღონისძიებებისა და მეთოდების ერთობლივი კომპლექსი ხშირ შემთხვევაში ხელს უწყობს კონფლიქტების თავიდან აცილებას ან უკვე არსებული კონფლიქტის მოგვარებას.

დიპლომატიური ურთიერთობა საერთაშორისო თანამშრომლობის აუცილებელი პირობაა, ნებისმიერი დიპლომატი კი შუამავალია ორი ქვეყნისა და ორი კულტურის შორის. ნებისმიერი ოფიციალური პირის გამოხმაურებას შეიძლება დადებით ან უარყოფითი შედეგი მოჰყვეს. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ სტრუქტურების წარმომადგენლებს შორის ოფიციალურ შეხვედრებს და მიმოწერას, რომლებსაც წერილობითი ფორმა გააჩნია. ზუსტად ამ ტიპის წერილებში კარგად ჩანს წყარო და სამიზნე ენობრივი სისტემების განსხვავებული შესაძლებლობები, კულტურული სპეციფიკა და უამრავი პრაგმატული ნიუანსი, რომელზეც დიდ წილად აგებულია ინფორმაციის სწორი აღქმა.

იაპონიის მთავრობის ოფიციალური პირების წერილები ჩვენ გვაქვს გაანალიზებული სტატიაში „იაპონური და ქართული კულტურის გზაჯვარედინზე (დიპლომატიური მიმოწერის თარგმნის პრობლემები)“, თანაავტორი - პროფესორი მარინე აროშიძე (ბოლქვაძე, აროშიძე, „აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე“, 2024, 7/1: 299-313). დასახელებულ სტატიაში ჩვენ განვიხილავთ არსებული ოფიციალური წერილების სხვადასხვა ტიპებს. პირველ რიგში უნდა გაუსვათ ხაზი იმ გარემოებას, რომ დიპლომატიური მიმოწერა შეიძლება იყოს ღია და დახურული, დახურული მიმოწერის მასალა არ იყო ჩვენთვის ხელმისაწვდომი.

ოფიციალური წერილები განსხვავდება თემატიკით, ადრესანტისა და ადრესატის მიხედვით, ფორმით, სტილისტური ხერხებით და სხვა ნიშანთვისებებით. ქვეყნებ შორის ურთიერთობა რეგულირდება სხვადასხვა დოკუმენტებით, ესენია: მემორანდუმი, განცხადება, ნოტა, მიმართვა და სხვ. ჩვენ გვაქვს გაანალიზებული იაპონელი დიპლომატების ოფიციალური წერილები, რომლებიც თბილისში განლაგებული იაპონიის საელჩოს ოფიციალურ საიტზეა გამოქვეყნებული ([https://www.ge.emb-japan.go.jp/itpr\\_ka/cultureandinformation20180207.html](https://www.ge.emb-japan.go.jp/itpr_ka/cultureandinformation20180207.html)).

თემატური თვალსაზრისით ასეთი ტიპის წერილები უფრო მრავალფეროვანი არიან: ეს შეიძლება იყოს საინფორმაციო ხასიათის წერილი, წერილი-შეტყობინება, წერილი-შემოთავაზება, ხანდახან ოფიციალურ საბუთების თანდართული წერილი ახლავს, რომელშიც გამოგზავნილი საბუთების ჩამონათვალია; თავისებური ფორმატი აქვს წერილი-უწყებას, მსგავსი სტრუქტურით ხასიათდება შემდეგი წერილები: წერილი-შეხსენება, წერილი-განცხადება, წერილი-მოთხოვნა, წერილი-პრეტენზია; განსხვავებული ფორმატი გააჩნია წერილი-რეკლამას, წერილი-შემოთავაზებას და სხვ.

საელჩოს საიტზე განლაგებული წერილებიდან ყველაზე გავრცელებული იყო:

- 1) წერილი-მოლოცვა;
- 2) საინფორმაციო წერილი;
- 3) წერილი-შემოთავაზება


(ბოლქვაძე, არაშვიძე, „აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე“, 2024, 7/1: 299-313).

პირველ რიგში წერილების ანალიზი ჩვენ განვახორციელეთ აუცილებელ პარამეტრების მიხედვით, როგორც არიან:

- 1) კომუნიკანტების ვინაობა (წერილის ავტორი და წერილის მიმღები, ადრესატი);
- 2) კომუნიკანტების საკონტაქტო ინფორმაციის მიწოდების თავისებურება;

- 3) წერილის დათარიღება და დოკუმენტების ერთიან სისტემაში დაფიქსირება;
- 4) წერილში გამოყენებული ეტიკეტური ფორმულები (მისალმება, მიმართვა და სხვ.);
- 5) წერილის ძირითადი ნაწილი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას;
- 6) წერილის დასკვნა, რომელშიც ხდება აზრის დაჯამება.

ჩვენ უკვე განვიხილეთ იაპონური წერილობითი სისტემის თავისებურება, ამიტომ გასაგებია, რომ იაპონური წერილების ფორმატი ჩვენთვის უჩვეულოა, საკმარისია გავიხსენოთ წერა და კითხვა მარჯვნიდან მარცხნივ, ზემოდან ქვემოდ, ან იაპონური დამწერლობის განსხვავებული ვარიანტები. მაგრამ ამჟამად ჩვენ გვინტერესებდა



ინფორმაციის მიწოდების თანმიმდევრობა (იხ. სურათი 1).

ამ სურათზე განლაგებულია იაპონიის პრემიერ მინისტრის კიშიდა ფუმისო წერილი, ადრესატია - საქართველოს პრემიერ მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი. საელჩოს საიტზე მოთავსებულია წერილის ორიგინალი (იაპონურ ენაზე) და მისი ინგლისურენოვანი თარგმნილი ვარიანტი.

მეორეულ ტექსტში (თარგმანში) ჩვენ გხვდება წინამდებარე თანმიმდევრობა:

August 3, 2022

H.E. Mr. Irakli Garibashvili  
Prime Minister of Georgia

Your Excellency,

I would like to extend my sincere congratulations on the occasion of the 30th anniversary of the establishment of diplomatic relations between Japan and Georgia.

Sharing basic values with Japan, Georgia is an important partner of our country in developing free and open international order based on the rule of law. Ever since the establishment of diplomatic relations, Japan and Georgia have been promoting people-to-people exchange in wide areas such as political, economic and cultural ties and I am very pleased that our friendly relations are steadily developing.

Japan and Georgia have potential for further development of the relationship. Taking the opportunity of 30th anniversary of the establishment of diplomatic relations, I hope that the bonds between our peoples will become stronger and would like to cooperate with Your Excellency to further deepen the excellent relations between our countries.

I wish Your Excellency your health and every success in your endeavour as well as well-being of your people.

KISHIDA Fumio  
Prime Minister of Japan

როგორც ვხედავთ, წერილის რეკვიზიტები განლაგებულია სხვა თანმიმდევრობით, აგრეთვე ინტერესს იწვევს განსაკუთრებულად გამოკვეთილი წერილის ავტორის

ხელმოწერა (წერილის ტექსტი პატარა იეროგლიფებით არის გადმოცემული, ხელმოწერა კი - დიდი და მუქი შრიფტით).

ქართული დოკუმენტების სისტემატიზაციის პრინციპი საბჭოურ პერიოდში იყო ერთიანი ყველა საბჭოური რესპუბლიკისთვის. ყველგან იყო გავრცელებული რუსული ტრადიციისთვის დამახასიათებელი შაბლონები, ტრაფარეტები, დოკუმენტების დაფიქსირების კრიტერიუმები, მათ შორის არსებობდა ოფიციალური წერილების ერთიანი ფორმა, რომელიც შეიცვალა ბოლო ათეული წლების განმავლობაში. ამჟამად მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს საბუთების საყოველთაო უნიფიკაცია, რისი შედეგად დომინირებს ინგლისურენოვანი წერილის ფორმატი.

日本とジョージアとの外交関係樹立三十周年という節目に当たり、心からお祝い申し上げます。

これまでの三十年間、両国は自由、民主主義、人権、法の支配といった基本的価値を共有する友好国として、政治、経済、文化等の幅広い分野で交流を深めてきました。本年四月、ブリュッセルでの外相会談では、就任直後の閣下と率直な意見交換を行い、信頼関係を強化することができました。近い将来に二国間関係や国際情勢に關する意見交換を行う機会が改めて得られることを心待ちにしております。

外交関係樹立三十周年を契機とし、脱炭素社会の実現などグローバルな課題への対応や二国間経済関係の発展に向けて両国の協力を一層強化すべく、引き続き閣下と緊密に協力していく考えです。

閣下の御健康と御活躍並びに貴国民の御多幸を祈念いたします。

令和四年八月三日

日本国外務大臣

林芳正

ジョージア国外務大臣

イリア・ダルチアシヴィリ 閣下

განვიხილოთ იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის ჰაიაში იოშიმასას წერილი, ადრესატი - საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიშვილი).

ამ წერილის ინგლისური თარგმანი:

*Unofficial Translation*

August 3, 2022

H.E. Mr. Iliia Darchiashvili  
Minister of Foreign Affairs of Georgia

Your Excellency,

I would like to extend my sincere congratulations on the occasion of the 30th anniversary of the establishment of diplomatic relations between Japan and Georgia.

Over these 30 years, both countries have been developing their relations in wide areas including political, economic and cultural ties as friendly nations which share basic values such as freedom, democracy, human rights and the rule of law.

In April this year during the Foreign Ministerial talks in Brussels, I had a pleasure to hold a candid exchange of views with Your Excellency immediately after your appointment as Foreign Minister and was able to foster relationship of trust. I am looking forward to having once again an opportunity to exchange our opinions on bilateral relations and international situation in the near future.

Taking the opportunity of 30th anniversary of the establishment of diplomatic relations, I would like to continue to cooperate closely with Your Excellency to further strengthen our cooperation in tackling such global issues as realization of decarbonized society as well as developing bilateral economic relations.

I wish Your Excellency your health and every success in your endeavor and well-being of your people.

HAYASHI Yoshimasa  
Minister for Foreign Affairs of Japan

ინფორმაციის თანმიმდევრობა	წყარო ტექსტში	სამიზნე ტექსტში
1	წერილის ტექსტი	თარიღი
2	თარიღი	ადრესატის სახელი და გვარი
3	ავტორის თანამდებობა	ადრესატის თანამდებობა
4	ავტორის სახელი და გვარი	მიმართვა
5	ადრესატის თანამდებობა	ტექსტი
6	ადრესატის სახელი და გვარი	ავტორის სახელი და გვარი
7	მიმართვა	ავტორის თანამდებობა

ამ ტიპის წერილების ანალიზმა გვაჩვენა, რომ დიპლომატიურ მიმოწერის ერთ-ერთი მოთხოვნა - ლაკონიურობაა. წერილი არ უნდა იყოს დიდი მოცულობის, მაგრამ მთავარი აზრი კარგად უნდა იყოს ახსნილი. ამიტომ ასეთ წერილებში ექსპლიციტური ხერხების გარდა გამოიყენება ინფორმაციის გამოხატვის იმპლიციტური საშუალებები, მაგალითად: კანცელარიზმები, კლიშირებული ერთეულები, კულტურული რეალიები, კულტურული კონოტაციით დატვირთული ლექსიკა, პრეცედენტული სახელები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვენ თარგმნის პროცესში.

### **§ 3.2 ეტიკეტური ფორმულების განსხვავება იაპონურ და ქართულ**

#### **კულტურულ ტრადიციებში**

საქმიანი ეტიკეტისა და საქმიანი ეთიკის თავისებურებები დაფუძნებულია არა მხოლოდ ტრადიციებზე, არამედ ეროვნული ხასიათის მახასიათებლებზეც. ბიზნეს

კომუნიკაციის ეროვნული თავისებურებების იგნორირებამ შეიძლება არასასურველი შთაბეჭდილება მოახდინოს პარტნიორებზე, როგორც მოლაპარაკების პროცესის ეტაპზე, ასევე გარკვეული ერთობლივი პროექტების განხორციელების დროს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეტიკეტი ნებისმიერი კულტურის სახეა, ერის ისტორიული ბედი, მენტალიტეტი გამოიხატება საყოველთაოდ მიღებული ეტიკეტურ მიმართვებში, მისალმებისა და დამშვიდობების ფორმულებში და სხვა ენობრივ ერთეულებში. ზუსტად ამ კონსტრუქციებში მჭიდროდ არის შერწყმული ეროვნული ენა და კულტურა, ისინი არეგულირებენ მათი მატარებლების სამეტყველო ქცევას, ეხმარებიან მათ კომუნიკაციაში, აჩვენებენ სხვადასხვა სიტუაციების თავისებურებას. იაპონურ საზოგადოებაში არსებული ბოდიშის ფორმები რომ გავიხსენოთ - ისინი აცვენ ახალგაზრდებს სწორ მეტყველებასაც და სწორ ქცევას (ადრესატისა და სიტუაციის გათვალისწინებით).

ჩვენ ვიზიარებთ ნატალია ფორმანოვსკაიას აზრს, რომ ეტიკეტი არის „საზოგადოების მიერ შემუშავებული მეტყველების ქცევის წესები, სავალდებულო საზოგადოების წევრებისთვის, ზოგადად - ჩვენი ურთიერთობების ყველა ნორმა, ქცევა, რომელიც ნაციონალურად სპეციფიკურია, მტკიცედ არის დაფიქსირებული მეტყველების ფორმულებში, მაგრამ ამავე დროს ისტორიულად ცვალებადია“ (Формановская, 1989: 5).

ყველა ერის წარმომადგენელი ტრადიციულ მისალმებაში აფიქსირებს იმას, რაც მისი ერისთვის მნიშვნელოვანი იყო, ასე, მაგალითად, ჩვენ, ქართველები, ერთმანეთს გამარჯვებას უსურვებთ, ჩვენი საბრძოლო ისტორიიდან გამომდინარე. პროფესორ ნატალია ჟუკოვსკაიას მის მონოგრაფიაში აქვს მოყვანილი მონჰოლების მისალმების რამდენიმე ფორმა, რომლებიც ამჟღავნებენ ამ მომთაბარე ტომის ისტორიულ გზას:

"კარგად ატარებთ შემოდგომას (ზამთარს, ზაფხულს, გაზაფხულს)?"

"კარგად მოგზაურობთ?"

"თქვენი ცხვრები (ცხენები, ძროხები) კარგად ძოვს?"

"თქვენი ცხვრები იყოს მსუქანი! თქვენ ცხენებს (ძროხებს) რძე ჰქონდეს!"

(Жуковская, 2017:12).

აღმოსავლური კულტურა უძველესი დროიდან უპირისპირდებოდა დასავლურს, მათ შორის ეტიკეტურ ფორმულებში და სამეტყველო წეს-ჩვეულებებშიც.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეტიკეტს გააჩნია როგორც ვერბალური, ასევე არავერბალური გამოხატვის ხერხები. აღმოსავლურ კულტურებს ევროპული კულტურის განსხვავებით მისალმების შესტების კი სხვანაირი აქვს. ევროპელები რომ ხვდებიან, ერთმანეთს ხელს ართმევენ. როდესაც აზიელ მამაკაცს შეხვდებით, ნუ ჩქარობთ ხელის გაშლას, შესაძლოა დაარღვიოთ მისი პირადი სივრცე და ამან თანამოსაუბრეს დისკომფორტი შეუქმნას. ბევრმა აზიელმა, განსაკუთრებით იაპონელებმა, ისწავლეს ხელის ჩამორთმევა დასავლელებთან ურთიერთობისას. თუმცა, იაპონიაში თაყვანისცემა ჩვეულებრივი მისალმებაა, ამიტომ მიზანშეწონილია, რომ ხელის ჩამორთმევის ნაცვლად შემოთავაზებულ მისალმებაზე პასუხის გაცემისას თავი ოდნავ დაიხაროს.

გავიხსენოთ ქართულ კულტურაში მიღებული მიმართვები და შევადაროთ ჩვენს მიერ გაანალიზებულ წერილებში გამოყენებულ მიმართვებს:

- **მიმართვის გენდერული თავისებურებანი.**

ქართული და იაპონური მიმართვები პირველ რიგში განსხვავდებიან იმით, რომ ქართულ ენაში მამაკაცთან და ქალთან მიმართვისთვის არსებობს განსხვავებული თავაზიანი ფორმები: *ბატონო* - მივმართავთ მამაკაცს,

*ქალბატონო* - მივმართავთ ქალს.

იაპონურ კულტურაში კი სქესის გამომხატველი მიმართვები არ არსებობს, მიღებულია ერთი და იგივე ფორმა: ან „*სან*“, ან კი - „*სამა*“.

მაგრამ იაპონური მიმართვების ფუნქციონირება დამოკიდებულია კომუნიკანტებზე. ორთავე ვარიანტი - თავაზიანია, მაგრამ მიმართვა „*სან*“ გამოიყენება ჩვეულებრივ სიტუაციებში (უცნობ პიროვნებებთან, თანატოლებთან, ერთი რანგის თანამშრომლებთან), ხოლო მეორეს - „*სამა*“-ს - გამოიყენებენ განსაკუთრებულად დასაფასებელ ადამიანებთან (ასაკოვან ხალხთან, მაღალი თანამდებობის პირებთან და სხვ.). ეს ზეთავაზიანი ფორმა ნიშნავს განსაკუთრებულ დამოკიდებულებას

კომუნიკანტებს შორის. „სან さん“ ხშირად გამოყენებადია ნებისმიერ ადამიანებთან, როგორც უცნობებთან ასევე ნაცნობ პიროვნებებთან. ანუ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არის ნეიტრალური ტერმინი. იგივე ნეიტრალური ტერმინი გამოიყენება კომპანიების სახელებს, როგორცაა საკონდიტრო მაღაზია (パン屋さん, pan-ya-san).

ეტიკეტური ფორმების არასწორ გამოყენებას შეიძლება უხერხული სიტუაციების შექმნა მოჰყვეს. რაც შეეხება „სამა さま“-ს ყველაზე ფორმალური, ოფიციალური, ზეთავაზიანი და განსაკუთრებული ფორმაა. ეს სან-ის უმაღლესი ფორმა არის და ძალიან სპეციფიკურ ვითარებაში გამოიყენება. რაც მთავარია მაღალი სტატუსის მქონე ადამიანების მიმართ გამოიყენება ეს ფორმა, რომელიც აუცილებელი პირობაა. ასევე მომსახურების სფეროში. და ამასთანავე შეგვიძლია კიდე იაპონურ ღვთაებაზე საუბრის დროს 神様 (კამი-სამა). ეს იაპონური პატივი ატარებს სოციალური უპირატესობის განცდას, როგორც „მომხმარებლის მეფეა“ შემთხვევაში, და ამიტომ კლიენტებს მოიხსენიებენ როგორც お客様 (okyakusama). ქართულის იგივე შესატყვისი როგორც სან-თან მიმართებაში ხოლო მისი ინგლისური ეკვივალენტი იქნება "მისტერ/ქალბატონო კლიენტის" უკიდურესად თავაზიანი ფორმა. ზოგჯერ, ეს საპატიო სიტყვა დაერთვება ადამიანთა ჯგუფს ან აუდიტორიას, როგორცაა 皆様 (მინასამა; ყველა), რაც ჯგუფს თავაზიანობის დამატებით ფენას აძლევს. დაბოლოს, თქვენ ნახავთ ამ პატივისცემას იაპონურ გამონათქვამებში, როგორცაა ცნობილი お疲れ様です (otsukaresama desu), რომელიც გამოიყენება ვინმეს შრომისმოყვარეობისთვის მადლობა გადაუხადა.

(<https://gogonihon.com/en/blog/sama-san-kun-chan-the-many-japanese-honorifics/> წვდომის თარიღი: 20.12.2023)

აღნიშნული წერილების ტექსტში გამოყენებულია სწორედ ეს „ზეთავაზიანი“ მიმართვის ფორმა.

1. ოფიციალური წერილების ქართულ ვარიანტებში ავტორი მიმართავს ადრესატს კლიშირებული კონსტრუქციით, რომელშიც პირველ ადგილზეა თავაზიანი მიმართვა (ბატონო, ქალბატონ), შემდეგ ოფიციალური პირის თანამდებობა, სახელი და გვარი. იაპონური კლიშირებული ფრაზა აგებულია სხვანაირად - ჯერ თავაზიანი ფორმა, გვარი და ბოლოს თანამდებობა (იხ. სურ. 1 და ცხრილი .

2. იაპონური კულტურის კიდევ ერთ საინტერესო ნიშანთვისებას ვაწყდებით გაანალიზებულ იმპერიულ მასალაში: ზეპირი მეტყველების დროს (კონფერენციებზე, ოფიციალურ შეხვედრებზე, ღონისძიებებზე) მიმართვებში იაპონელები იყენებენ თავაზიან ფორმას „სან“ და ადრესატის გვარს, ან მიმართვას „სან“ გვარს და თანამდებობას, და არ იყენებენ სახელებს, რაც ქართული კულტურისთვის არის დამახასიათებელი.

მაგალითის სახით შეგვიძლია მოვიყვანოთ რამდენიმე შესაბამისი ერთეული, რომელიც იყო გამოყენებული ოფიციალურ შეხვედრაზე, რომელიც უშუალოდ მე ვესწრებოდი და მონაწილეობას ვღებულობდი სხვადასხვა ქართულ-იაპონურ დიპლომატიურ შეხვედრებში, როგორც აჭარის სავაჭრო სამრეწველო პალატის თავმჯდომარის მრჩევლისა და აჭარის ახალგაზრდა ბიზნესმენთა ასოციაციის თავმჯდომარის რანგში.

ერთ ერთი ასეთი შეხვედრა შედგა 2024 წლის 7 მარტს, იაპონიის ელჩმა საქართველოში ბატონი იშიძუკა ჰიდეკი საპატიო ვიზიტით ეწვია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს. შეხვედრა გამართა რექტორის მოადგილეებთან ქალბატონ თამარ სირაძესთან და ბატონ ანზორ ბერიძესთან, ასევე ამავე უნივერსიტეტის ლექტორებთან. გამართულ გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელმა ორ ქვეყანას შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობებსა და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებზე ისაუბრა.

[https://www.ge.emb-japan.go.jp/itpr\\_ja/11\\_000001\\_00807.html](https://www.ge.emb-japan.go.jp/itpr_ja/11_000001_00807.html)  
<https://bsu.edu.ge/sub-19/page/20331/index.html>

ასევე 2024 წლის 24 მაის აჭარის სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ, გიორგი რომანაძემ იაპონიის საელჩოს პირველ მდივანს, იდა მასაშის უმასპინძლა. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ პალატის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნინო დოლიძე და პალატის თავმჯდომარის მრჩეველი დიპლომატიურ საკითხებში ლაშა ბოლქვაძე. შეხვედრისას მხარეებმა საქართველოსა და იაპონიას შორის ინვესტიციების ხელშეწყობის და ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაზე იმსჯელეს. ყურადღება გამახვილდა ბიზნესის ძირითად მიმართულებებზე რეგიონში, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ენერჯეტიკის, ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სფეროებს.

[\(http://acci.ge/2024/05/24/%e1%83%98%e1%83%90%e1%83%9e%e1%83%9d%e1%83%9c%e1%83%98%e1%83%98%e1%83%a1-%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%94%e1%83%9a%e1%83%a9%e1%83%9d%e1%83%a1-%e1%83%9e%e1%83%98%e1%83%a0%e1%83%95%e1%83%94%e1%83%9a%e1%83%98/\).](http://acci.ge/2024/05/24/%e1%83%98%e1%83%90%e1%83%9e%e1%83%9d%e1%83%9c%e1%83%98%e1%83%98%e1%83%a1-%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%94%e1%83%9a%e1%83%a9%e1%83%9d%e1%83%a1-%e1%83%9e%e1%83%98%e1%83%a0%e1%83%95%e1%83%94%e1%83%9a%e1%83%98/)

შეხვედრების მსვლელობის დროს იაპონელმა სტუმრებმა არა ერთხელ მიმართეს ჩვენი რესპუბლიკის და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, და ყოველთვის მიმართავდნენ ამ ფორმულის შესაბამისად“

**ჯერ გვარი, შემდეგ (თავაზიანი მიმართვა „სან“ )**

ანუ გვარი + თავაზიანი მიმართვა

ან

**ჯერ თანამდებობა, შემდეგ (თავაზიანი მიმართვა „სან“ )**

ანუ თანამდებობა+ თავაზიანი მიმართვა

სახელების გამოყენების გარეშე.

მიმართვა თავისებურად დამახასიათებელი, სპეციფიკური, გარკვეული ფორმებით გამოირჩევა. იგი უმეტეს წილად ფონობრივ ცოდნის საყრდენია თუ რომელი ან რა როგორ უნდა შეფასდეს კონკრეტული ვითარება. რომელიც არის განსაზღვრული სოციოკულტურული კომპონენტებით და ეს კომპონენტები შეიცავს კომუნიკაციის სოციოლინგვისტურ ასპექტებს ვინაიდან იგი აუცილებლად არის დაკავშირებული

ეტიკეტთან. ეტიკეტი კი კულტურათმორისი ურთიერთობების თვალსაზრისია და მიმართვით ვითარებაში ყურადსაღები და პატივსაცემია. ვინაიდან მიმართვა ასევე არის ეროვნული სპეციფიურობის გამომხატველი და ძალიან მნიშვნელოვანი ფუნქციის მატარებელი.

ამიტომ მიმართვის დროს უნდა ვიცოდეთ კომუნიკაციის სწორად წარმათვისათვის და წარმატებულად გადალახვისათვის ადრესატის ეროვნება, ენა და კულტურა.

### **§ 3.3 ეთნოკულტურული რეალიების გადმოცემის სირთულეები**

იაპონური კულტურა წარმოადგენს უნიკალურ ეთნოკულტურულ ფენომენს, საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა თავისებური ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, ეტიკეტური ფორმები, ზეპირი ხალხური სიტყვიერება, ეროვნული მენტალიტეტი. და ეს ყველაფერი პოულობდა მის გამოხატვას ენაში, იქმნებოდა სამყაროს ენობრივი და კულტურული სურათი, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი ეთნოკულტურულ რეალიებს უკავია.

ენისა და კულტურის მჭიდრო ურთიერთობას ჯერ კიდევ გერმანელი ფილოსოფოსი ჰუმბოლდტი უსვამდა ხაზს, მეცნიერი თვლიდა, რომ ნებისმიერი ბუნებრივი ენა გამოხატავს კონკრეტული ერის სულიერ სამყაროს, „არის კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის აზრებისა და გრძნობების კონცენტრაცია“ (ჰუმბოლდტი, 1985:349).

სამყაროს ლინგვისტური სურათი წარმოადგენს ერის კულტურული გამოცდილების დაფიქსირებას ენობრივი ერთეულების მეშვეობით, რომლებიც ასახავს ამ ეთნოსის სრულ დახასიათებას: ტერიტორიის გეოგრაფიული თავისებურებანი, ფლორა და ფაუნა, მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები, სახელმწიფოებრივი სტრუქტურა, რელიგია, ფასეულობები და ღირებულებები, ეროვნული მენტალიტეტი, ყოფის ყველა ასპექტები, რომელშიც ეთნოკულტურული რეალიები შედის.

თარგმანმცოდნეობაში ეთნოკულტურული რეალიები ეგრეთ წოდებულ „უთარგმნელ“ ლექსიკას მიეკუთვნება, რადგანაც მათ ან საერთოდ არ გააჩნიათ შესატყვისი სხვა ენებში (ამ შემთხვევაში რეალია-ლაკუნებთან გვაქვს საქმე), ან მსგავსი მაგრამ მაინც განსხვავებული საგანს/მოვლენას აღნიშნავენ.

აქედან გამომდინარე, კულტურათაშორისი კომუნიკაციის პროცესში მთარგმნელს მოეთხოვება როგორც წყარო ისე სამიზნე ენებისა და კულტურების კარგი ცოდნა, ორივე კომუნიკანტის ფონური მარაგის შედარება პრაგმატული ადაპტაციის მიზნით.

ტერმინი „რეალია“ ფართოდ გამოიყენება ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. რეალიები ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროს ახასიათებენ: ეროვნული წეს-ჩვეულება, რიტუალები, საყოფაცხოვრებო ნივთები, ტანსაცმელი, ხალხური შემოქმედება (ცეკვების, სიმღერების დასახელება), ისტორიული ფაქტები, ქვეყნის პოლიტიკური წყობა, საზოგადოების სოციალური ფენები, თანამდებობები და სხვ. რეალიების უმრავლესობა ლაკუნებს წარმოადგენს, რომლებსაც არ გააჩნია ეკვივალენტი სხვა ენასა და კულტურაში. ეთნოკულტურული რეალიების აღქმას ის გარემოებაც ართულებს, რომ თითოეული ერი სხვა ერისთვის დამახასიათებელ კულტურულ ელემენტებს თავის კულტურულ პარადიგმაში განიხილავს.

კულტურული რეალიების დიდი ნაწილი კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის წარსულს გამოხატავს, ისინი გადაეცემა თაობიდან თაობას და ამ ხალხის განუმეორებელ ეთნიკურ კულტურას გამოხატავენ. რა თქმა უნდა, ცივილიზაციის განვითარების ყველა ახალ ეტაპზე ხდება რეალიების არქაიზაციის პროცესი, მაგრამ თანამედროვე გლობალურ სამყაროში კაცობრიობამ გაიაზრა ეთნიკური თავისებურების შენარჩუნების აუცილებლობა და ზემოდ ხსენებული ეთნოლინგვისტური ინტერდისციპლინარული კვლევები - ამის კიდევ ერთ დასტურია.

რეალიების უამრავი კლასიფიკაცია არსებობს, რომლის შედეგი განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რა პრინციპით არის ის აგებული.

ვლადიმერ ვინოგრადოვს აქვს რეალიების თემატური დაყოფა, ბულგარელი სამხედრო მთარგმნელები ვლახოვი და ფლორინი ყოფენ რეალიებს მათ გავრცელების არეალის მიხედვით:

- 1) ინტერნაციონალიზმები;
- 2) რეგიონალური რეალიები;
- 3) ეთნოკულტურული რეალიები (Влахов, Флорин, 2009:12).

რეალიების ეს ნაირსახეობა მთარგმნელობით ჭრილში განსხვავებულ მიდგომას მოითხოვს: ინტერნაციონალიზმები ბევრ ენაში მსგავსი ფორმით ფუნქციონირებენ. პოლიტიკურ დისკურსში, და კერძოდ, დიპლომატიის სფეროში მათი გამოყენება საკმაოდ ხშირია. ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში ჩვენ ვაანალიზებთ შემდეგ მაგალითებს:

*საგარეო საქმეთა სამინისტრო, საელჩო, საკონსულო, მინისტრი, ელჩი, კონსული, პრეს-რელიზი და სხვ.*

(ბოლქვაძე, აროშიძე, 2024, 7/1: 299-313).

	იაპონური (წყარო ენა)	ინგლისური (სამიზნე ენა)	ქართული (სამიზნე ენა)
სახელმწიფო სტრუქტურა	外務省,	Ministry of Foreign Affairs,	საგარეო საქმეთა სამინისტრო,
	大使館	Embassy	საელჩო
	領事館	Consulate	საკონსულო
თანამდებობა	大臣,	Minister	მინისტრი
	大使,	Ambassador	ელჩი

	副首相	Vice Premier	ვიცე პრემიერი
	領事	Consul	კონსული
ტოპონიმები	コーカサス,	Caucasus	კავკასია
	黒海	Black sea	შავი ზღვა
	ヨーロッパ	Europe	ევროპა
ოფიციალური საბუთები	プレスリリース	Press release	პრეს-რელიზი
	覚書	Memorandum	მემორანდუმი
	外交儀礼	Diplomatic protocol	დიპლომატიური პროტოკოლი
	外交ノート	Diplomatic note	დიპლომატიური ნოტა

რეგიონალური რეალიები დიპლომატიურ მიმოწერაში თითქმის არ გხვდება. ჩვენი აზრით ეს გარემოება აიხსნება იმ ფაქტორით, რომ ოფიციალურ მიმოწერაში უფრო ხშირად საყოველთაო პრობლემები განიხილება და არა ცალკეული რეგიონის.

წყარო ენის ეთნოკულტურული რეალიები რთულად ითარგმნება, ვინაიდან სამიზნე კულტურაში ან არ არსებობს შესაბამისი მოვლენა, ამ შემთხვევაში საუბარია რეალია-ლაკუნებზე, ან მსგავსი, მაგრამ განსხვავებული მნიშვნელობის რეალიებია.

**ანალიზის შედეგად გამოვყავით რეალიების შემდეგი ჯგუფები:**

1. საზოგადოებრივი ხასიათის რეალიები, რომლებიც აღნიშნავენ სახელმწიფოებრივი წყობის სტრუქტურას და ერთეულებს, მართვის ორგანოებს, აქვე გამოვყავით ძალოვანი სტრუქტურების აღმნიშვნელი რეალიები;
2. კონკრეტული გეოგრაფიული არეალისთვის დამახასიათებელი რეალიები, რომლებიც აღნიშნავენ ფლორას, ფაუნას, რელიეფს, ლანდშაფტს და სხვა ობიექტებს;

3. ყველაზე რთულად გადასათარგმნი რეალიები - ეთნოგრაფიული, რომლებიც ასახავენ კონკრეტული ერის ყოფას; ნებისმიერ საქმიანობას; ხელოვნების ნიმუშებს, ეროვნულ ტანსაცმელს და სხვ.

**იაპონურ წერილებში გამოყენებული რეალია-ლაკუნები:**

相撲 · Sumo · სუმო

平成 · Heisei · ჰეისეი

歌舞伎 · Kabuki · კაბუკი,

„პირველი ქართველი სუმოსტი, რომელიც ოძეკის რანგში დაწინაურდა“.

[https://www.ge.emb-japan.go.jp/itpr\\_ka/tochinoshin\\_ozeki\\_geo20180530.html](https://www.ge.emb-japan.go.jp/itpr_ka/tochinoshin_ozeki_geo20180530.html)

ジョージア出身力士として初の大関昇進

[https://www.ge.emb-japan.go.jp/itpr\\_ja/tochinoshin\\_ozeki\\_jpn20180530.html](https://www.ge.emb-japan.go.jp/itpr_ja/tochinoshin_ozeki_jpn20180530.html)

**ოფიციალურ პრესაში რეალიები უფრო ხშირად გხვდება:**

4 ივნისს, იაპონიის საელჩოს ორგანიზებით, საოკუპაციო ხაზთან არსებულ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიქოზში ჩატარდა კიოგენის წარმოდგენა და მასტერკლასი. ღონისძიებას გაუძღვნენ საგანგებოდ მოწვეული შემსრულებლები - მსახიობი იუ კომაკი და ტომიკო ონერი (ჩაის ცერემონიის ოსტატის სახელი SOHO).

([https://www.ge.emb-japan.go.jp/itpr\\_ja/11\\_000001\\_00889.html](https://www.ge.emb-japan.go.jp/itpr_ja/11_000001_00889.html))

კიოგენი იაპონური თეატრის ოთხი სახეობიდან ერთ-ერთია (ნოჰ, კიოგენი, კაბუკი და ბუნრაკუ).

კიოგენები, ფორმალური, სერიოზული ნოოსგან განსხვავებით, ველური კომედიებია. ეს მოკლე სპექტაკლები ხშირად შესრულებულია, როგორც ინტერლუდი

ნომრებს შორის (თუმცა კიოგენი შეიძლება დამოუკიდებლად შესრულდეს) და თეატრის ორივე ფორმა ერთდროულად ვითარდება. ყველა პერსონაჟი, როგორც წესი, ჯერ კიდევ მამაკაცია (თუმცა ზოგიერთი კომპანია ნებას რთავს ქალ მსახიობებს) და აქცენტი კეთდება სატირისა და პაროდის ელემენტებით ცოცხალ მოქმედებაზე.

გამოფენა „იაპონური თოჯინების ხელოვნება და სილამაზე“ 2023 წლის 24 აგვისტოდან 17 ოქტომბრის ჩათვლით ტარდება იაპონიის საელჩოს, სიღნაღის მუზეუმისა და იაპონიის ფონდის თანამშრომლობით და ასევე საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის მხარდაჭერით.

გამოფენაზე შესაძლებლობა გექნებათ ახლოდან გაეცნოთ იაპონურ კულტურას, იხილავთ: „სეკკუ ნინგიო“-ს, „ბიჯუცუ ნინგიო“-ს, გამორჩეულს ოსტატური შესრულებითა და დახვეწილი ტექნიკით, „მომინ ნო ნინგიო“-ს, რომლის მთავარი ხიბლიც მასალების უბრალოებაშია და სხვა თოჯინებს. ([https://www.ge.emb-japan.go.jp/itpr\\_ja/11\\_000001\\_00582.html](https://www.ge.emb-japan.go.jp/itpr_ja/11_000001_00582.html) წვდომის დრო: 2024/07/09.)

თანამედროვე სამყარო ტექნოლოგიების მაღალი შესაძლებლობით გამოირჩევა. საყოველთაოდ მიმდინარეობს კულტურის ვიზუალიზაციის პროცესი. ამიტომ იაპონურ „მშვიდობიან დიპლომატიას“ ძალიან ძლიერი ხერხი გააჩნია, რომელიც უწყობს ხელს იაპონური კულტურული რეალიების გავრცელებას მთელ მსოფლიოში: ტელევიზია, ინტერნეტი, კინოინდუსტრია, ანიმე და სხვ. მაგალითად, იაპონური ეროვნული კერძი „სუში“ და მისი ცხარე პასტა „ვასაბი“, რომელიც მზადდება იაპონიის მთებში გახარებული მცენარიდან, უამრავი ქვეყნის წარმომადგენლებისთვის დღეს უკვე ნაცნობი და საყვარელიც არის. მთელ მსოფლიოში განლაგებული უამრავი იაპონური რესტორნების გარდა ამას ხელი შეუწყო ცნობილი ფრანგული ფილმი „ვასაბი“ (ჟან რენოს მონაწილეობით).

რეალიების ასახსნელად უდიდესი ძალისხმევაა საჭირო, რადგანაც მთარგმნელმა უნდა შეინარჩუნოს რეალია, როგორც წყარო კულტურის მახასიათებელი და ისე

გადაიტანოს სამიზნე ტექსტში, რომ გასაგები იყოს სამიზნე მკითხველისთვის. ეს მოითხოვს ეფექტური სტრატეგიების არჩევას. საყოველთაოდ გავრცელებულ პრაქტიკაში ყველაზე ხშირად გამოიყენება ლაკუნა-რეალიის ტრანსკრიპცია/ტრანსლიტერაცია ახსნა-განმარტებასთან ერთად, აგრეთვე თანამედროვე ტექნოლოგიების შესაძლებლობიდან გამომდინარე, ხშირად ახსნა-განმარტება ილუსტრირებულია (ნახატით, სურათით და სხვ.).

ჩვენს მიერ გაანალიზებულ მასალაში რეალიებს ახსნა-განმარტება არ ახლავს, ისინი გადმოტანილია სამიზნე ტექსტში მხოლოდ ტრანსკრიფციის/ტრანსლიტერაციის მეშვეობით, მაგალითად:

იაპონური რეალიების განმარტება ხანდახან ჩაქსოვილია ოფიციალურ პრესაში, ან ეთნოკულტურული ხასიათის ტექსტებში:

*კაბუკი (歌舞伎) - (პიესების დადგმა და მჭიდროდ გადაჯაჭვული მსახიობთა ოჯახების იერარქია, რომელიც დღეს განსაზღვრავს კაბუკის სამყაროს) ერთგული რჩება თავისი ტრადიციული ფესვების მიმართ და წარმოადგენს გასართობი ინდუსტრიის მნიშვნელოვანსა და განუყრელ ნაწილს იაპონიაში. კაბუკის ვარსკვლავი მსახიობები არიან იაპონიის ყველაზე გამოჩენილი და პოპულარული ადამიანები.*

[https://www.ge.emb-japan.go.jp/files/japan\\_fact\\_sheet/Kabuki.pdf](https://www.ge.emb-japan.go.jp/files/japan_fact_sheet/Kabuki.pdf) წვდომის დრო: 2024/03/15.)

იაპონიაში რიტუალურ თვითმკვლელობას მუცლის გამოფატვრას – *სეპუკუ (切腹)* ანუ ჩვენთვის ცნობილი სიტყვა *ჰარაკირი* ეწოდება. "ჰარა" სიტყვასიტყვით ნიშნავს მუცელს, გადატანითი მნიშვნელობით კი აღნიშნავს სულს, გონებას, ხასიათს, მიზანს, დაფარულ აზრებს – ყოველივე იმას რაც დასავლეთში უკავშირდება "გულს". დღესდღეობით ეს ტერმინი საერთაშორისო სიტყვად იქცა და გადათარგმნის გარეშე გამოიყენება.

<https://iaponia.wordpress.com/2008/10/30/%E1%83%B0%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%99%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98/> წვდომის დრო: 2024/07/09.)

ჩვენი აზრით ამ სტრატეგიების გამოყენება დიპლომატიურ დისკურსში აიხსნება იმ გარემოებით, რომ ოფიციალური მიმოწერა მაღალი რანგის სახელმწიფო ჩინოსნების შორის ხორციელდება, რომლებსაც ევალუბა მათი პარტნიორების შესახებ ექსტრალინგვისტური ხასიათის ინფორმაციის ფლობა. ასევე, ამ ოფიციალურ პირებს ჰყავთ თანაშემწეები, რომლებიც ფლობენ პარტნიორი ქვეყნის ენასაც და კულტურას.

### **§ 3.4 იაპონური კულტურის ფონური ინფორმაციის პრაგმატული ადაპტაცია ქართულენოვან მკითხველისთვის**

კომუნიკაციის თეორიაში წინა საინფორმაციო მარაგს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან იმ შემთხვევაში, თუ კომუნიკანტებს არ გააჩნია ამ ინფორმაციის მსგავსი მარაგი, მათი ურთიერთობა არ იქნება წარმატებული. კომუნიკაციის თეორია თარგმანმცოდნეობის მოსაზღვრო დისციპლინაა, რომელიც ორენოვანი საკომუნიკაციო აქტის თავისებურებებს შეისწავლის. ჩვენ შემთხვევაში ინტერესს იწვევს ის გარემოება, რომ წყარო კულტურის რეალიების აღქმა შეუძლებელია სამიზნე კულტურის წარმომადგენლების მიერ, ვინაიდან მათ სხვა ფონური ინფორმაცია გააჩნიათ. ამ შემთხვევაში მთარგმნელები იყენებენ პრაგმატულ ადაპტაციას, რომელიც გამოიხატება გარკვეული იმპლიციტური ინფორმაციის ექსპლიციტირებაში, რათა გასაგები გახდეს ახალი მკითხველისთვის.

თარგმნისას, გარდა შინაარსის დენოტატური და კონოტატური კომპონენტების გათვალისწინებისა, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული პრაგმატული კომპონენტიც, რომელიც წარმოადგენს ურთიერთობას ენობრივ გამოხატულებასა და კომუნიკაციის მონაწილეებს - ინფორმაციის გამგზავნს და მიმღებს შორის. თარგმანის პროცესში ხდება

საწყისი ტექსტის პრაგმატული ადაპტაცია, ანუ ხდება გარკვეული კორექტირება სოციოკულტურული, ფსიქოლოგიური და სხვა განსხვავებების გათვალისწინებით ორიგინალური და ნათარგმნი ტექსტების მიმღებებს შორის. სხვადასხვა ენობრივი სისტემების შედარებასთან ერთად, თარგმანის პროცესი სხვადასხვა კულტურის შედარებას გულისხმობს. პრაგმატული ფაქტორი არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს არა მხოლოდ თარგმანის პროცესის განხორციელების გზას, არამედ თარგმანში გადაცემული ინფორმაციის დიდ მოცულობას.

ფონური ინფორმაცია მრავალფეროვანია და მოიცავს ყველა სფეროს, იმპერიული მასალის ანალიზის შედეგად ჩვენ შეგვხდა ფონური ინფორმაციის გამოყენების რამდენიმე შემთხვევა, რომელიც მოითხოვდა პრაგმატულ ადაპტაციას ქართულენოვან აუდიტორიისთვის:

- 1) ქრონოლოგიზაციის თავისებური სისტემა;
- 2) მეტაფორების გადმოტანა სამიზნე ტექსტში;
- 3) ზედმეტ სახელების კონოტაციები;

იაპონიაში ბევრი რამ არის თავისებური, მათ შორის წელთაღრიცხვა. ქრისტიანულ სამყაროში (მათ შორის საქართველოშიც) წელთაღრიცხვის საწყის ეტაპად ქრისტეს შობა არის აღიარებული. იაპონიაში ადრე გამოიყენებოდა მთვარისა და მზის კალენდარი, რომელიც ტრადიციულია აზიურ ქვეყნებისთვის და ჩინურ კალენდარს ეფუძნებოდა. თანამედროვე იაპონიაში ეს ასტროლოგიური კალენდარი გამოიყენება იშვიათად საზეიმო სიტუაციებში კულტურული მიზნებისთვის. ჩვეულებრივ ცხოვრებაში დღევანდელ იაპონიაში იყენებენ განსაკუთრებულ ქრონოლოგიურ სისტემას, რომელიც აგებულია იმპერატორის მართვის წლებზე იმპერატორის მეფობის დაწყებიდან

元号 年号.

მაგალითად: 2012 წელი - ჰეისეის 24-ე წელია (ჰეისეი - იმპერატორია).

საბალეტო ხელოვნების გამოჩენილი ქართველი ლიდერი, მთელ მსოფლიოში ცნობილი ნინო ანანიაშვილი იყო დაჯილდოებული იაპონიის იმპერატორის ორდენით და პრესაში დაბეჭდილი პრეს-რელისში იყო აღნიშნული თარიღი:

წყარო ტექსტში:

**4月29日**、日本政府は**平成29年春の叙勲の受章者**を発表し、ジョージアからは  
ノ・アナニアシヴィリ国立オペラ・バレエ劇場バレエ芸術監督が旭日中綬章を受章すること  
となりました。

[https://www.ge.emb-japan.go.jp/files/ananiashvili\\_order/ananiashvili\\_pressrelease\\_jpn\\_web..pdf](https://www.ge.emb-japan.go.jp/files/ananiashvili_order/ananiashvili_pressrelease_jpn_web..pdf)

ქართულ თარგმანში:

**ა.წ. 29 აპრილს** იაპონიის მთავრობამ გამოაცხადა იაპონიის იმპერატორის ჯილდოს  
ლაურეატები **2017 წლის** გაზაფხულისათვის. საქართველოდან, ქალბატონი ნინო  
ანანიაშვილი, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის  
სახელმწიფო აკადემიური თეატრის ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელი,  
დაჯილდოვდება ლენტით დამშვენებული ამომავალი მზისა და ოქროს სხივების  
ორდენით.

[https://www.ge.emb-japan.go.jp/files/ananiashvili\\_order/ananiashvili\\_pressrelease\\_geo\\_web.pdf](https://www.ge.emb-japan.go.jp/files/ananiashvili_order/ananiashvili_pressrelease_geo_web.pdf)

ამ მაგალითში მთარგმნელმა მიმართა პრაგმატულ ადაპტაციას, ვინაიდან  
წელთაღრიცხვის სხვა პრინციპის ახსნა გადატვირთავდა შედარებით პატარა ტექსტს.  
პრეს-რელიზი მოკლე ფორმატი ამის საშუალებას არ იძლეოდა. ჩვენი აზრით,

ასე მაგალითად, იაპონურ პრეს-პელისში განცხადებულია, რომ:



平成 29 年 5 月 1 日

### ニノ・アナニアシヴィリ氏の旭日中綬章受章

4 月 29 日、日本政府は平成 29 年春の叙勲の受章者を発表し、ジョージアからはニノ・アナニアシヴィリ国立オペラ・バレエ劇場バレエ芸術監督が旭日中綬章を受章することとなりました。

アナニアシヴィリ氏は、長期にわたる様々な日本関連の活動を通じて日本とジョージア間の文化交流促進と日本のバレエ界の発展に著しい貢献をしたことが評価され、今回の受章となりました。

მთარგმნელის ეს გადაწყვეტილება გამართლებულია, მაგრამ ზოგჯერ იკარგება ორიგინალის ეროვნული კოლორიტი.

[https://www.ge.emb-japan.go.jp/files/ananiashvili\\_order/ananiashvili\\_pressrelease\\_jpn\\_web..pdf](https://www.ge.emb-japan.go.jp/files/ananiashvili_order/ananiashvili_pressrelease_jpn_web..pdf)

რაც სიტყვა სიტყვით ითარგმნება შემდეგნაირად:

*ანანიაშვილმა მიიღო ამომავალი მზის ორდენი ლენტით.*

ამავე პრეს-რელიზის ქართულად თარგმნილ ვარიანტში ვკითხულობთ:

*იაპონიის იმპერატორის ჯილდო ქალბატონ ნინო ანანიაშვილს.*



1 მაისი, 2017

## პრესრელიზი

იაპონიის იმპერატორის ჯილდო ქალბატონ ნინო ანანიაშვილს

ა.წ. 29 აპრილს იაპონიის მთავრობამ გამოაცხადა იაპონიის იმპერატორის ჯილდოს ლაურეატები 2017 წლის გაზაფხულისათვის. საქართველოდან, ქალბატონი ნინო ანანიაშვილი, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელი, დაჯილდოვდება ლენტით დამშვენებული ამომავალი მზისა და ოქროს სხივების ორდენით.

ქალბატონი ნინო ანანიაშვილი ჯილდოვდება ორდენით ხანგრძლივი და მრავალფეროვანი მოღვაწეობით იაპონიასა და საქართველოს შორის კულტურულ ურთიერთობებში და იაპონური საბალეტო საზოგადოების განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის.

[https://www.ge.emb-japan.go.jp/files/ananiashvili\\_order/ananiashvili\\_pressrelease\\_geo\\_web.pdf](https://www.ge.emb-japan.go.jp/files/ananiashvili_order/ananiashvili_pressrelease_geo_web.pdf)

იაპონია ცნობილია მთელ მსოფლიოში მეტაფორით „ამომავალი მზის ქვეყანა“, იაპონელებს უყვართ ამ სათაურის გამოყენება. ამიტომ ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში ჩანაცვლება არ არის გამართლებული, ვინაიდან იკარგება ეროვნული კოლორიტი და ორდენის დასახელება არასწორად ჟღერს. მეტაფორა აგრეთვე შესაბამის ემოციურ ფონს ქმნის.

